

კიბე

1934 / 2
2017



2017/ივნისი

6 (260)

ეპით ცხრილი
ფურთური გაზეცარი

სარჩევი

- | | | |
|-----------------|----|--|
| ესე | 1 | ლევან ბრეგაძე ფაუსტური მგზნებარებით.... |
| თარგმანი | 6 | მარკ რავენჟილი აუზი (უწყლო)
ინგლისურიდან თარგმნა დავით გაბუნიამ |
| | 17 | ლალი-ციპი მიხაელი ლექსები
ივრითიდან თარგმნა მანანა დუმბაძემ |
| პროზა | 22 | ნიკოლას მაჩაბელი ეშმაკის ბორბალი |
| | 30 | მარიამ სულამანიძე ორმოები |
| | 33 | მარიამ სულამანიძე სახლი, რომელიც ვერ დავტოვე |
| პოეზია | 35 | გიორგი ჩუთლაშვილი ლექსები |
| | 38 | ნატა ვარადა ლექსები |
| ნიგნის ნადიმები | 41 | მალხაზ ხარბედია ნუგზარ შატაიძე - პური, საკლავი და ლვინო |
| დებიუტი | 45 | სანდრო გეგეტკორი თავისუფლების შეუძლებლობა
“მებრძოლთა კლუბის” მიხედვით |

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩიუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკაძე, ვასილ მალლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

პრილი - დასასვენებელი სიცმიდეთა

სულხან-საბა

პრილი - მზის შუალი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია


ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



ლევან ბრეგაძე

ფაუსტური მგზნებარებით...

დავით წერედიანისთვის გივი მარგველაშვილის სახელობის
პრემიის მინიჭების გამო



1974 წლის იანვარში იმ დროს ყველაზე პოპულარული ქართული სალიტერატურო ჟურნალის „ცისკრის“ მე-200 საიუბილეო ნომერში დავით წერედიანის მიერ თარგმნილი ფრანსუა ვიონის „მცირე ანდერძი“ დაიბეჭდა. ეს პუბლიკაცია მაშინვე მოვლენად იქცა და მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული პოეტური თარგმანის შემდგომი გზა, მეტად მაღლა ასწია მთარგმნელობითი ოსტატობის თამასა. ასეთი საყოველთაო აღიარება და აღტაცება, არათუ თარგმნილ ტექსტს, არამედ ორიგინალურ მხატვრულ ქმნილებასაც იშვიათად ხვდომია ნილად. გაოცებას იწვევდა ქართული ენის ფრთხილი.

ვალფროვანესი სტილისტური პლასტების აქტუალიზება და სალექსო ტექნიკის განსაცვიფრებელი ფლობა.

მორჩია, აღსრულდა, მივდივარ მართლა, მაგრამ მწყურიხარ ისეთი ძალით, ისე მჭირდები, ვით... როგორც... რა ვთქვა... ბოლონურ ქაშაყს სჭრიდება წყალი. ნეტა ვინ გიხსნის ახლა საკინძეს, ვან ეწაფება შენს უტებეს ტყუილს... ო, ღმერთო ჩემო, ნუ ვამავიუებ! კი არ ვლოცულობ, ვდგავარ და ვყმუი.

საქართველოს მართლიანობის
ეპისკოპოსი მარტინ გორგაძე



ლექსი, მეტადრე თარგმნილი, მაშინ არის უფრო შთამბეჭდავი, როცა მისი ენა რაც შეიძლება მიახლოებულია ბუნებრივ მეტყველებას, ხოლო სალექსო ტექნიკა კი ზედმიწევნით ვირტუოზულია, არც ერთი მათგანი მეორის მიერ არ იჩაგრება, არც სალექსო ფორმას ენირება ენის ბუნებრიობა და არც ენის ბუნებრიობას – სალექსო ფორმა, რაც, განსაკუთრებით თარგმანში, უაღრესად ძნელი მისაღწევია და ამგვარი რამ სიტყვის ძალიან ცოტა ხელოვანს ხელენიფება.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს მიმართება ენასა და სალექსო ტექნიკას შორის ვითონის დავით წერედიანისეულ თარგმანებში არასოდეს ირლევა, არც „მცირე ანდერძში“ და არც „დიდში“, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ მოჰყვა „მცირეს“.

სხვა ძვირფასი თვისება, რითაც გამოიჩინა დავით წერედიანის თარგმანი, გახლავთ არაჩვეულებრივი ოსტატობა, რომლითაც მას ორიგინალის იუმორისტული პასაჟები გადმოაქვს ქართულად. ესეც უძნელესი საქმე გახლავთ იმის გამო, რომ სხვადასხვა ენას სხვადასხვა ენობრივი საშუალებები მოეპოვება მოვლენების, საგნების თუ ადამიანების მიმართ იუმორისტული დამოკიდებულების გამოსახატავად. ორიგინალისეული იუმორის სხვა ენაზე სათანადოდ გადმოსატანად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის ლიტერატურულ და არა მარტო ლიტერატურულ გემოვნებას და ისევ და ისევ ენის სილომისეულ ცოდნასა და გრძნობას. დავით წერედიანთან ამ მიზნის მისაღწევად მობილიზებულია უხვი, მრავალფეროვანი მასალა ქართული ენის წიაღიდან და ფოლკლორული თუ პროფესიული ლიტერატურის გამოცდილების სფეროდან: არქაიზმების, ნეოლიგიზმების, დილექტიზმების, უარგონის, მაღალფარდოვანი, სასაუბრო თუ ნეიტრალური სტილისტური შეფერილობის ლექსიკის, აგრეთვე იდიომატიკის გემოვნებითა და დიდი სიზუსტით გამოყენება განაპირობებს დავით წერედიანის თარგმანის უჩვეულო შთამბეჭდაობას:

ჩემს ცნობილ შარვალს, გრძელს და განიერს, არ სჭირდება პანეგირიკი.
მარჯვენა ტოტი – მეტრ ბაზანიეს,
მარცხენა – მოტენს, ანდა პირიქით.
მათთან ფურნიცე ვახსენო ჯერარს,
სადაც ალხანა, იქაც ჩალხანა,
მე მას ვუტოვებ ჩემს უხმარ პერანგს
და იმ პერანგის ნახმარ ამხანავს.

ვიონის გარდა დავით წერედიანს სხვა დიდი ფრანგი პოეტებიც აუმეტყველებია ქართულად (პოლვერლენი, არტურ რემბო, შარლ ბოდლეირი, პოლ ვალერი), ამავდროულად იგი შესანიშნავი ორიგინალური ლექსების ავტორი და ჩინებული ესეისტიც გახლავთ, მაგრამ, რაკი მას გივი მარგველაშვილის სახელობის პრემია ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ენიჭება, ჩვენც გერმანული ენიდან შესრულებულ მის თარგმანებზე გავამახვილოთ ყურადღება.

იოჟან ვოლფგანგ გოეთე, ჰაინრიხ ჰაინე, პაულ ცელანი, ინგებორგ ბახმანი, თომას მანი, ლიონ ფოიტვანგერი – აი არასრული ჩამონათვალი გერმანულენვანი ავტორებისა – პოეტებისა და პროზაიკოსებისა, რომელთა დავით წერედიანისეული თარგმანები ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის საგანძურს შეადგენს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ძმები გრიმების სახელგანთქმული ზღაპრების სამტომეული, 1990-იანი წლების დამდეგს გამოცემული.

ვიონის თარგმანზე არანაკლები ინტერესი ხვდა წილად გოეთეს „ფაუსტის“ დავით წერედიანისეულ თარგმანს, რომლის პირველი ნანილი წიგნად 2011 წელს გამოვიდა.

ქართულ ენაზე გოეთეს „ფაუსტის“ რამდენიმე სრული და ნანილობრივი თარგმანი მოგვეპოვება, რომელთაგან უნდა გავიხსენოთ დავით ონიაშვილის ნამუშევარი, პირველად 1927 და განმეორებით

1962 წელს გამოცემული, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თავის დროზე და კარგა ხანს ემსახურებოდა ქართველ მკითხველთა შორის მსოფლიო ორგანიზაციების ამ შედევრის პოპულარიზაციის საქმეს. 1970-იან წლებში „ფაუსტის“ თარგმნას ხელი მიჰყო ცნობილმა მთარგმნელმა გიორგი ჯორჯანელმა და მის მიერ ჩინებულად გადმოქართულებული „ფაუსტის“ პირველი ნაწილი წიგნად მკითხველმა 1987 წელს მიიღო. სამწუხაოდ, გიორგი ჯორჯანელი ისე გარდაიცვალა, რომ ტრაგედიის მეორე ნაწილის თარგმნა ველარ მოასწრო.

დავით ნერედიანის თარგმნილ „ფაუსტის“ აქვს ყველა ის ლირსება, რაც ვიონის ესოდენ ნარმატებული თარგმანის შეფასებისას აღვნიშნეთ, ხოლო ამის ზევით აյ ის სირთულენიც ნარმატებით არის დაძლეული, რასაც ფილოსოფიური განსჯა-დაკვირვებებით, ღრმააზროვანი აფიორიზმებითა და პარადოქსებით, სხვადასხვა სტილისტური ელფერით გამოიჩინებოდების მონაცემებით შესრულებული ეს მართლაც რომ უნიკალური ტექსტი, სამყაროსავით მრავალფეროვანი ქმნილება, სხვა ენაზე ამეტყველებისას გვიქმნის.

თუკი ფრანსუა ვიონის ტექსტი მონოლოგური ბუნების არის, რაც რამდენადმე უადვილებს მთარგმნელს საქმეს, „ფაუსტი“ პოლილოგია, უთვალავ ხმათა ორკესტრირებით შექმნილი სიმფონია, და საჭიროა ყველა ხმისთვის შეირჩეს სათანადო ინსტრუმენტი, ანუ – სალექსო ფორმა, ლექსიკა და ინტონაცია. სწორედ ამ კომპონენტებს ექცევა დიდი ყურადღება დავით ნერედიანის ნაშრომში, ამ მეტად ძნელი ამოცანის ნარმატებით გადაწყვეტა არის იმის მიზეზი, რომ თარგმანი ასეთი გატაცებით იკითხება.

ერთ ინტერვიუში დავით ნერედიანი ამბობს: „„ფაუსტში“ გვხვდება ადგილები, სადაც პეკარედული სიზუსტეა საჭირო, გვხვდება ადგილები, სადაც მეტი თავისუფლების გამოჩენა შეიძლება. ტექსტის კონკრეტულ მიზანდასახულობას გააჩინა“. აქედან კარგად ჩანს, რაოდენ გააზრებულად ეკიდება იგი პოეტურ თარგმანს. კიდევ ერთი ფრაგმენტი იმავე ინტერვიუდან: „ხდება ხოლმე სიტყვებს ზუსტად გადმოიტან, მთავარი სათქმელი კი გაგისხლტება, რადგან იგი ქვეტექსტში დევს. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, ქვეტექსტი შეინარჩუნო, და დანარჩენს უფრო თავისუფლად მოეკიდო. პირველ ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რისი შენარჩუნებაა ყოვლად აუცილებელი, რომ ნანარმობების არსა არ დავცილდეთ. [...] დედანი ძალიან დეტალურად უნდა გამოვშიგონთ თავისი კონტექსტებითა და ნიუანსებით.“

სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს გამორჩეულ შემოქმედთან, რომელიც დიდი სერიოზულობით ეკიდება მსოფლიო ორგანიზაციების შედევრთა თავის მშობლიურ ენაზე გადმომოდებას. დავით ნერედიანისთვის პოზიტიური თარგმნა მაღალი ხელოვნების რანგში აყვანილი საქმიანობაა. იგი თავისი ნამუშევრისადმი უშეღავათო დამოკიდებულებით გამოირჩევა.

ზემოთქმულის დასტურად წავიკითხოთ რამდენიმე ადგილი დავით ნერედიანის მიერ ქართულ ენაზე ამეტყველებული „ფაუსტიდან“.

აი ფრაგმენტი, სადაც საკუთარი თავითა და ბედნიერების მიუწვდომლობით უქმაყოფილ ფაუსტი ცოდნის შეძენის ამაოებზე გამოთქვამს აზრს:

მართლაცდარაა, სხვა რაღაა, თუ არა მტკვერი, მთელ ამ კედლებზე თარო-წალო რითაც მივსია? ჩიხიმახონი, დაფხავებულ ეტრატთა ჯერი, ამ საჩრჩილეში თავს დაყრილი, რის მაქნისია? აქ უნდა ვპოვორაც მაკლია? ვიწყვიტო ქანცი, ათასი წიგნი გამოვლობნო იმის დასტურად, თურმენუ იტყვით, ყველა დრომი წვალობდა კაცი და უმდურველი ცოტა ვინმე თუ გარდასულა?

ყურადღებას იქცევს მდიდარი ლექსიკა, მეტად-რე სასაუბრო მეტყველების სფეროდან მოხმობილი სიტყვები, იმგვარად შერჩეული, რომ სავსებით შეესაბამებოდეს, მკაფიოდ გამოკვეთდეს, პროტაგონისტის, მრავალმხრივ და ღრმად განათლებული მეცნიერის იმუშამინდელ განწყობას – აგდებულ დამოკიდებულებას განსწავლისადმი: ჩიხიმახონ (ხარახურა), დაფხავებული (გაცვეთილი, დაძველებული), წიგნების მიმართ ნათქვამი გამოვლობნო (ლოლნა – უმადოდ, უხალისოდ ჭამა), ხოლო მთარგმნელისეული კომპოზიტი „თარო-წალო“, რომელიც აერთიანებს საყოველთაოდ გავრცელებულ „თაროს“ და იშვიათად ხმარებულ „წალოს“, რაც ნიშს, განჯინას ნიშნავს, სიტყვათა ალექიმიური შეერთების წყალობით, დამცირნავ, აგდებული დამოკიდებულების გამომხატველ ელფერს იძენს, რისი ნიშანწყალიც არ ეტყობათ ამ სიტყვებს, როცა მათ ცალ-ცალკე იყენებენ.

ახლა მეფისტოფელის აზრი მოვისმინოთ უფალზე:

მიყვარს შემოვლა ბერიკაცთან და საუბარი, გულს დამაკლდება, მუდამ ასე თუ არ ვასტანა. ვერაფერს იტყვი, ზის ამხელა მამაფუალი და კაცურ სიტყვას ლაპარაკობს თვით ეშმასთანაც“.

ლექსიკითაც და ინტონაციითაც, სასაუბრო იდიომების გამოყენებით („გულს დამაკლდება“, „ვერაფერს იტყვი“, „კაცური სიტყვა“) ჩინებულად არის გადმოცემული მეფისტოფელის ფამილარული დამოკიდებულება მამაზეციერის მიმართ („და კაცურ სიტყვას ლაპარაკობს თვით ეშმასთანაც“) დედანშიც ასევე: „So menschlich mit dem Teufel zu sprechen“).

სქოლასტიკოსი ვაგნერი ხალხში სეირნობისას ასე მიმართავს ფაუსტს:

თქვენი თანხლება, ეს, ბატონო დოქტორო, ჩემთვის განუზომელი პატივია – თან რამდენს ვიძენ! – თორემ აქ სხვაფრივ, ამ ვლეხებში, მოწმეა ღმერთი, რა მომიყვანდა, ზნე მაგათი, პეტი თუ სიბრძნე!

ვაგნერის ამპარტაციონა, უბრალო ხალხისადმი მისი აგდებული დამოკიდებულება, რაც დედანში ასეა გადმოცემული – „Doch würd ich nicht allein mich her verlieren / Weil ich ein Feind von allem Rohen bin“ –

„თორემ მე მარტო აქ რა მომიყვანდა, მე ხომ ყო-
ველგვარი უხეშობის მტერი ვარ” – თარგმანში კი-
დევ უფრო ხაზგასმულია იმით, რომ დედნის „უხე-
შობა”, რის მტრადაც აცხადებს თავს ვაგნერი, ასეა
გაშიფრული: „თორემ აქ სხვაფრივ, ამ გლეხებში,
მოწმეა ღმერთი, / რა მომიყვანდა, **ზე** მაგათი, **პე-**
ნი თუ სიბრძნე!”. ეს დედნის მართებული, ანუ და-
საშეგიბი, ინტერპრეტაციის კარგი მაგალითია.

გრეტენის მოკრძალება და მიამიტობა სტილის-ტურად კვლებით ჩავს მის სიტყვებში, რომელიც მოგზაურის სახით მოვლენილ ფაუსტს მიმართავს:

ცდილობთ, დამინდოთ, უხერხულად არ
ვიგრძნო თავი,
მესაუბრებით ბევრის მცოდნე, როგორც
თანასწორს.
ვინც ხშირად მგზავრობს, იცის ხალხის კარგი
და ავი,
გულს გაგიკეთებს, არ დაგხედავს მაღლით
არასდროს.
ჩემსავით გოგო თქვენს ნაფიქრალს მხარს ვერ
აუჭამს,
რა უნდა ახლდეს სასიამო მასთან საუბარს...

ყურადღება მიაქციეთ სასაუბრო მეტყველების-
თვის ნიშანდობლივ გამოთქმებს „გულს გაგიკე-
თებს“ და „ჩემსავით გოგო“ (ნაცვლად ლიტერატუ-
რული ფორმისა „ჩემნაირი გოგო“), ამ ფრაგმენტის
მთავარ სტილისტურ მახასიათებლებს – მიამიტ გო-
გონას რომ გვისურათხატებს.

აი რას და როგორ ეუბნება სტუდენტი ბიჭი მე-
გობარს, სასეირნოდ გამოსული გოგოების დანახ-
ვისას:

გვირიტები! ორნი! არც იფიქროდა კარგვა წუთის!
კვალში ჩავუდგეთ! ღმერთმა მოგვცა, სრული
განძია!

თუ რამე მიყვარს ცხოვრებაში – მაგარი ლუდი,
მწარე თამბაქო თა მოახლო გოგო კვანწია.

„მოახლე გოგო კვანწია“ სრული შესატყვისია დედნის გამოთქმისა: „Eine Magd im Putz“. Im Putz „გამოპრანჭულს“ ნიშნავს, მაგრამ ამ გაცვეთილი ქართული შესატყვისის ნაცვლად მთარგმნელი პო-ულობს უაღრესად კოლორიტულ სიტყვას ქარ-თლურ-იმერული დიალექტური ლექსიკის სალარო-ში – კვანწია, რომლის მნიშვნელობა ასეა ახსნილი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“: „კოხ-ტად ჩაცმა-დახურვის, კოხტაობის მოყვარული, ცო-ტა პრანჭია“.

მოხუცი გლეხი მიმართავს ფაუსტს:

რამდენი წვეთიც მაგაში ესხას,
იმდენი წელი იყავით მხნედა.

რა კარგად არის თარგმანში გადმოცემული ებ-ფატიკური „ა“-ს მოშველებით მოხუცი გლეხის სა-უბრის ოდნავ არქაზებული მანერა, რისი გამოხა-ტულებაც დედანში არის, მაგალითად, კომპოზიტის Hochgelehrter (რაც „დიდად განსწავლულს“ ნიშნავს) მოძველებული ფორმის – Hochgelehrter – გამოყენე-ბა, და ასევე – საგანგებოდ შერჩეული მარტივი რითმები და ინტერვალიანი რითმათნები, ხალხუ-რი ლიქსისთვის დამახასიათებელი!

აუკრძალეთ სარდაფში ფროში ასე საყვედურობს თანამეორნახეებს:

არ სვამთ, არ მღერით, ვის ებლვირებით!
ჩამოგიშვიათ უბრად ცხვირები.
სულ არაფერზე კბილები გიჩანთ,
დღეს რა ეშმაკმა შეგიკრათ კრიჭა.

შეუძლებელია არ მოიხიბლოთ, როცა ნახავთ, რა დიდოსტატურად არის ბოლო ორ სტრიქონში დედნისეული მეტაფორა გადმოტანილი ქართული იდიომების გამოყენებით. ორიგინალში წერია: „*Ihr seid ja heut wie nasses Stroh / Und brennt sonst immer lichterloh*”, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „დღეს სველი ჩალასავით ხართ, ჩვეულებრივ კი ბრიალით ინვით”, ანუ – დღეს რატომ დუმხართ („დღეს რა ეშმაქამ შეგიყრათ კრიჭა”), როცა სხვა დროს სულ იკრიჭებით ხოლმე („სულ არაფერზე კბილები გიჩანთ”).

სხვა მოშაბაშეებს ჩამორჩენილ სანახევროდ კუ-
დიან დედაბერსაც მოვუსმინოთ:

მეც სხვებთან ერთად წამოვფორფოტდი,
ყველაზ გამასწრო, არ ჩანს არც ერთი.
რა ძალა მაღვა, რისთვის მოვრბოდი?
არათა შინაც კულარ გავჩერდი.

„ფორფორტი“ იგივეა, რაც „ფუსტუსი“ (ქეგლ) და „სულელივით სიარული“ (ალ. ღლონტი), ხოლო მის-გან ნაწარმოები და სარითმო სიტყვად სტრიქონის ბოლოს გატანილი ერთობ კოლორიტული „ნამოვ-ფორფორტდი“ ზუსტი შესატყვისია დედნისეული გა-მოთქმისა „Ich tripple nach“.

ბოლოს ვნახოთ როგორ ულერს ქართულად და-
ვით წერედიანის თარგმანში გოეთეს „ფაუსტის“
ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეპიზოდი, კერძოდ
ის, სადაც ტრაგედიის მთავარი გმირი ხელახლა
იწყებს ბერძნულიდან მშობლიურ ენაზე იოანეს სა-
ხარების თარგმანას:

თავდაპირველად იყო სიტყვა – ასე წერია.
უკევ შევფერხდი. მანდ სადავო არაფერია?
ასეც დავტოვოთ? არა, სიტყვა არ ღირს მაგდენად.
არ ეფარდება, საჭიროა ცნების დადგენა.
გადამეწმინდე, გამინათლი, გონებავ ქუფრო!
ჯობს პირველთაგან იყო აზრი. ფარდია უფრო.
შესდევ, ნუ ჩეკარობ, არაფერი ჩაწერო მცდარი,
არ გაგიძრულდეს პირველივე ნათარგმნი ბრწარო.



აზრისგან იქმნა, რაც რამ იქმნა? ნივთი ყოველი? თუ პირველთავან იყო ძალა? ძალი ცხოველი. არადა, რაღაც არ მანებებს, დავწერო ასე, რაღაც მაძალებს, შესატყვისზე ვიფიქრო სხვაზე. სული მკარნახობს! ზუსტი არსი მოიკვეთება! წერ დარწმუნებით: პირველთავან იყო ქმედება!

ამ ადგილის გამო დავით წერედიანი თარგმანის ბოლოს დართულ კომენტარებში გვაუწყებს:

„ჩვენში რუსულის გავლენით გავრცელებული ვერსიაა – „პირველად იყო საქმე”, მაგრამ „საქმე” მოცემულ აბსტრაქტულ კონტექსტში მეტისმეტად ვიწროა, აქ ყოველდღიურ საქმესა და საქმიანობაზე არ არის ლაპარაკი. დედანში წერია დიე თაჭ, რომლის პირველად მნიშვნელობას სწორედ ქართული „ქმედება” ეთანადება და არჩევანიც ამან განაპირობა”.

აქ თარგმანში იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, რა ვითარებაც დედანშია აღნერილი, იმ განსხვავებით, რომ ფაუსტი ოიანეს სახარების საწყისი ფრაზის გერმანულ თარგმანს („Im Anfang war das Wort”) იწენებს, სადაც პოლისემანტიკური ბერძნული „ლოგოსი” თარგმნილია როგორც „სიტყვა”, და მის ახალ ვერსიას ქმნის; მთარგმნელს კი სახარების ამ ფრაზის გოთესეული პერიფრაზის – „Im Anfang war die Tat” – ტრადიციული რუსული და ქართული თარგმანი („В начале было дело”, „პირველად იყო საქმე”) არ აკმაყოფილებს და თავის ვარიანტს გვთავაზობს, ჩემი აზრით, მართლაც უფრო მართებულს. **საქმის** ჩანაცვლებას ქმედებით არც ლექსიკონები ენინა-აღმდეგებიან, ვინაიდან die Tat-ის სინონიმად ისინი ერთხმად ასახელებენ დიე Handlung-ს, რასაც ქართულად სწორედ ქმედება შეესაბამება.

ამრიგად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთარგმნელის ქმედება სიმბოლურ მნიშვნელობას იძნეს – იგი შესაძლოა განვაზოგადოთ და ვთქვათ:

აი ასეთი ფაუსტური მგზნებარებით ეკიდება დავით წერედიანი თავის საქმეს!

* * *

დავით წერედიანზე როგორც რითმის დიდოსტატზე იმდენი თქმულა, რომ აღარ ვაპირებდი ამ

საკითხს შევხებოდი, ვინაიდან ამაზე ლაპარაკი უკვე ბანალურობის საფრთხეს შეიცავს. პრინციპში, არც არაფერს ვიტყვი აქ ამის თაობაზე, ოღონდ არ შემიძლია ორი არაჩვეულებრივი რითმა არ წარმოგიდგინოთ ქართული „ფაუსტიდან”, ორივე თემატური რითმაა, ანუ ორივეში ამ ტრაგედიისთვის უმნიშვნელოვანესი სიტყვებია სარითმოდ გატანილი – „მიკროკოსმოსი” (რაც ადამიანს ნიშნავს) და „მეცნიერება”. პირველი ორსტრიქონედით მეფისტოფელი ფაუსტს ამასხარავს, მეორეთი იგივე მეფისტოფელი, ოღონდ ფაუსტად გადაცმული, ფაუსტის მონაფეობის მოსურნე ყმანვილს „ალადავებს”:

მეფისტო ფაუსტს განუმარტავს, თუკი პოეტს მიმართავ, რათა შეგამკოს და განგადიდოს, იგი

„...იმგვარად მიგმოს-მოგმოსავს,
გიხილავთ ბატონ მიკროკოსმოსად”.

მონაფეობის მსურველს კი ერთ-ერთი სამეცნიერო დისციპლინის, თეოლოგიის, შესახებ ეუბნება:

„ეს გახლავთ ბნელში სიარულის მეცნიერება, ისეთი ღრეა, ზოგჯერ კვალი მეც კი მერევა”.

* * *

როდესაც კონგრინიალურ თარგმანს ვკითხულობთ, ასეთი სასწაულის მონმე ვხდებით: ვგრძნობთ როგორ ერწყმიან ერთმანეთს ორიგინალის ავტორი და მისი მთარგმნელი. ეს ორერთიანობა მისთვის ჩვეული გონებამახვილობით, მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური ფორმით გამოხატა ვახტანგ ჯავახაძემ თავისი მარშანდელი ერთბაშად გახმაურებული ვრცელი ლექსის „ელეგია: ყელსაბამის” აი ამ ფრაგმენტში:

„აჯასა ამას დასტურს დასცემდა მარკუს (ბაჩანა) ავრელიუსიც, თავს არც იოჰან (დავით) გოეთე (წერედიანი) შეიკავებდა და აღარც სულხან (ეზოპე) საბა - მესაიდუმლე შეიგავეთა”.

მარკ რავენჰილი

აუზი (უნიტო)

ინგლისურიდან თარგმნა დავით გაბუნიაძე



აუზი, ჰო, აუზი ჰქონდა.

ჩვენ შორის, ყველაზე წარმატებული იყო – ეგრეთ წოდებული საზოგადოების თვალში – ყველაზე წარმატებული.

მოკლედ – აუზი.

ვითომ მთაბეჭდილების მოსახდენად უნდოდა? სამარიაჟოდ?

არა. არა მგონია. არა. იმიტომ რომ...

კარგი გოგოა. კეთილი. რალაცნარიად მყარად დგას ფეხზე. ფესვებს არ კარგავს.

და აი, უკვე აუზიც აქვს – ძან მაგარია, აი, ძან. ძან.

თანაც არც ჩვენ გვივიწყებს. კლინიკაში მოდის ხოლმე. თავშესაფრებში დადის. შიდსის ცენტრებშიც. თვითონაც დაარსა ერთი-ორი.

ჩვენს გამოფენებზეც მოდის. პატარა, მანსარდებში შეკუჭულ გამოფენებზე, ბოჭემურ უბანში. ფოტოებს, არტ-ობიექტებს ათვალიერებს, ზოგჯერ ყიდულობს კიდეც. და ამით ფინანსების მოძიებაში გვეხმარება.

ჰო, ჩვენთვის ფინანსების მოძიებაზე დაუღა-

ლავად ზრუნავს.

ჩვენ მას ვაღმერთებთ. ვაღმერთებთ. ოღონდ, მართლა.

წლების წინ, როცა ჩვენთან იყო – ანუ ჩვენი ჯავუფის წევრი იყო. გული და სული. გაიძრობდა ხოლმე ტანსაცმელს... აი, პირდაპირ შემოიხევდა, და ჩვენც ეგრევე შემოვიხევდით – ვბაძავდით – და პერფორმანსებს ვაკეთებდით, ან მოკლემეტრაჟიან არტჰაუს ფილმებს ვიღებდით ან უბრალიდ, შიშვლები ვცურავდით, სიშიშვლით ვკაიფობდით.

მაგრამ დღეს ის... აქ არ არის.

ეგრეა. ის... აქ არ არის, განდგომილია. მისი ნამუშევრებიც ამიტომ იყიდება. ეგეთების კეთება მაშინ დაიწყო, როცა რეი მოგვიყვდა შიდსით. რეის სისხლით, სახვევებით, კათეტერით და პრეზერვატივებით გააკეთა პირველად. ეს ნამუშევრები მსოფლიოს თითქმის ყველა გავლენიან კოლექციონერს მიჰყიდა.

აპა.

განდგომილია. მაგრამ, რატომდაც მთელ მსოფლიოში მაინც დაფასებული და აღიარებულია.

აჰა.

და აი, უკვე აუზიც აქვს. ააააააააუზი.

თავიდან იმეილებს მოაყოლა. საშობაო იმეილებს. ეტეჩერნგრძი ჩემი ახალი აუზის ფოტოებს ნახავთ-ო.

ფრთხილად გავხსენი. ვირუსების მეშინია.

მისი აუზი. “ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, მესტუმროთ. ჩამოდით, ერთად ვიპანაოთ. როგორც გაგიხარდებათ, თუ გინდათ, ერთად, თუ გინდათ – ცალ-ცალკე, მოკლედ, ჩამოდით და ჩემი აუზი თქვენია”.

აი, სურათი. აუზი. სუფთა და ცისფერი, ლამაზიად განათებული. და აუზის მომვლელი ბიჭი – რომელსაც, რომ მოენდომებინა, შეეძლო პორნო-ვარსკვლავი გამხდარიყ; ან, იქნებ არის კიდეც პორნო-ვარსკვლავი; ან აპირებს პორნო-ვარსკვლავობას. კიდევ პირადი მწვრთნელი, რომელიც დიდი მონდომებით ასწავლის ცურვას ჩვენს დაქალს, აუზის პატრონს. ისიც პორნო-ვარსკვლავია. არაა გამორიცხული, ამ პირად მწვრთნელს აუზის მომვლელი ბიჭი ტყნავდეს. ან მწვრთნელი ტყნავდეს აუზის პატრონს, ან სულაც აუზის პატრონი ტყნავდეს აუზის მომვლელს.

არა არა არა – ჩვენი მეგობარი ყოველთვის პატიოსნებით გამოირჩეოდა. ყოველთვის მკაცრად იცავდა ქცევის კოდექსს. მაშინაც კი, როცა ყველანი ერთად, სოროში ვცხოვრობდით. ჰეროინზეც კი არ შემჯდარა, ჰა-ჰა, დღეში ერთხელ მიეღო. ღამლამბით კი თავისი ოთახის კარი სულ ჩაკეტილი ჰქონდა.

დიდი მიმოწერა ავტეხეთ. იმეილით. რატომაც, არა? ნამო, ნავიდეთ, ვნახოთ აუზი. ნავიდეთ და გავცუროთ აუზში. რატომაც არა? რატომაც არა? ერთად გავცუროთ.

უბასუხეთი იმეილზე: მოვდივართ, მოვდივართ, ყველანი მოვდივართ. აი, ასე, ვსხდებით თვითმფრინავში ყველანი და მოვფრინავთ შენს აუზში.

ეგრევე გვპასუხობს: მაგარია. ძაან. ძაან. ძაან.

დრო, რაღა თქმა უნდა, ძალიან სწრაფად გადის. ყველას საქმები გვაქვს – ბოჰემურ უბანში გამოფენებია მოსაწყობი, პროექტის ფარგლებში ნარკომანი მშობლების ბავშვთა თავშესაფარში კედლებია მოსახატი, დაფინანსების მოძიების კამპანია გასაგრძელებლი და კიდევ...

სალი, სასიკვდილოდ გადადებული. იმ დედამოტყნულ თავშესაფარში, სასიკვდილოდ გადადებული. ძვლებში გადასულა უკვე; მთელი ორგანიზმი შეუჭამა იმ დედამოტყნულმა და ახლა ძვლებზე გადასული – ძვლის ტვინს უგემოვნებს ვერაგი – სალი გდია და იმეორებს:

სიკვდილი მინდა სიკვდილი მინდა რატომ არ კედები რატომ არ მაცლით, ნამალი რატომ უნდა დავლიო, თუ სიკვდილი მინდა?

ჩვენ ვეუბნებით

აუზზე იფიქრე. აუზზე იფიქრე. ამისთვის ღირს გაძლება. გაგიყვანთ აქედან და პირდაპირ აუზში ჩაგაფრენთ. გადარჩენილ, ბედნიერ, ჯანმრთელ დღეებზე იფიქრე აუზის პირას.

სალი ამბობს

კარგი.

ჩვენ გვამხნევებს. ამას ვინ ჭამს.

გალურჯებულ და გამწვანებულ სალის ყველან წვეთოვანები წვეთოვანები წვეთოვანები აქვს გათხოვილი და ექთნები და მონყალების დები ახვევვია და ჩვენ მორიგეობა დავანესეთ იმიტომ, რომ ცხოვრება ხომ უნდა გაგრძელდეს და გამოფენები და ფინანსების მოძიების კამპანიები და ამიტომაც ვენაცვლებოდით ერთმანეთს, სანამ ერთ ღამეს ყველანი ერთად არ გავცივდით, ოლონდ, ვერ მივუსნარით, სალი აღარ იყო.

და უცებ თითქოს სახალხოდ ჩაგხადეს, იმიტომ, რომ მთელი შენი არტი არაფრად არ ღირებულა, არაფერს არ წარმოადგენს, არანაირი აზრი არა აქვს. სალი აღარ არის და ხელოვნებამ ვერაფერი ვერ შეცვალა, ხელოვნებამ ვერ უშველა, იმიტომ, რომ სიკვდილი დიდია, ჩვენ კი პატარები და სინამდვილეში არაფერს არ წარმოვადგენთ, არაფერს.

აი, ისიც – კრემატორიუმში ჩამობრძანდა. გვითხრა: დიდი მადლობა, რომ სალის უვლილითო. ამისთვის დიდ მადლობას გიხდით. რა ხალხი ხართ, რა ადამიანები ხართ, მე კიდევ ისე დამანაშავედ ვგრძნობ თავს, უფრო ადრეც უნდა ჩამოვსულიყავო. ჩვენ კიდევ: არა, არა, არა, არა არა...

მაგრამ ვიგრძენი, რომ... თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ვიგრძენი, გეუბნებით, მართლა ვიგრძენი... არა, ვიცი, რომ ასე არ უნდა ვფიქრობდე, მაგრამ... იქნებ ეს უბრალოდ ჩემი... არ ვიცი, თქვენც იგივე ხომ არ.... უბრალოდ, ასეთი გრძნობა გამიჩნდა, და რადგან გრძნობაა, აქვს არსებობის უფლება. ხომ მიმიხვდით, რას გეუბნებით? კარგი, კარგი, გეტყვით, აგიხსნით, რას ვგრძნობდი, როცა კრემატორიუმში ვიდექი და უცებ თავის მენეჯერთან თუ ვიღაცას-თან ერთად შემობრძანდა, მინდოდა მეკივლა: შემუტელ!

ღმერთო.

ფილტვების ჩაფხრენამდე მეკივლა: “შე მუტელო, მუტელო – შენი ბრალია. შენ ხარ დამნაშავე. ამ კუბოს ხედავ? ამ იაფფასიან, უგემოვნო კუბოს ხედავ, სადაც ჩვენი დაქალი სალი წევს? შენი ბრალია. ეს შენ გააკეთო.”

ღმერთო.

“შენ მოკალი სალი”.

ღმერთო.

“იმიტომ, რომ არცერთი ჩვენგანი არ უნდა გამდიდრებულიყო, ცნობილი არ უნდა გამხდარიყო, არცერთს არ უნდა გვეფრინა. ჩვენ ერთი ჯგუფი ვართ. და არსებობს წონასწორობა, რომელიც შენ დაარღვიე. თუ ერთ-ერთი ჩვენგანი მაღლა მიინევს, მეორე იძირება. ეს ბუნების კანონია. ბუნების ყველაზე ელემენტარული კანონი არ გესმის? რა თქმა უნდა, ძალიან კარგად გესმის – ყოველთვის გესმოდა, მაგრამ დაიკიდე – შეგნებულად – და სალი მოკალი. სალის სიკვდილი არჩიე. მუტელო. მუტელო. მუტელო”. რომ შემძლებოდა, თავზე თმას დავაგლეჯდი, ტანზე ტანსაცმელს, და იქვე, ადგილზე, მუტელში ჩაგაფურთხებდი... თქვენც იგრძენით ხომ?

არა არა არა. გასაგებია. გასაგებია. გასაგებია.

აი, ასე. ცუდები ვართ. ცუდი ადამიანები ვართ. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ არის აუცილებელი.

ლამურნება.

ვიღაცა იცინოდა, ვიღაცა ტიროდა, მაგრამ ყველანი ამ წამის შიშველმა მშვენიერებამ შეგვიპყრო.

ეს წუთები არასოდეს დამავიწყდება, არასოდეს. თითქოს რაღაც.... ყველანი ასე შიშვლები ვიდექით სიბნელეში. ზოგჯერ, როცა ტკივილგამაყუჩებელი ვერ მშველის, ვცდილობ, წარმოვიდგინო ეს წუთები და არც ისე საშინლად მეჩვენება.

ნავიდეთ, აუზში ჩავხტეთო, - დაგვიძახა.

მერე, ადგილიდან მოწყდა და სიბნელეში გავარდა, ტრამპლიზზე დახტა და დავინახეთ, როგორ აფრინდა მაღლა, ცაში – მისი სხეულის რეალი ღამის ცის ფონზე სულ ზევით და ზევით და ზევით

ისე მაღლა ჩანდა. თითქოს გაფრინდა. ანგელოზია. მოხარხარე მთვრალი ქალმერთი-ანგელოზი.

მერე დაბლა დაეშვა, ჩვენ ტაშით და შეძახილებით ვამხნევებდით.

და უცებ

ზოგიერთს მოგვეჩვენა, რომ წყლის ჩქაფუნი მოგვესმა. ეგრეა. როცა ელოდები ჩქაფუნს, გესმის კიდეც. თავისთავად ხდება. მაგრამ არანაირი ჩქაფუნი არ გაგვიგონია. არ ყოფილა ჩქაფუნი. სამაგიეროდ იყო

ბრაგვანი.

მისი სხეულის ბრაგვანი.

მისი სხეულის ბეჭონზე დანარცხების შემაზრზენი ხმა.

და სიჩუმე.

მერე კვნესა, ღმუილი და კივილი.

აააააააააააააააააააააააააააააა

სიბნელეში წინ მივიწევთ, შიშველი სხეულები წინ მიიწევს, სანამ აუზის კიდეს არ მივაწლევთ. და მერე, როცა თვალები სიბნელეს ეჩვევა, ყველაფერს ვხედავთ:

აუზი. უწყლო.

დაცლილი აუზი, აქა-იქ შემორჩენილი პატარა გუბებით.

და აი, აუზის შუაგულში, მისი დაკრუნჩული და დაგრეხილი სხეული, დამსხვრეული, და მისი ველური ბლავილი, რომელიც აღარ ჰგავს ქალმერთის ან ანგელოზის ხმას. ოაოაოაოაოაააააააააააააააა

არ ვლაპარაკობთ. ერთმანეთს არ ვუყურებთ. ახლა იმდენად ერთად ვართ, რომ დალაპარაკება ან შეხედვაც კი არ გვჭირდება.

და აუზში ჩავდივართ, ვძვრებით.

თავზე ვადგავართ.

ჯერ კიდევ გონზე იყო. ისევ კიოდა, ბლაოდა და იკრუნჩებოდა.

გვინდოდა გვეგრძნო ის, რასაც ჩვენი მეგობარი გრძნობდა – ის ერთ-ერთი ჩვენგანია, ჩვენ შემოქმედები ვართ, - არა, ჩვენ ადამიანები ვართ, - გვინდოდა გვეგრძნო ის, რასაც ჩვენი მეგობარი გრძნობდა – გაგვეზიარებინა მისი ტკივილი.

მაგრამ ასე არ მოხდა.

ვიდექით. ვიდექით, ვუყურებდით კრუნჩებებს და ვუსმენდით კივილს. ვიდექით და ვუყურებდით. ყველანი.

ვერაფერს ვერ ვიზამდით. ვერ შევეხებოდით. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რაღაც მაინც გვეგრძნო. სიცოცხლე თანაგრძნობის გარეშე...

კრუნჩებები მალე შეწყვიტა. ის... ჩვენთან აღარ იყო. მოკვდა? მგონი, იმ წუთას ამ აზრმა გამიელვა და – არა, არ მოკვდარა და რატომდაც ეს ყველამ ვიცოდით. უბრალოდ, გონება დაკარგა.

და აპა, ცნობილი განდგომილი არტისტი ახლა ფეხებთან გვიგდია და ჩვენ ვფიქრობთ:

სწორია. ისეთი გრძნობა გვაქვს, რომ – არის ამაში სიმართლის მარცვალი.

ძალიან ვწუხვარ, რომ იტანჯები, რომ გტკივა – მაგრამ ეს სამართლიანია.

სალისთვის, რეისთვის, ჩვენთვის – ეს უნდა მომხდარიყო.

იცი, შენ დაფრინავდი – ხო, ფრთები გაშალე და თავზე გადაგვიფრინე. კი, ბატონო. შენ ცდილობდი და გიფასებთ. მცდელობას. მაგრამ, რა გეგონა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა? მაღლა-მაღლა დაფრინავდი, ზემოდან უყურებდი ჩვენი ცხოვრების ნესს, ჩვენს ქალაქს. მართლა გეგონა, რომ შეგრჩებოდა? რა თქმა უნდა, არ შეგრჩებოდა. ახლა კი პირდაპირ მიწას დაეხარცხე. გტკივა, არა? წარმომიდგენია. კი, გეტკინება.

რა კარგი გრძნობაა. შესანიშნავია. ერთი დაგანახა შენი თავი. ჰეჭ, ცალი თვალით მაინც შეგახედა. მე შეუდარებელი ვარ.

ჩემში იმდენი ძალაა. ოპ, იმდენია, რომ ვერასოდეს წარმოვიდგენდ.

შე ახვარო შე ახვარო შე ახვარო შე ახვარო შე ახვარო შე ახვარო შე ახვარო

და ჩვენ

ხომ შეიძლება, რომ მოკვდე. იქნებ სიკვდილმა მოგაკითხოს. და თუ შენ მოგაკითხა, ესე იგი, ჩემთვის არ მოუკითხავს. მე გამითენდება ხვალინდელი დღე.

და ჩვენ

შე მძღნერო შე მძღნერო შე ბოროტო ბოროტო ბოროტო მძღნერო. ამას რომ იფიქრებ სხვა ადამიანზე, რამდენი ბოროტება უნდა იყოს შენში?

და ჩვენ

შენ მპატრონობდი. შენ პატრონობდი ჩემს გამოფენებს ბოჭემურ უბანში. როგორც იქნა: ახლა მე ვიქნები შენი პატრონი. შემიძლია, მოგიარო. სხვა როგორ გადაგიხად სამაგიერო დამსახურებისთვის", შენს დასახიჩრებულ სხეულს მოუკვლი.

და მისი სახე. გეგონათ, რომ სამუდამოდ შერჩა ტკივილისგან დალრეცილი ნიღაბი? არაფერიც, სახე ისეთივე ცივი და გაუცხოებული ჰქონდა, როგორც ყოველთვის. რომ შემძლებოდა მისთვის თავის ქალა გამებურლა, ან სკალპი ამეხადა მხოლოდ იმიტომ, რომ გამეგო რას ფიქრობდა, რას გრძნობდა, სიამოვნებით გავაკეთებდი. ღმერთს გეფიცებით, მართლა გავაკეთებდი.

ღვინისგან მთლად გამწვანებული ფსელის პატარა ნაკადი დავინახეთ. ახლა ვეცინება ამაზე, მაგრამ მაშინ სწორედ ფსელმა გამოგვაფხილა.

და ავწრიალდით, ვრცელ, კარები გამოვუღეთ, შენ სასწრაფოს გაჟყევი, მე მანქანით...

გთხოვთ, უშველეთ ჩემს მეგობარს, გთხოვთ, საშინელება შეემთხვა, გთხოვთ!

პალატაშია. წვეთოვანებით, სახვევებით, აპარატებზე მიერთებული. და ჩვენ, წინ და უკან დავდი-

ვართ, ერთმანეთის თვის ყავა და სიგარეტი მოგვაქვს და დერეფანს ვაკონტროლებთ, ვეკითხებით ექმიშს და ექტნებს: სიახლე ხომ არ არის, სიახლე, სიახლე, სიახლე? ერთმანეთს ვირ ვუტყდებით, როგორი – ჰო, ვიტყვი – როგორი აუიტირებულები ვართ.

შენც იგრძენი ეს?

ძაან არ მინდოდა, მაგრამ მაინც

მაგრამ, მაინც აუიტირებულები ვიყავით, თუმცა ყველანი უარვყოფთ. იმიტომ რომ, ეს არ არის ადეკვატური რეაქცია.

“თქვენი მეგობარი ვერაფერს ვერ გრძნობს”, გვეუბნება ექიმი “ნამდვილად ვერაფერს ვერ გრძნობს”.

მიდი, შე მუტელო, იგრძენი. მიდი, ჰო, იგრძენი. ჩვენ ვუყურებთ. ისე ვუყურებთ, როგორც უნდა ვუყურებდეთ. და ვაკვირდებით თავს ოდნავ თუ გაამოძავებს, ოდნავ მაინც თუ დაიკვნესებს, ლოყაზე ცრემლი თუ ჩამოუვარდება. თითქოს ვიცით, რომ ასე უნდა მოხდეს.

ვუყურებთ მის დალენილ სხეულს, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობთ. არა და ვის, თუ არა ხელოვანს, უნდა ეგრძნო რაღაც...

და უცებ, ერთ-ერთმა ჩვენგანმა, არ მახსოვს რომელი იყო, უთხრა:

“შენ ჩემი არ გესმის, მაგრამ შენ მიმართ საძაგლობებს ვგრძნობდი. ამიერიდან ასე ალარ იქნება. ასე ვერ გავაგრძელებ. შენ ახლა გიჭირს და მე მოგივლი. გთხოვ, შემომიშვი და გპირდები, რომ მეყვარები. ნუ იქნები განდგომილი. აქ იყავი, გთხოვ”.

მერე მის სახლში ვპრუნდებით, ვისვენებთ და ვხედავთ, როგორ მოაბიჯებინ ჩვენს ოთახში: სალი – შეჭმული მერდით, რე – ასანთის კოლოფისხელა ფილტვით და ესეც და ჩვენ გვინდა რომ შევუერთდეთ ამ მსვლელობას ჯოჯოხეთისკენ, ან სამოთხისკენ, ან განსანერდელისკენ, მაგრამ არ ვუერთდებით. იმიტომ რომ, ჩვენ გვაქვს დიაზეპამი და მოსაწევი, ღვინო და დიაზეპამი. და ყველაფერი კარგადა.

მეორე დღეს პირადი მწვრთნელი ქვითინებს, მზარეული ყუის, აუზის მომელელი ბიჭი იმუქრება, ოვერდოზით გავიპარებიო. ის ბიჭი, რომელმაც გაუფრთხილებლად დაცალა აუზი. ის ბიჭი, რომელსაც ჩვენ ვანუგეშებთ. როგორი კეთილები ვართ.... თურმე შესანიშნავი ადამიანები ვყოფილვართ.

და როგორც კი ჩვენში საჭირო ძალას აღმოვაჩინთ, საავადმყოფოში მივდივართ.

ახლა ალარ გვახსოვს. ამას არა აქვს მნიშვნელობა. თუმცა, როგორ არა. კურატორების და ხელოვნებათმცოდნებისთვის აქვს. მაგრამ, ჩვენთვის არა აქვს არააირი მნიშვნელობა. მოკლედ, ერთერთ ჩვენგანს ფოტოაპარატის ნამოლება მოაფიქრდა.

არც კი ვიცით, ვინ ჩაიგდო ჩანთაში ციფრული ფოტოაპარატი. შეიძლება ყველამ ერთად.

მოკლედ, ვდგავართ საავადმყოფოში ფოტოაპარატით ხელში.

და ჩვენ აქ ვართ. ჩვენ აქ ვართ. და ჩვენ აქ ვართ პალატაში. და უალუზებიდან მზის სინათლე შემოდის.

გამარჯობა. გამარჯობა. აი, ჩვენც მოვედით.

გეხვენები, გაილვიძე და შეგვაჩერე. ნუ მოგვცემ ამის უფლებას. არაა აუცილებელი რაიმე თქვა. უბრალოდ თვალები გაახილე და მორჩა. რომ იცოდე ჩვენ როგორ... შენ ჩვენი ჯგუფის ნანილი იყვავი.

და კამერა ძირს დავუშვით.

მიდი, შემოგვხედე. დავვინახე. იგრძენი. იზრუნე. ეს ხომ ბუნებრივია. მაგრამ ჩვენ...

და ვაკვირდებით, რა მდგომარეობაშია ახლა. სისხლი ჩამონმინდეს, სხეული ისეთი დალურჯებული და დასიებული აქვს, რომ ადამიანის ასე დამახინჯება ნარმოუდგენელია. კიდურები თაბაშირში აქვს. კისერი თაბაშირში აქვს. ნიღბით ასუნთქებენ უანგბადს. წვეთოვანები და მილები. ხელოვნური სუნთქვის აპარატი წუის. მოძრაობა... უცვლელი სურათი...

ჩვენი მეგობრის, ჰო, მაგრამ ასევე...

დანადგარების ხაზები....

მოიისფრო დაბეჭილობა...

მიმზიდველია. მაცდურია. ამაში არის მშვენიერება. მთელი ცხოვრებაა, მშვენიერებაზე ვნადირობთ და ახლა იგი ჩვენ ნინაშეა.

ვდგავართ და ვუყურებთ და გვაფორიაქებს ეს მძაფრი მშვენიერება.

(მოისროლეთ ეგ საძაგელი კამერა მერვე სართულის ფანჯრიდან.)

იმ პალატაში ჩვენთან ერთად რომ ყოფილიყავით, ალბათ, თქვენც იმავეს იგრძნობდით. დღეს ჩვენ ყველანი ხელოვანები ვართ.

განათება კარგი იყო, სივრცე კომპიუტიციის ბევრ ვარიანტს გთავაზობდა, - და სიმართლე რომ ვთქვათ, ისეთი ადვილი ადვილი ადვილი იყო იმ ფოტოების გადალება, რომელიც მერე ასე შემზარავად გვეწვენებოდა.

(ლინზა დალენე, ობიექტივში ჩააჯვი და მეხსიერება ნაუშალე.)

და იმის ცდუნება, რომ კომპიუტიცია გადაგვეწა... ცოტათი გამოგვენია სანოლი, სახე სინათლეში მოქცეულიყო. ცდუნება დიდი იყო და ჩვენ ვერ გაუძებელით. სანოლი სინათლეში გამოვაგორეთ, თან ვამონმებდით, რაიმე მილი ან წვეთოვანი რომ არ მოგვეგლიჯა... როგორც ხედავთ, მეცნიერებას და ხელოვნებას თურმე ბედნიერად შესძლებიათ თანაცხოვრება.

პირველი კადრის გადასალებად ბევრი დრო დაგვირდა. პირველი კადრი. სურათი.


მერე, როცა მოსაწევ ათახში ვისხედით, ჩვენს თავს ვეუბნებოდით:

ცუდად მოვიქეცით. საშინლად. ხომ არ ჯობია, მოვნიშნოთ და წავმალოთ ყველაფერი, რაც... ჰა, რას იტყვით?

ასეც მოვიქეცით. არა – სიმართლე გითხრათ, - ცოტალა დაგვაკლდა. უფრო სწორად, არ წაგვიშლია.

იმ ღამით ლეპტოპში ვათვალიერებდით ჩვენს ნამუშევარს და სულაც არ შეგვზიზდა ჩვენი თავი ისე, როგორც ველოდით. უკვე დავიწყეთ ფიქრი – ინტერიუსებზე, გამოფენებზე, კატალოგებზე, გაყიდვაზე.

მომდევნო ორი თვე ყოველდღე დავდიოდით.



დილიდანვე საავადმყოფოში, ელოდები ხელსაყრელ მომენტს, რომ ფოტოები გადაიღო, სანამ შეგიძლია.

ოჲ, რა კარგად შევისწავლეთ ის საავადმყოფო! ის კი არა, ცოტა ხანს სანიტარს ვხვდებოდი – მიგელი ერქვა, სისხლის ანალიზებიც ავიღეთ ვენერიულებზე და ერთმანეთს შედეგებიც ვაჩვენეთ, მაგრამ სერიოზული ურთიერთობებისთვის მზად არ ვიყავი და ყველაფერი მალე დამთავრდა. მგონი, მიგელს კაუნდა გასჩენოდა რაღაც ეჭვი – ყოველდღიურ ფოტოსესიებზე. არა, ამაში ცუდი არაფერი იყო, მაგრამ...

მაგრამ მაინც ჩუმად ვმოქმედებდით მთელი ეს დრო. შეიძლება, უბრალოდ, მძაფრი შთაბეჭდილებები გვინდონდა.

საღამობით ყველაფერს საგულდაგულოდ ვამონმებდით, რაც დღისით გადავიღეთ.

ვანესრიგებდით, თანმიმდევრობით ვანყობდით, კატალოგისთვის ვამზადებდით. საცდელი ბეჭდვაც კი დავიწყეთ გადლაბნილი ფერებით, ტონირებით და სხვადასხვა ხარისხში...

მისი სახლი ჩვენი სახლია, ჩვენი სახელოსნოა. დილით მზე გვაღვიძებს, ლამე სარწყავი გაყვანილობა ცვარავს გაზონს და ჩვენ კი მისი მოსამსახურები გვაჭმევენ და გვივლიან.

ამასობაში, ჩემი სხეული იფურჩქნება და მკვრივდება – პირადი მწვრთნელი დილის 6 საათზე მოდის, მერე გარეუბნების გავლით სპორტდარბაზისკენ მივრბივართ და ნაშუადლევს აუზს ორმოცდათვერ გადავცურავ.

ნეტავ დიეტოლოგი აქამდე ამეყვანა. შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

და თუ დროზე მივხედავთ ყველაფერს, წესიერ არტ-დილერს დავუკავშირდებით, წესიერ აგენტს, მარკეტოლოგს – ეს ფოტოსერია ძალიან მნიშვნელოვნება.

ლოვანი გახდება.

გაოგნებულები ვაკვირდებოდით, - ხომ გესმით, არა? – დღითიდლე როგორ იცვლებოდა მის სხეულზე ნაკანები, დაუეუილობები და ჭრილობები.

უბრალოდ შეხედე. შეხედე. არა, შეხედე და დაინახავ. რა საინტერესოა, არა? ხო საოცარია?

როგორ მწიფდება მის სხეულზე იარები და როგორ ებერება ყველაფერი. ან რა ფერთა პალიტრაა ჭრილობებზე. ერთ დღეს დასიებული ქუთუთო ჩაუცხრა და ცალი თვალი გამოუჩნდა, მაგრამ მეორე დაუსივდა. ჰო.

ისეთ ერთიანობას ვგრძნობთ. ჩვენ ახლა ერთნი ვართ. გასაკეთებელი კიდევ ბევრია და ჩვენც ვმუშაობთ.

ცოცხლები ვართ – კარგად შემომხედეთ: ბებერი გვამი სიცოცხლეს დაუბრუნდა – ფრთხი გავშალე, თამამად დავაბიჯებ მინაზე და ლრმად ვსუნთქავ სუფთა ჰაერს.

ალელუია! ალელუია! ალელუია!

ძან ხმამალლა არ მოგივიდეს

ალელუია! ალელუია! ალელუია!

თუ გინდათ, შემომიერთდით.

ალელუია! ალელუია! ალელუია!

ჩვენ ერთი ჯგუფი ვართ! ჩვენ ერთი ჯგუფი ვართ! ჩვენ ერთი ჯგუფი ვართ!

მაგრამ ბენიერება ისეთი ხანმოკლეა. რვა კვირა და მერე...

ჩვეულებრივად მივაკითხეთ. ამ დროს მიგელი – უკვე აღარ ვხვდებოდით ერთმანეთს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს – მიგელი გაღიმებული გვიახლოვდება, სახე უბრნებინავს.

ვხვდებით. ვხვდებით. შეუძლია არც გვითხრას:

“თქვენი მეგობარი გონზე მოვიდა.”

ოჲ.

ორიოდ თვეში მძინარე მზეთუნახავმა...

ოპ.

რაღაცნაირი სიმსუბუქე ვიგრძენი... იმიტომ, რომ რასაც ჩვენ ვაკეთებდით... რა იყო ეს? ეს ფოტოების გადაღება? ქურდობა...? არა არა არა არა. ასე არ უნდა მოვქცეულიყავით. ეს იყო.... შვება, ნამდვილი შვება. მოკლე... გადავრჩით. რა ბედნიერებაა, რომ ხელოვნების დრო წავიდა და შეგვიძლია, ისევ ადამიანები ვიყოთ.

არაჩვეულებრივია.

ნეტავ, აქ იყოს, ჩვენთან იყოს.

სანამ პალატაში შევიდოდი, ერთი ხაზი გავიყნოს. ეს ადრე არავისთვის მითქვამს. ზუსტად მაგდენი მქონდა, ერთი გაყინოსვა, გასახდელში შევედი და... ჩემით თავის მე თვითონ არ მესმის.

"გამარჯობა! გვიცანი?! ყველანი შენთან ვართ!"

არ გაულვიძია - უფრო სწორედ, ეს არ არის ჩვეულებრივი სიფხიზლე - შიგადაშიგ აზრზე მოდის, თვალებს ახელს, გვიყურებს და გვხედავს. აქაა, ამ პალატაში, ჩვენთან ერთად. ერთხელ გაგვილიმა კი-დეც. ყველაფერს გეფიცებით.

გვიხარია მისი ამბავი და ჩვენიც. ძალიან გვიხარია, მაგრამ მაინც...

სტანდარტულ სიტყვებს ვეუბნებით, როგორც ნახევრად უგონო ავადყოფებს ან ჩვილ ბავშვებს ელაპარაკებიან. ენის მოჩილექით ვეჟღურტულებით, ცოდნა, პატარა.

"ერთხელაც წავიდეთ, შიშვლებმა ვიდგაფუნოთ! აი, როცა მოგინდება. აქედან გაგიყვანთ, აუცილებლად. მერე ტანსაცმელს გავიხდით და ყველაფერი ძეველებურად იქნება..."

... ჩვენთან ერთად იქნები, ისევე, როგორც ათი წლის წინ, ყველაფერს გავიხდით და დავიკიდებთ, ვიქენებით მხოლოდ ჩვენ და ჩვენი ფუჩუები, კუტურები, ძეძუები და ტაკუნების ღარები და მთელი ეს მობანავე მშვენიერება ვიქენებით ჩვენ. იჯიქრე ამაზე, ძვირფასო, ამაზე იფიქრე. რა ბედნიერებაა, რომ ეს ერთხელ უკვე გამოვცადეთ ცხოვრებაში და კი-დევ გამოვცდით. აუცილებლად. აუცილებლად. აუცილებლად.

ვკოცნი. რეაქცია არა აქვს. მაგრამ არა უშავს. ყველაფერი ხომ...

ერთმანეთს ვეუბნებით: მორჩა. უკეთ ხდება. ბედნიერი დღეები გვიახლოვდება.

ერთმანეთს ხელებს ვჭიდებთ, ვიღიმით და ვმლერით. მთელი ჯგუფი მისი სანოლის ირგვლივ ვდგავართ, უუმლერით და უცებ თვალებს ახელს, ამოგვეხდავს და...

ერთი წამით მეჩვენება... არა.

ჰო, მეც მომეჩვენა... არ ვიცი, სხვებმა თუ დაინახეს...

მე მგონი, ყველას მოგვეჩვენა...

მან იცოდა. იცოდა, რასაც ვაკეთებდით. ჯიბეში ფოტოაპარატი დამინახა და მიხვდა. ჩვენზე გაცილებით ჭკვიანია.

მაგრამ ეს შეუძლებელია.

ტუჩებს წყლით ვუსველებთ, თითებზე ვეფერებით და ჩურჩულით ვეუბნებით:

გვიყვარხარ.

ის კი გვპასუხობს:

დიდი მადლობა, რომ მთელი ეს წლები ჩემი მე-

გობრები იყავით.

ესე იგი, არა, ვერც კი ხვდება, როგორ გვძულდა და ამ სიტყვების გაგონებაზე თავს ბედნიერად და მიტევებულად ვგრძნობთ. არაჩვეულებრივი გრძნობაა.

საათობით უუსხედვართ გვერდით, როცა სძინავს, ან ღვიძავს და მგონი, ჩემს ცხოვრებაში... ჩემს ცხოვრებაში ასე მშვიდად არასოდეს ვყოფილვარ.

აბა, სახლში დაბრუნებულებს რა დაგვემართა... ის რამდენიმე კვირა სპორტდარბაზში არ მივლია. მუცელი მომემჩვარა.

გულისრევამდე ვჭამ ქათმის ფრთებს და ნაყინს.

ერთ ღამეს, როცა სასმელი, მოსაწევი და კოკაინი თავზესაყრელად გვქონდა. სერიოზულად დავცხეთ ერთმანეთს. უმიზეზოდ. დიდი წივილ-კივილით, კარების გაჯახუნებით, ცრემლებით და უხერხული სიჩუმით.

რატომძაც ეგეთ დროს ძაან მნიშვნელოვანი ხდება ის, რომ ნარკომანი ვარ. მინდა, ძაან მინდა ჯვეუფის ნაწილი ვიყო, კი, ნამდვილად ეგ მინდა და იმათ თუ არ უნდათ იქნებ მე გავრიყე ტფუ ჯანდაბა ამ ოთახში ერთი შპრიციც კი არ ვდია არსად, ეს რანაირი საავადმყოფოა შპრიცები რომ არა აქვთ?

ჩემთან თუ დაწვები 100 დოლარს მოგცემ. დაანებე ამ აუზს თავი. არ შეიძლება ერთი წუთით დაივიწყო ეს აუზი და ერთი კარგად მომტყნა? ჩემს ფულს რას უნუნებ.

რეი და ტომი და სალი ჩემს ოთახში დაწრიალებენ. მესმის, რომ ეს ნარკომანის ჰალუცინაციებს ჰგავს, მაგრამ მე ამას გლოვას დავარქმევ, როცა მკვდარი მეგობრების ძელები თავზე გაცვიგა და სიცოცხლის ხმებს ახმობს, სანამ ჩვენ... ვჭამთ. გვძინავს. ვჯვამთ. ვანძრევთ. და მერე თავიდან. ვჭამთ. გვძინავს. ვჯვამთ. ვანძრევთ. და ისევ თავიდან.

ჰო, მართალია, ერთ-ერთმა ჩვენგანმა გადაწყვიტა მისთვის სურათები ეჩვენებინა. არ მახსოვს რომელმა...

მგონი მე არ ვყოფილვარ, მაგრამ...

იქნებ, მე ვიყავი...

რა მნიშვნელობა აქვს, ერთ-ერთმა ჩვენგანმა. ყველანი იმ ოთახში ვიყავით და ყველამ რაღაც განსაკუთრებული დავინახეთ მის ღიმილში, გამოხედვაში.

მომეჩვენა, რომ მე მადანაშაულებდა და...

ძალიან ძნელია მიხვდე, რას ფიქრობს. ყოველთვის ასეთი იყო... როგორც წესი, გეჩვენება, რომ პასუხს გთხოვს.

მე უბრალოდ მინდოდა...

ვიღაცამ გაიფიქრა მე უნდა ვუთხრა, რომ თავი უკეთ ვიგრძნო.

ან იქნებ იმიტომ, რომ მისთვის ტკივილი მიგვეუნებინა.

თავის ჯერ კიდევ დალენილ და დალილავებულ სხეულს დახედა და თქვა:

"აე არსაც სარკე არ არის, ალბათ საშინალად გამოყიურები. დიდი ეჭვი მაქვს, არ უნდათ, რომ დავინახო როგორ.

და უცებ ვიღაცის ხმა გაისმა:

"არა არატომ, შეგიძლია ნახო როგორი ხარ"

"მართლა?"

“იქნებ, არ ღირს. ჰო, არ ღირს, ასე აჯობებს”

“არა, მინდა ნახვა”

არ შეგვაჩერა. ხომ ხვდებით... არადა, ჰქონდა შანსი.

“სარკე გაქვთ?”

“არა, მაგრამ...”

ლეპტოპი გავშალეთ. პირველი კვირა საავად-მყოფოში. ადამიანს არ ჰგავს. შემდეგ. მეორე კვი-რა. მესამე. და ა.შ. თანდათან უკეთ ხდება.

უყურებდა, მაგრამ მის მზერაში...

მის მზერაში ვერაფერი ამოვიკითხეთ.

უცებ გვეკითხება:

“საიდან გაქვთ ეს ფოტოები?”

ჩვენ ვუპასუხეთ:

“ჩვენ გადავიღეთ”.

და მეგონა, რომ მიხვდებოდა ჩვენს ბოროტ გან-ზრახვას, მაგრამ მგონი ვერაფერს ვერ მიხვდა, იმი-ტომ, რომ გვითხრა:

“დიდი მადლობა”

გულწრფელი მადლობა იყო.

არ უთხოვია ლეპტოპი გამორთეთო, მაგრამ ჩვენ გამოვრთეთ.

ბატარეა ჯდებოდა.

მერე, მითხრა:

“შეგიძლია ტუალეტში წამიყვანო?”

კათეტერი უკვე აღარ ედგა. ტუალეტში წავიყ-ვანე. თავს კარგად ვერაწინობდი, იმიტომ რომ ჩემზე იყო ჩაჭიდებული და ვხვდებოდი, რომ მართლა ვჭირ-დებოდი.

რამდენიმე მისვლაზე ეს სურათები არ უხსენე-ბია. არ მახსოვს ზუსტად რამდენზე... სამი... ოთხ... მოკლედ, რამდენიმე დღე ეს თემა არ წამოჭრილა.

მე მგონი, რამდენიმე კვირა არ გვილაპარაკია ამაზე. ისე, სიმართლე გითხრათ, ამაში ცუდი არა-ფერი იყო. პირიქით, კარგი ვქენით, რომ ეს ყველა-ფერი დავაფიქსირეთ მისთვის.

ჰო, თუ მისთვის დავაფიქსირეთ, ჰო...

მაგრამ, კომპიუტერი მოიტანით, მერე გამოფენას ვგეგმავდით... ამას თუ არ ჩავთვლით, მაშინ, ჰო...

ერთ დღესაც გვითხრა:

“ფოტოაპარატი მოიტანეთ.”

“ო... არა.”

“კი, მოიტანეთ ფოტოაპარატი. გაგრძელება მინ-და. თანდათან უკეთ ვხდები. უფრო და უფრო ვძლი-ერდები და მინდა ეს ყველაფერი დავაფიქსირო.”

სხვა რა გზა გვქონდა, მოვუტანეთ ფოტოაპა-რატი.

იმ დღეს იცინოდა. ისეთი ბედნიერი იყო. თავი სინათლისკენ მიატრიალა, ნაჭრილობევი უკეთ რომ გამოჩენილიყო.

პერანგი აინია, ნაკერები და დალურჯებული ხორციდან გამოშვერილი ძვლები რომ გამოეჩინა.

ისეთი ენერგია ამოძრავებდა, როგორიც წლე-ბის მანძილზე არ გვინახავს.

“შენ იქ დადექი. აი, ასე. წვეთოვანი ჭრილობას-თან ერთად მოახვედრეთ კადრში.”

და მის ბრძანებებს ვასრულებდით. უამრავ ფო-ტოს ვიღებდით. მერე, გვეუბნებოდა:

“შემახედეთ. შემახედეთ. შემახედეთ. შემახე-

დეთ”.

ეს ბრძანება იყო.

მართალია, ბავშვურად ნათქვამი, მაგრამ მა-ინც...

ჰოდა, ჩვენც ვათვალიერებინებდით. ის კი ძა-ლიან უურადლებით აკვირდებოდა. და უცებდა...

ასეთ დროს, ნებისმიერ ფსიქიკურად ჯანმრთე-ლი ადამიანი ინატრებდა რამე ძლიერ ნარკოტიკს, ან იმ პალატიდან გაქცევას.

მას კი ფოტოები მოსწონს.

მთელი ეს ენერგია.

ყოველდღე გვამუშავებდა. და ყოველდღე ვა-ფიქსირებდით.

ადრე რაღაც ხიბლი ჰქონდა. მას ეძინა, ჩვენ კი თითქოს რაღაცას ვპარავდით, ახლა კი...

მისი გაბეჭინიერება სამსახურად გადაგვექცა. გიუდება ამაზე. და ყოველ დღე სულ უფროდაუფ-რო ძლიერდება. ამასობაში კი ჩვენ... ჩვენ, ცოტა არ იყოს, ცუდად ვართ.

თავის ტკივილები მაქვს. ქრონიკული შაკიკი. ამ დილით პარსვის დროს ხელი ამიცდა და აი, შეხე-დეთ ჭრილობას. არა, ახლა არა მიშავს, მაგრამ ზოგ-ჯერ ძალიან მერვის. არა უშავს, ჩემზე ნუ იდარ-დებთ. ექიმო, ექიმო მგონი აუზის მომვლელმა ბიჭ-მა რაღაც სოკოვანი დაავადება გადმომდო. თანაც, ხომ იცით, რომ წამალი გადავაგდე და ცრემლებს ვერ ვიყავებ.

ლმერმო, რა მოხდება, რომ დაიძინოს. არ გვინ-და, რომ გადაიღალოს... წესით, სულ უნდა ეძინოს, თუმცა... ჩვენ უფრო ვიღლებით.

სავადმყოფოში ვიზიტები. ფლუორესცენტუ-ლი სინათლე. უხარისხო ყავა. დაიღლები, აბა რა...

ახლა ფოტოების დაბეჭდვაც მოითხოვა. ჰოდა, დავუბეჭდეთ.

მთელს პალატაში ფენს. ალაგებს, ასწორებს, აკ-ვირდება. და ჰო, ზოგჯერ ჩვენც გვეკითხება აზრს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მისი თვალი, მისი ხედვაა გადამწყვეტი.

ძალიან მაგარია თავის საქმეში.

ისეთ ცნობილ გალურეებში ყოფილა გამოფენი-ლი, რომ... როცა აკვირდები, როგორ მუშაობს ამ სურათებზე, ბევრ რამეს სწავლობ. ეს დიდი პატი-ვია.

თუმცა, უჩვენოდ ტუალეტში მაინც ვერ დადის. ხომ გახსოვთ? დღის ბოლოს... ვკიდებთ ხელს და ტუალეტში მიგვყავს.

აზრადაც არ მოგვსვლია, რომ მასთან სხვა სტუმ-რებიკ მოღილდნენ, სანამ...

მაღალი, მდიდარი, გარუჯული... ყლე ეგა!

“ეგ კაცი ვინ იყო?”

“გალურეების პატრონია, რომელთანაც ამჟამად ვთანამშრომლობ. აქედან რომ გამწერენ ჩემი ნამუ-შევრის ჩვენება მინდა”.

რა ნამუშევრის?

“რაღაც იღები მაქვს...”

ასეც ვიცოდი. მიხხვდი, რომ წავაგეთ. ეს მისი სხეულია, ის გადახტა აუზში. და ჩვენი გადაღებუ-ლი სურათები კი არა, თვითონ იყო ნამუშევარი. მას ყველაფერი აქვს, ჩვენ ეჲ – არაფერი.

მეტი აღარ შემიძლია. ამომასუნთქეთ. მეც მინ-

და წარმატება.

ამ ფოტოების ავტორობას მიითვისებს და ჩვენ ისევ მივდრუნდებით ბოჭემურ უბანში, გავაგრძე-ლებთ ჩვენს ძალიან საჭირო საქმიანობას სოცია-ლურად დაუცველი ფენისთვის. გულნრფელად ვიტყვი, ამომივიდა ყელში, არ შეიძლება მეც ვიყო სოციალურად დაცული?

ახლა კიდევ მისთვის ყოველდღე ფოტოების გა-დაღება სასჯელად იქცა. თითქოს გესმის, რას იტყვი-ან მასზე. იცი, ვინ იყიდის ამ ფოტოებს.

რაღაცა სხვა უნდა ვაკეთო ცხოვრებაში, მაგ-რამ რა?

ჰოდა ყველამ ერთად მოვილებინოთ მის ოთახში. დავბოლდეთ. ვითომ ყველანი ერთად ვართ ამ საქ-მეში, ერთად ვიღებთ ამ ფოტოებს.

და აი, მოდის დრო. ზამთარია. ის სახლში ბრუნ-დება.

ვღელავთ. ბევრი რამაა მოსაგვარებელი.

სია ჩამონერა, რა თქმა უნდა. ტანსაცმელი და მაკიაჟი, რომელიც საავადმყოფოში უნდა მივუტა-ნოთ. შევედით. სანოლზე ზის. გველოდება. ნასას-ვლელად მზადაა. ლამაზად აცვია და სადა, მაგრამ დახვენილი მაკიაჟი გაუკეთებია.

ისე ჯანმრთელად, ისე კარგად გამოიყურება. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ჭრილობა აქვს, თა-ვი ისე ძლიერად უჭირავს, თითქოს საკუთარ ჭრი-ლობებს დასცინისო. ის წინ მიდის, ჩვენ კი მივდევთ. ჩვენ ვართ სუსტები. სუსტები ნაბიჯ-ნაბიჯ მივყე-ბით უკან.

მაგრამ, ქუჩაში, სადაც ჯანმრთელი ადამიანები დააბიჯებენ, ფლირტაობენ, ვაჭრობენ, ბოზობენ და იგინებიან... მოკლედ, იქ – როცა, საავადმყოფოს კარიდან გადის წვიმაში – უცებ, სუსტი ხდება. უცებ ხედავ, რომ კიდურები მთლად წესრიგში არა აქვს. ცოტათი კოჭლობს. ხედავ, რომ ჯერ არ მოუგონი-ათ მაკიაჟი, რომელიც დასიებულ სახეს დაფარავს.

სულ რაღაც ერთი ნაბიჯი საავადმყოფოდან ქუჩა-ში, და რამხელა განსხვავებაა. აյ ის უცხოა, ეს ჩვე-ნი სამყაროა. მიუხედავად ჩვენი უბადრუკი არსე-ბობისა, ეს ჩვენი სამყაროა, სადაც ის ფეხევეშ მი-ნას ვეღარ გრძნობს.

და ისევ კეთილები ვართ. ჩვენ კეთილები ვართ. ტაქსიში ვსვამთ, მძღოლს მიმართულებას ვკარნა-ხობთ, ხელით ვიჭერთ, რომ ჯაყჯაყმა ტკივილი არ მიაყენოს. ჩვენ აյ შენთვის ვართ. ჩვენ გაგიძლვე-ბით და გვეყვარები. ჩვენ სიბნელიდან სინათლეში გაგიყვანთ. გვენდე. შეგვიყვარე. გთხოვთ.

სახლში მისული მალე იღლება. ოდნავ ელიმება. ეს ის პატარა ლიმილია, წლების მანძილზე ყველას რომ ურიგებდა, თუმცა სინამდვილეში არაფერს ნიშნავდა. ეს ღმილი ყველას თავისებურად ესმო-და. ამასობაში, ძილი ერევა და ვეუბნებით:

“ნამოდი, დავნევეთ, დავნევეთ, დაისვენე, დასვე-ნება გჭირდება. ძალიან გჭირდება დასვენება”.

თვალყურს ვადევნებთ და ვზრუნავთ მასზე. ჩვენ გულნრფელად – ეს მნიშვნელოვანია, ამაში უნდა გვენდოთ – ჩვენ გულნრფელად ვზრუნავთ.

ძილი უტყდება. თვალებს დახუჭავს თუ არა, ერ-თსა და იმავე სიზმარს ხედავს. როგორ იხდის ტან-საცმელს. როგორ ხტება ჰაერში. მისი სხეულის რკა-ლი ვარსკვლავებიანი ცის ფონზე. მოწყვეტით ეშ-ვება ქვევით. გაქვავებული წამი. წამი, როდესაც ხვდები, რომ ახლა საშინლად გეტკინება და ბრაგ-ვანი.

და ამ დროს ეღვიძება.

ჩვენ მის გვერდით ვართ. ერთ-ერთი ჩვენგანი ყოველთვის მასთანაა. გვიღიმის და გვეუბნება:

მადლობა. მადლობა. მადლობა. მადლობა. მად-ლობა, რომ ჩემთან ხართ.

და ჩვენ ვეუბნებით:

სულელო. მე სულელო. რა სისულელეა.

გვინდა და იმიტომ ვართ მასთან. კი, წამდვი-



ელით დარეტიანებულებმა. ცოტა ხნით ვიზეიმეთ საკუთარი ძლიერამოსილება. ღმერთო – ჩვენი სხეულები ნამდვილ ტრიუმფს ასხივებდა.

მაგრამ, მოიცა... დაბეჭდილი ფოტოებიც ხომ არსებობს. ხო, დაბეჭდილები. მხოლოდ ეგლა დარჩა.

აჯობებს, შევჩერდეთ. მორჩა. უკვე დავრჩნმუნდით, რომ ძლიერები ვართ. ნამდვილად.

დაბლა ჩამოვდივარ. შემომხედეთ. ვერ ხედავთ, რომ დაბლა ჩამოვდივარ. წყალი მჭირდება.

ო, არა, ახლა მაღლა ვართ. გთხოვ... გთხოვ ახლა ნუ შეწყვეტ.

ეს ერთადერთია, რის გაკეთებასაც აქვეყნად მოვახერხებთ. ჩვენი ცხოვრება არარაობაა. ჩვენი ხელოვნება არარაობაა. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა ვიყოთ საკუთარ თავთან გულწრფელები, ჩვენი ხელოვნება ყლეობაა და არაფრად არ ლირს.

ჩვენი ხელოვნება არარაობაა, ჩვენ ადამიანები არა ვართ. საკუთარი ცხოვრება გავანადგურეთ. ხელოვნებაში არასწორი გზა ავირჩიეთ და ვერსად ვერ მივედით. ახლა კიდევ ძალიან გვიანია ჩვენი ტალანტების აღმოჩენა.

ჩვენს სხეულებს შეხედეთ, კარგად დააკვირდით – ძუძუები დღითიდელ საფლავისკენ მიმდის.

ნეტავ შიდსი ან კიბო მქონდეს – როგორ გაუმართლათ სალის და რეის – შიდსი ან კიბო, რომ არ ვიტანჯო იმის ყურებით, ყოველდღე, თანდათან, წვეთ-წვეთად როგორ ვიცლები ღირსებისგან.

არა, არ მიტრიალდე. არ მიტრიალდე-მეთქი!

პედრო – დაბრუნდი და რაც შეიძლება მეტი წამალი მოიტანე, ყველაფერს ვიყიდით.

მოკლედ, მეგობრებო, მორჩა. თუ შეიძლება, ბოლო ხმაზე ჩართეთ მუსიკა. პლაზმურ ტელევიზორში რამე პორნო გაუშვით და... ქიმიური რულეტეა ვითამაშოთ... რაც შეგხვდება კენჭისყრით, იმას გაიკეთებ ან შეისუნთქავ ან ტრაკში გაითხრო.

წავიდა, წავიდა, წავიდააა!

და სანთებელა – მისი სასწაულებრივი განკურნების პირველ ფოტოს კუთხიდან ცეცხლი მოედო. გვიხარია, ვიკინით, ბედნიერები ვართ – ცეცხლის აღი ფოტოებს ანადგურებს და მეხსიერებას შლის.

ახლა რიგ-რიგობით ვუკიდებთ

ნამდვილი კოცონია

და ჩვენ კოცონის ირგვლივ ვცეკვავთ თავისუფლები, სრულიად თავისუფლები, სანამ ფოტოები ფერფლად და კვამლად იქცევა.

სულ მაღლ სულ მაღლ სულ მაღლ არაფერი აღარ დარჩება.

რა ხდება?

აქ არის. მხოლოდ მაისური აცვია, კარში დგას. რას აკეთებთ?

ჩვენ გვინდა, ვუთხრათ:

ძაან კარგად, ძაან კარგად ძაან კარგად იცი, რასაც ვაკეთებთ. ხო იცი, არა? ხო იცი, რომ სხვა გზა არ გვქონდა?

მაგრამ არ ვეუბნებით. ვდგავართ და ვუყურებთ. სიჩუმე. შემოდის. ცენტრში დგება. და ყველაფერს ხედავს.

ხვდება – იცის.

ყველაფერი, რაც მას მეგობრობა ეგონა, სიძულ-

ვილი ყოფილა. ყველაფერი, რაც სიყვარული ეგონა, შური აღმოჩნდა. ხელებს ვუჭერთ, კისერი მოვუგრიხეთ, ფეხები გადავუმტვრიეთ, თავის ქალა გავუჩერჩევთ.

და ბოლოს. როგორც იქნა, აღარაა განდგომილი. მთელი არსებით... აქა. თვალებით გვჭამს. თითქოს გვესმის, როგორ გვეუბნება – მიუხედავად იმისა, რომ პირს არ აღებს, მაინც გვესმის, როგორ გვეუბნება:

“თქვენ პატარა ადამიანები ხართ. ყოველთვის პატარები იყავით. იმ დღიდან მოყოლებული. არსებობენ პატარა და დიდი ადამიანები. მე დიდი ადამიანი ვარ, თქვენ კი – არა. გასაგებია? გასაგებია? გასაგებია? ამდენი წელია, ამას გულში ვინახავ, მაგრამ მეყოფა. მე მაქვს ნიჭი. მე მაქვს ხედვა. კურთხეული ვარ. ვერცერთი თქვენგანი ახლოსაც ვერ მოვა ჩემთან. თქვენ გვინიათ, მთელი ეს წლები ამდენ შურსა და ბოლმას ვერ ვხედავდი? რა თქმა უნდა, ვხედავდი. სალი და რეი იმიტომ დაიხოცნენ, რომ მეტისმეტად სუსტები იყვნენ და ველარ იცოცხლეს. მეტისმეტად სუსტები იყვნენ, რომ ეცოცხლათ და ხელოვნება შეექმნათ. მე თქვენ შორის ერთადერთი ვარ, რომელიც მართლა ძლიერია და რაც არ უნდა გააკეთოთ, ვერ გამანადგურებთ. იმიტომ, რომ ყოველთვის თქვენზე ძლიერი ვიქნები. ასე რომ, შიგადაშიგ წერილები მომწერეთ და თქვენს პატარა, უმნიშვნელო ცხოვრებაზე მომიყევით”.

მორჩა თუ არა ამ სიტყვებს, ისეთი შვება ვიგრძენით – ამდენი წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ ჩვენთან იყო, აქ იყო.

მართლა დიდი შვება ვიგრძენით.

მგონი, ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედინერის ღამე იყო.

არა, მგონი კი არა, მართლა უბედინერები იყო. როცა ვიღაცა სიმართლეს ეგრე გეუბნება... აბა, სცადეთ და ვინმეს ათქმევინეთ ეგრე, თუ გამოგვათ... ამაღამვე სცადეთ... მართლა ძაან მაგარია.

რამდენიმე წელი გავიდა. აი, ხელებზე შემომხედეთ, ხომ ხედავთ, ნაჩხვლეტები აღარა მაქვს. სუფთა ვარ. ეს ოთხი კბილი ახალია. ხო ლამაზია?

ერთ ტიპს შევხდი, რომელიც მომენტასავით და უკვე 2 ბავშვი გვყავს. 2 წლის და 4 წლის. ბავშვებს ძალიან ვაყვარვარ და თავს კარგად ვგრძნობ. როცა ყველანი ერთად ვთამაშობთ გასაძერ აუზში, მეჩვენება, რომ ყველაფერი კარგადაა. ბავშვებს საკუთარი პატარა მობილურები აქვთ – უსაფრთხოების მიზნით – და ძალიან უყვართ აუზში ჩანოლილი დედიკასთვის სურათების გადაღება. რა საყვარლობაა!

მინდა მჯეროდეს, რომ ერთ დღესაც სადღაც სარეაბილიტაციო თავშესაფარში ან შიდსიანების პალატაში, ან კიდევ სადმე ყველანი ხელახლა შევხვდებით. შევხვდებით და ისევ ერთი ჯგუფი ვიქნებით. რას იზამ – რომანტიკოსი ვარ. წლები გადის, მე კი ისევ სულელი, ბებერი რომანტიკოსი ვარ.

მოკლედ. აანთეთ სანთლები. გამოაცხვეთ ტორტი. იმდერეთ. ჩვენი ჯგუფი ისევ შეიკრა. ყველანი ერთადა ვართ. ოცნება ოცნებად რჩება – ცხოვრება კი ი, ო, რა გრძელია.

ლალი-ციპი მიხაელი

ივრითიდან თარგმნა მანანა დუმბაძემ



ლალი-ციპი მიხაელი (Lali Tsipi Michaeli) დაიბადა 1964 წლის 20 მარტს საქართველოში, სენაკის რაიონში. 7 წლის გახლდათ, როცა მისი ოჯახი სხვა ებრაელებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში. ამ „გადასვლას“ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პატარა ლალიზე, რომ უკვე მოზრდილმა თავისი ერთ-ერთი უმძაფრესი ცხოვრებისეული ემოცია საოცრად შთაბეჭდავად გადმოსცა ლექსით „მატარებელი“ (ლექსის ქართული თარგმანი იხილეთ ქვემოთ).

ლალი მიხაელმა დაამთავრა ისრაელის ბარილანის უნივერსიტეტის მსოფლიო ლიტერატურის ფაკულტეტი და დღეს თავად ასწავლის ენასა და ლიტერატურას ბენ გურიონის უნივერსიტეტში. იგი 5 პოეტური კრებულის ავტორია და უძლვება ლიტერატურულ პროექტს სახელწოდებით „ვიდეო არტ პოეტიკა“, რომელშიც კითხულობს საკუთარ და მსოფლიო პოეტურ ნაწარმოებებს. მისი ნაწარმოებები იძეჭდება ისრაელის ყველაზე პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში, ის არის მრავალი

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე. ლალი-ციპი მიხაელი ერთ დროს რამდენიმე წელი საქართველოშიც ცხოვრობდა და გახლდათ ივრითის ერთ-ერთი პირველი მასწავლებელი ჩვენს ქვეყანაში. მისი ლექსები თარგმნილია 12 ენაზე და მოუხედავად იმისა, რომ ჰყავდა ქართველი ქმარი და ჰყავს ქართველი ვაჟიშვილი, ლალი-ციპი მიხაელს ქართულ ლიტერატურულ წრეებში ფაქტობრივად არ იცნობენ. ქვემოთ მოცემული 10 ლექსი მოკრძალებული მცდელობაა, გავაცნოთ ქართველ მკითხველს ჩვენი წიაღიდან აღმოცენებული სრულიად განსხვავებული, ამავე დროს, ძალიან ახლობელი პოეტი, რომელსაც თავის დიდ ქვეყანაში რევოლუციონერ, ყველაზე ლაღ და ქარივით თავისუფალ პოეტად მიიჩნევენ. ცნობილმა ისრაელელმა კრიტიკოსმა, გაბრიელ მოკედმა ლალის თელ-ავივის ეროტიკულ-ქალაქური პოეზიის სახე შეარქევა, თავად კი თავს ე.ნ. რეზისტრობული პოეზიის მიმდევარს და ერთგულ გამგრძელებელს უწოდებს.

ალმოდებული დამხატე

ალმოდებული დამხატე

ვითარცა რომი

ცეცხლი მეკიდოს თმებში ნესტოებიდან პირის ღრუდან მდიოდეს კამლი
იწვოდეს ციხე

კისრიდან ქვევით

ბული სდიოდეს ბორცვებს

გატკეპნილ

მტკრიან გზებს

გაშლილ მკლავებს

როგორც მტევნები

ესხას წიგნები

ჩემი თეძო მუცელი

მეფური დარდი

სამეფო ტახტი

მინდვრად დალვრილი ნაკადულები

და სიყვარულის ფართო ველები

მინავლული ნაკვერჩხლები ჩემი მუხლების და ბარძაყების

ნინ დახვედრილი ჩემი სირცხვილი

დამხატე

დაბადების ნიშანი ჩემი

მზადყოფნას მდგარი ხბორები

ფეხები

ტერფები

მხედრობა მეფის


უანგბადივით აალდება სახელი ჩემი

ძარღვებს მომსკდარი ყველა ფიქრი თავისუფლდება

ჩემი ფერფლიდან ჩემი არსი ამოიფრქვევა

ალმოდებული დამხატე

მეკიდოს ცეცხლი



სიყვარულის შემდეგ ყოველ ჯერზე

სიყვარულის შემდეგ ყოველ ჯერზე პირში შენი თმის ღერი მრჩება

შენამდე მოსასვლელად დიზენგოფს ვკვეთ ბენ გურიონით

რაბინის მოედნიდან ნათან ზაჟზე და იბნ გვიროლზე

მერე მეფე დავითთან ვუხვევ მარჯვნივ და მდუმარების ბალთან

კიბით ავდივარ ლიფტამდე

რომლის კარი ილება როგორც მერსედესის

და შენი მკლავების გზატკეცილებით მიმაქროლებს...

სხვათა შორის, გახსოვს, მანქანაში როგორ გირწყი?

ეს იყო სიყვარული.

სხეული

ვიცი ვარ სული და მაქვს სხეული

ვიცი ვარ სული და მაქვს სკამი

ვიცი ვარ სული მაქვს იატაკი

მარჯვენა კედელი მარცხენა კედელი

კედელი წინა და უკანა კედელი

ვიცი ჩემ ფეხქვეშ ხის იატაკია თავს ზემოთ ჭერია მაღალი

ვიცი მაქვს სკამი მაქვს ადგილი საფლავის ქვაც მაქვს

რისთვის დამჭირდა ამის მტკიცება

მოეგე გონს გონს მოეგე

ვიწყებ თავიდან

მაქვს მაგიდა მაქვს სკამი მაქვს სხეული

მაინც ვარ სული

დავმოგზაურობ სხეულზე
 რომელიც არც კი ვიცი რა არის ჩემი
 სად მე სად ის
 ან რაში მჭირდება
 ნაპატივები ეს სხეული
 შიგ ჩამძერალი რისთვის ვიღვწი ასე გულდაგულ
 სულისათვის
 სხეული სულისათვის
 სხეული

მატარებელი

შვიდი წლის ვიყავ როცა ისრაელის ემიგრანტმა
 მშობლებთან და ორ ძმასთან ერთად
 დავტოვვ საქართველო.
 რკინიგზის სადგურზე ერთი მიმართულებით აღებული ბილეთის
 განცდით ვიდექით.
 იყო მოსკოვიც მაგრამ ვიდრე ვენის ზღაპრულ სასტუმროში
 დღესა და ღამეს გავატარებდით
 ერთი მატარებლიც გამოვიცვალეთ.
 ხოლო იქიდან თვითმფრინავით ისრაელში დავეშვით -
 სხვა პლანეტაზე. იდგა 1972 წლის შუა იანვარი.
 და მას შემდეგ მატარებელი ჩემში განშორების
 სიმბოლოდ იქცა. თვითანალიზის. სხვა ცხოვრების. კარგვის.
 აღარას ვამბობ ვაგონ-ეტაპთა იმ კოლექტიურ მახსოვრობაზე
 „ებრაულ დეენემი“ რომ ჰქვია ჩემთვის კი იგივეა რაც
 წანწალის მიგრაციის ადამიანთა სევდის სიმბოლო - მატარებელი
 თუნდაც სულ ახალი სხვა რელსებზე მორბენალი
 კაცობრიობის თანამედროვე პირმშო - „ნონ-სტოპ“ მატარებელი
 როცა მოგონებათა ამ მორევში ჩაძირვას ვცდილობ
 უკან მომდევენ ჩემი ცხოვრების მატარებლის კოლაჟები
 და არა მარტო ცხოვრებიდან დოკუმენტური ფილმებიდან
 წახატებიდან ხელოვნების საგანძურიდან.
 მატარებელი იქცა ცნებად - „მატარებლობა“
 და მე არ ვიცი ვის ვეკუთვნი.


სიკვდილის გზა

ჩემი ცხოვრების ყველა ბზარში
 ბუღობს სიკვდილი
 რა მაკლია
 წმინდა ენაზე „შენი მსახური“
 რაც აჭრიალებს მუხლებს
 სიცოცხლისგან დაცლილ დედამიწას ამუხრუჭებს
 მწყურვალს სიკვდილის ენით ებაასება
 წვდიადიდან ჩასისინებს შავბნელ სტრიქონებს
 ისეთი მშვიდი
 ჯერ არ იცის
 რა არის შიში.

კაფე „ბაჩოში“

საღამოს „მფრინავ ხანჯალთა სახლის“ ყურების შემდეგ
 კინგ ჯორჯზე „ბაჩოს“ კაფეში ვისხედით
 ასეთი პოეტური ფილმი ჯერ არ მინახავს-მეთქი
 ვთქვი
 და სასიყვარულო სამკუთხედის მორევში ჩავეშვი
 რაც სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა
 ამ თმააკრეჭილი მიმტანი ქალის გადამკიდე

განსაკუთრებული ხარ-მეთქი
 ვუთხარი





და შენცო
მიპასუხა

და ქმარყოფილი გამახსენდა... სასამართლოს და სამართალს ფუძე აქვს ერთი
თანადგომის ნიშნად ხელს მომიჭრდა მხოლოდ ნიშნად
თვალებიდან მომწყდარი ცრემლი
იმ მიმტანის მოტანილ
ჟასმინის ჩაიში
ჩაიძირა

ალბათ სულაც ამ ქალმა მომგვარა ცრემლი

ისე ჰეგავდა ქართველ ქრისტიან ქალს თბილისური ლუდხანიდან
მითხარი
ბალიშებში ჩაჯექო

მერე დასძინე ერეზმა დარეკა და შენ არ გიკითხაო
სიტყვაც
არ დასცდენია
შენზეო
მითხარი

გიპასუხე
მეც სულ მასზე ვფიქრობდი-მეთქი

მერე ვთქვი ორეამა დარეკა-თქო

შენ პოეტი ქალის ბურუსით მოსილი სიკვდილის ამბავი მიამბე
თითს ვინც დაუქნევდა ყველას რომ მისდევდა
იქ, ეილათში

გაფრენილ სიტყვას ვერ დაიჭერ
ჰოდა ნურც ეცდები

თავისუფლებას ვლილინებდი
მაინც არ აფრინდა პეპელა

ცხოვრება არის ბორდელი

ცხოვრება არის ბორდელი
თქვა და „დიზელის“ ჯინსის
დუქანი ათსანტიმეტრიანი ელვით შეიკრა.

რამდენი უნდა იცოდვილო
ლაყე კვერცხის სუნმა გული რომ არ აგირიოს;
რამდენჯერ უნდა ჩაქრეს და აინთოს შუქი
სუნთქვებს შორის
ყველა კონტაქტი რომ გაითიშოს?

ცხოვრება არის ბორდელი.



ლურჯ სახლთან

ლურჯ სახლთან იდგა სიჩუმე და ექვსშეკელიანი
ესპრესოს აპარატი
ჩემი მუცლის მონოტონურ გვრემას
ფელინის კადრებით რომ აყუჩებდა
ხოლო მანამდე
ჩვენ გვექნდა სექსი
გვერდით ნომერში სხვა წყვილიც იგივეს აკეთებდა
ქალი აშკარად აღმერთებდა იმ კაცის პენისს.

და როცა ჭუჭყიანი სასტუმროს ჭერზე სიჩუმე დაიხატა
ფელინი დაიწყო ისევ - შუალამე და უკაცრიელი ქუჩიდან
ხაჭოს ბრიკეტებით სავსე ჩანთით გადმოდის კაცი
და ჩვენც იქა ვართ
ჩვენი ყოფნის ახალ ვერსიაში
და აღარ მეცინება
ღმერთის არსებობის
შენს კვანტურ თეორიაზე.

ლეგენდა სხეულზე

მაშ, წავედი
ეს მოხდა მაშინ, როცა
ჩემი პირის ღრუ გაიხსნა
ცარიელი დარბაზის წინ
ორბიტაზე, რომელსაც არა აქვს ყური
ყვირილი მოვრთე

და როცა ეს მოხდა
გაითიშა სმენის ყველა აპარატი
მთლიანად დადუმდა სამყარო
სახეზე თეთრი სიჩუმე აიკრა დედამიწამ
ისეთი
თეთრი
ნაზავი

შენ რომ იცი,
პატარძლის კაბასავით კი არა
ბუტოს მოცეკვავის სამოსელივით
თეთრ სელში შერეული სულის ნაწილი
კირით შელებილი სახე და
ყურის ნიჟარიდან ჩამოღვრილი სისხლის წვეთი
ეს მოხდა დაცლილი სამყაროს წინ
და იცი რას ვგრძნობ, როცა დარბაზი ცარიელია?
იცი რა ძალა აქვს იქიდან მოვარდნილ ექოს?

თუ სამყარო არ დადუმდა
ყურებს დაუსკდება ბარაბანები
ამიტომ არის რომ
არსაიდან ისმის ხმა
არსით პასუხი
სიცოცხლის კაფსულაში
დგახარ ეული
გახსნილი სხეულში



თელ-ავივის სკეჩები

თელ - ავივი
აქ საყვარელიც ვერ გელევა
ერთხელ მაინც წავა ის
და დარჩებით შენ და თელ-ავივი


იცნობ
ფეხებგაღუნულ სითის
ტანწერნეტა მეტროპილიებს ზედ რომ არ უყურებს
შენი ნატურაა
პირველი კონტურიდან სრულყოფილებამდე
რომელმაც დაგტოვა ტილოს მიღმა
რათა უმზირო მხოლოდ ვერასდროს შეახო ხელი
აფეთქებული კვირტი
და პანოს ზღუდე.



ნიკოლას მაჩაბელი

ეშმაკის ბორბალი

„მომო, ყოველთვის გახსოვდეს, რომ
კაცისთვის ყველაზე საბატოო ადგილი ტრაკია.
კაცის ღირსება ტრაკშია”.
რომენ გარი, „ცხოვრება წინაა”



ვინ გავრიო ამ ჩემს გაუგონარ და მიუწვდო-
მელ ამბავში – მამაჩემი, რომელიც ყოველ დილით
სამსახურში მიმყავდა, თუ დედაჩემი, რომელიც
კულინარიის კურსებს ამზადებდა ახალბედა წყვი-
ლებისთვის. როგორი დასაწყისია, თუ ვინ გავრიო
ამ ჩემს გაუგონარ და სევდიან ამბავში? არის კი ეს
კარგი დასაწყისი კარგი ნოველისთვის, მოგწყვეტი
კი ის ყველა საქმეს და გავიტაცებთ? არადა, ბევრ
მწერალს დაუწყია ასე თავის ნაწარმოები,
მკითხველთან უხილავი გასაუბრებით – არის თუ
არა ეს კარგი დასაწყისი? მაგრამ მხატვრულად აქ
საინტერესო ის უფროა, შენ, როგორც მკითხვე-
ლი, სად იმყოფები, როგორ გარემოში, რა მდგომა-
რეობაში დასცექრი ამ ნაწერს, რა განუხებს და რა
ფიქრებს ჰყავთარ გატაცებული, ბოლოს რით იყო
დაკავებული შენი ტვინი და ზოგადად ამ ბოლო
დროს რას მოუცავს შენი გონება. იმიტომ, რომ ჩე-

მი მიზანი ამ ნოველაში სწორედ ისაა, ის არამზა-
და, ის შეუცნობელი და ყოვლისშემძლე...

მოდი, არავისაც არ გავრევ და პირდაპირ მოვ-
ყვები, რეინას ხელი, ცას ხელი და აი ისიც...

მე და ჩემი სექსუალური პარტნიორი ცისია
თითქმის ყოველ მესამე დღეს ვწერაობდით. მომა-
ვალი არ გვადარდებდა და წარსულზეც თვალები
უნდა დაგვეხუჭა, რადგან იმას რომ გამოვკიდე-
ბოდით, ერთად არ დაგვედგომებოდა. ცისია ვაკე-
ში გავიცანი, ჭავჭავაძის 45-ში, კაფე Grange-ში
მარტო იჯდა თავისთვის და მობილურზე ხმამალ-
ლა ლაპარაკობდა. მაშინვე მიგხვდი, რომ მისი ხმა-
მალალი საუბრის მიზანი ჩემი ყურადღების მიპყრო-
ბა იყო, მეც ეს არ მინდოდა? ამაზე უკეთესს რას
ვინატრებდი? თავიდანვე დამევასა, წარმოიდგი-
ნეთ, ვიქტორია სეკრეტის ტიპის წვრილი და მაღა-
ლი გოგო, გაშლილი წაბლისფერი თმით, ბოლოები

მე მათ რიცხვში შევდიოდი, ვისაც უელბეკის
მოჟამული და ნაცრისფერი ავადობა შეეყარა. ეს
ავადობა ტვინიდან მოდიოდა და დაკავშირებული
იყო უამრავ ფაქტორთან, უპირველესია განცდი-
ლი ძლიერი სიყვარულის დრამატული აღსასრუ-
ლი, შემდევ მოდის დამღლელი რუტინული სამუ-
შაო გარემო, ამას თან ერთგვის მოუცდელობა, უმე-
გობრობა და ხელოვნური ძიება იმისა, რაც გაგა-
ბედნიერებს. ყველაფერს კი აგვირგვინებს აუსარუ-
ლებელი შემოქმედებითი უნარი ტვინისა, ეზიაროს
სიახლეს.


ჩემს უსიყვარულო ცხოვრებას ის დაერთო, რომ
8-საათიანი სამუშაო გრაფიკი 12- საათიანით შე-
მიცვალეს. ამას ხელფასზე არ უმოქმედია, დამა-
ბოლეს, რაღაც პროექტში ჩაგროვთო, ევროკავ-
შირმა დიდი თანხა გამოყოო. აგრე უკვე მეორე წე-
ლია, ველოდებოდით ამ თანხებს. ხომ წარმოგიდ-
გენიათ, მოაღწევდა კი ოდესმე ეს თანხები ჩვენამ-
დე? როგორც კულუარებიდან გავიგე, ხელისუფ-
ლების ახალგაზრდა პოლიტიკოსებს უკვე ჩაეჯი-
ბათ ჩვენი კუთვნილი ფული, ჩვენი 12-საათიანი
სამუშაო გრაფიკი კი ღიმილით სრულდებოდა, რად-
გან სხვა გზა არ იყო, უფრო სწორად, სხვა გზა
იყო, კი, იყო ტაქსაობა, ლოთობა, მათხოვრობა,
ქურდობა, ყველაფრის გაყიდვა, მათ შორის ჩემი
მოხუცი დედ-მამის, მაგრამ ამ ყველაფრის რატომ-
დაც ჩემი შინაგანი მორალური კრედიტი ბლოკავდა.
ხანდახან იმასაც კი ვაკვირდებოდი, რომ „არა ლო-
თობა“, „არა ქურდობა“, „არა დედ-მამის გაყიდვა“
უფრო ათ მცნებას წააგვადა და იმასაც ვასკვნიდი,
რომ ჩემი მორალური კრედიტი ათ მცნებაზე იყო აღ-
მოცენებული. ხოლო ის, რაც ათ მცნებაში არ შე-
დიოდა, ჩემი ტვინისთვის დაიშვებოდა. ასე მაგა-
ლითად, უსიყვარულო ურთიერთობა ცისიასთან -
რა პრობლემაა, 12-საათიანი გაუპროტესტებელი
მუშაობა - რა პრობლემაა, მაგრამ სიახლე? რა ვუ-
ყოთ ამ ადამიანურ რეზისტანტიზმს, რომელიც ვე-
რა და ვერ ეგუება სიახლის არარსებობას? თით-

ქოს სხეულიცა და გონებაც გაერთოანებულნი არიან და მოწოდებულნი სიახლისაკენ? მაგრამ რის ფასად? და რა ფორმებით? განა ყველაფერი და-საშვებია?

.....

კარგად მახსოვოს თებერვალი სრულდებოდა და
მახარა ცისიამ, რომ ის კვირა იწყებოდა, ამიტომ
აღარ უნდა მიმენერა, მე კი გავბედე და მეორე
დღეს მოვიკითხე. ვცდილობდი ადამიანური ურ-
თიერთობის სახე მაინც ჰქონიდა ჩემი და ცისიას
შეხვედრებს, მაგრამ პასუხად საშინალად დეპრე-
სიული ზარი გაისმა, რამაც კოტა შემაშინა, კიდევ.

- იცი, როგორ მტკიცააა? იცი, როგორ მომდის სისხლიი? შენ კიდე ბარებში ხეტიალი ვინდა, ხელის გადახვევა და სეირნობა? მე ცუდად ვარ, შენ კიდე აქ გართობაზე მებოლიალები. არა, ამკარად ციკლი ჰქონდა, ტელეფონი გავუთიშე და პირველად, რა თქმა უნდა, ყოფილი გოგოები გამახსენდა, ხუთუ ისინიც ასეთი სიგიურით ხვდებოდნენ ამ პროცესს? ამ ფიქრებში ვარ, რომ მოულოდნელად ჩემს ფეისბუქში ცისიას მესიჯი ამოხტა, ლინკი იყო. „იწებები და წაიკითხე, მომავალ კვირამდე“.



ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ ლინკი მაინც გავხსენი და წაკითხვა ვცადე. რომელილაც სამედიცინო ინტერნეტ საიტზე დეტალურად იყო ახსნილი მენსტრუაციის მნიშვნელობა, განახლების აუცილებლობა, მისი გართულებები, ქალებში სტატისტიკური მონაცემები და ა.შ. ისე კარგად იყო დაწერილი, რომ ჩამითრია, ლამაზი სიტყვებით იყო აღწერილი სისხლის ბუშტუკების პატარა საყვარელი მოქმედებანი. რამდენი რამე არ მცოდნია, ასე მაგალითად, „მე” ლათინური სიტყვა იყო და მთვარეს ნიშნავდა, ხოლო „სტრუაცია” დენას, მთვარის 28-დღიან ცვალებადობას დაუკავშირეს ქალის სისხლის ცვლა. გავარკვიე, რომ ქალის სასქესო ორგანოს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ტვინს მიუძლოდა, ის ანვდიდა მნიშვნელოვან იმპულსებს სისხლის ბურთულაკებს, რომლებიც შემდეგ იქ, ქვემოთ ახდენდნენ გადატრიალებებს, ტვინი ამზადებდა ორგანიზმს ჩასახვისა და განაყოფიერებისთვისაც. დავწერ და ისევ ამ უშველებელ სტატიას ვკითხულობდი, არადა მეორე დღეს დამღლელი სამსახური მელოდა. კითხვაში ჩამეძინა.

ლიტერატურას საერთოდ უყვარს ორაკული-სებრი თარიღები. მეც ამას ვაბრალებ, რომ ეს ყველაფერი გაზაფხულის პირველ კვირას დაიწყო და მეც იმ მესიჯიდან შეიძლება დაგინწყო ათვლა, როცა ჩემს ტვინში სიახლის ყინული დაიძრა. მეორე დღეს სამსახურში თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, შეუძლოდ, თითქოს გულყრაც მქონდა, კუჭის

თავიც უმიზეზოდ გალიზიანებულიყო, სამუშაო მპეზრდებოდა და მპეზრდებოდა. შინ ისევ ათი საათისთვის დავბრუნდი. ჩემი მოხუცი დედა და მამა ჩხუბობდნენ, მათი ჩხუბის დანახვამ გამახარა, ისინი არ ეპუებოდნენ ერთმანეთს, ორივე თავისისა იცავდა და თან ერთმანეთს უზიარებდნენ, მართალია უხეშად, მაგრამ მაინც. მე კი ცისიასთვის პრეტეზიების წაყენება კი არა, მის გაბრაზებაზეც ნული რეაქცია მქონდა. კარგა ხანი იყო, რაც ასე გამოუთმელად ვცხოვრობდი, კონფორმისტიც აღარ მეთქმოდა, უფრო რობოტების წინარემორბედი ვიყავი. დაწილისას მაღვიძარა რომ უნდა დამეყენებინა, ხელი ინტერნეტის ბრაუზერზე დამეჭარია და ისევ ის სტატია გაიხსნა, ცისიას გამოგზავნილი, წინა დღით რომ ამაფარა სახეზე. მახსოვეს კითხვა განვაგრძე და ბოლომდე ჩავედი, ვაანალიზებდი ქალთა ამ ფენომენს. სუნი, სითხე უკვე კარგად ვიცოდი, ისე ჰქონდა აღწერილი ავტორს. დაძინებისას არაფერზე არ ვფიქრობდი, არაფერი არ მინდოდა, არაფერს არ ველოდი, ამიტომ დავიძინე და ისევ გავიღვიძე, და რაც მომდევნო დღეს მოხდა ამას უკვე ველარ წარმოვიდგენდი.

დიღით ავდექით მე და მამა, დედასთან წუხან-დედე ჩხუბზე ბუზღუნებდა, მე მეღიმებოდა და არა-ფერს ვეუბნებოდი. ჩავსხედით მანქანაში და სამსახურთან დავტოვე, მე კი ისევ იქ, ისევ მეხუთე სართულზე ავედი და ოთახში კომპიუტერთან დავ-

ჯექი. ამ ორი წლის განმავლობაში კომპიუტერთან ამდენისანი ჯდომის შედეგად მეორე „მე” შევქმენი, რომელსაც მუდამ ვესაუბრებოდი, ჩვენ ერთად ვოცნებოდით და განვიხილავდით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, საოფისე ინტრიგებს, ხანდახან ცისის და სხვა გოგოების ტანებს და ა.შ. მე და „მე” ვისხედით ამ დილით და კი არ ვსაუბრობდით, ერთმანეთს უბდლვერდით, ეს პირველად მოხდა, თავს ვერ ველაპარაკებოდი, იმ გამოძახილ „მეს” ვერ ვეთამაშებოდი და ვერც წარმოსახვით ცხოვრებას ვაწყობდით, რომელიც სადღაც კი ხდებოდა, მაგრამ ჩემს სხეულში არა. დაძაბულობა ისევ გაგრძელდა, ჯერ იყო და უძილობას დავაპრალე, მერე კი ცუდ კვებას, რომ გულყრა დამემართა და ტუალეტში გავვარდი. ჩემმა თანამშრომლებმა ამ დილადრიან დერეფანში რომ დამინახეს, თავიანთი ოთახებიდან გაკვირვებით გამომხედეს, მე კი ტუალეტისკენ მივრბოდი. ორი თითო ჩავიყავი და ამოვილე და ამოვილე კუჭის წვენი და სითხე. რატომდაც გულზე არ მომეშვა, მუცლის ტკივილი კი გამიძლიერდა. უნიტაზზე ჩამოვჯექი, ცოტა სული რომ მომეთქვა. მუცელში მტკივნეული, ჭვალის მსგავსი დარტყმები არ წყდებოდა. იქნებ გავცივდი? იქნებ გაზები მაქვს-თქო? უნიტაზზე უნდა დავვადე და რას ვხედავ, ჩემს თეთრ ტრუსიკზე სისხლის ლაქებია. თვალები დავაჭყიტე, გული ისე გადამიქანდა, ლამის იქვე დავეცი, თუმცა ნელა დავვეშვი უნიტაზზე და კუჭში გასვლა ვცადე. ჩემი ტკივილები გრძელდებოდა, კუჭში კი არ გავედი, სისხლად დავილვარე. ასეთი რამ ცხოვრებაში არ მომსვლია, ასეთი რამ არც არავისგან გამიგონია, ერთი ტუალეტის ქაღალდის რულონი სულ დავცალე, რომ რამენაირად სისხლი შემეჩერებინა. გამოვედი და სარკეში ჩავიხედე, ლამაზი ვიყავი, ძალიან სიმპათიური, დაკვირვებული ვიყავი, ყოველი გაოფლვისა და დაცლის შემდეგ ისე ვლამაზდებოდი, როგორც უურნალის გარეეანზე დაკუნთული დაზეთილი ბიჭები. სარკეში საკუთარი თავის დანახვამ გამახალისა, ისევ მე ვიყავი და ისევ ცოცხალი ვიყავი, მაგრამ პრობლემა, რომელიც წამოიქრა, უთუოდ სერიოზული იყო და ექიმთან აუცილებლად უნდა წავსულიყავი.

ოთახში დაბრუნებისთანავე ჩემს სადაზღვევოში დავრეკე და მეორე დღით ექიმთან ჩავეწერე, მისგან თანხმობის დასტურირომ მივიღე, ჩემს უფროსს ეს თანხმობის შეტყობინება გადავუგზავნე და მთავარი საზრუნავი მოვიძორე, რომ მეორე დღით სამსახურის გაცდენაზე არ დამერხეოდა, ჩემი საქმეები გადანანილდებოდა და მე არ მომინევდა გაორმაგებული მუშაობა მომდევნი დღეებში. სამაგიეროდ თანამშრომლების არაერთგვაროვანი რეაქციები შემეფეთა სადილობისას, ყველას ეგონა, რაღაც მოვიმიზეზე და ყველა საეჭვოდ მიუურებდა, აბა რა ანუხებს ეხლა ამას? წავა ხვალ და დატკება კუს ტბის ხედებით თავის ვაკელ ნაშასთან ერთად, მომესმა ჭორაობაც, მე კი რიგში ვიდექი და ვფიქრობდი, დახლიდან რა უნდა ამელო ისეთი, რომ ცოტა კუჭი დამშვიდებულიყო. გამ-

ყიდველმა შემომლიმა და რას ინებებთო მკითხა, მე ცოტა მისევნ გადავიხარე და სხვებს რომ არ გაეგოთ ვუთხარი, კუჭი მტკივა და რამე ისეთი მომეცით, რომ არ გააღიზიანოს-თქო. გოგონა უკან გახტა და ხელები გაშალა. – ბატონო, აქ ყველაფერი კუჭის გამაღიზიანებელია. პირი დავალე, ჩემს უკან რიგში მდგომები მელოდებოდნენ, – კი, მაგრამ მოხარშული კარტოფილი არ გაქვთ? – კი, ოლონდ პილპილი აყრია, – ჯანდაბა, წინიბურა? – წინიბურა ტყემალშია? მოგართვათ? ჩემი მოთმინების ფიალა ივსებოდა, მეც თვალები დავხუჭე, არაფერი არ უნდა გამომეხატა, ჩემი გაბრაზება სადლაც უნდა წასულიყო, სადლაც გულში, მერე კუჭში (მართლაც იქ წავიდა), მე გავულიმე გამყიდველს – მაშინ ტრადიციულად, შემწვარი ქათამი მინდა-თქო ბულგარული წინაკით.

სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, რომ გემრიელად გეხალით, კუჭი ხმებს არ გამოსცემდა და არც გულძმარვა დამმართნია, ერთი ეს იყო რომ წელთან, თირკმელებს ოდნავ ქვევით, დუნდულებთან, დამივლიდა ხოლმე გამჭოლი ყრუ ტკივილი.

დღე გავიდა და შინ რომ მივედი, დედა და მამა სერიალს უყურებდნენ. სახლში მისვლისთანავე დავწექი და მშობლებს ვუთხარი, რომ ხვალ ექიმთან ვიყავი დაბარებული 2 საათზე, ამიტომაც მამას მე ვერ წავიყვანდი სამსახურში, მას შეეძლო ჩემი მანქანა წაეყვანა, მე კი ფეხით წავიდოდი კლინიკაში. ღამე გული უცნაურად მიფრიალებდა, მახსენდებოდა დილის ფატალური შემთხვევა ტუალეტში და შიშით დამეძინა. რისი წიშანი უნდა ყოფილიყო? სიმსივნის? რაიმე ბაქტერიის? თუ კიდევ უფრო საშიში წანლავების გადახლართვის.

შუალამისას უცნაურმა სიზმარმა გამომაღვიდა. სიზმარში ვითომ ჩემი მანქანით მივდიოდი, აქაი შუქები ენთო, ტროტუარზე კი შიშველი გოგოები დადიოდნენ. არა, ეს არ იყო ტანების წარნარი, ეროტიული ან პორნო ილუზიები, ეს იყო ქალების სხეულების საეჭვო გამოფენა. სიზმარში მქონდა შეგრძება, რომ ისინი თავის საჩვენებლად სპეციალურად ჩემთვის გამოსულიყვნენ, მე კი მანქანით ნელა მივდიოდი, რომ ამ დროს მანქანა 180 გრაუსით ამოტრიალდა და მე თავით ხევში გადავეშვი. გამომეღვიძა, ხელები ყვერებთან მქონდა წალებული და მექავებოდა, უფრო სწორად კი, სათესლე მიღს ვიქავებდი, თან მსიამოვნებდა რომ ვეთამაშებოდი და ასე ნელ-ნელა ჩამეძინა.

მეორე დღეს ექიმს ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი, ოფისში დილით მომხდარი ის შემთხვევა კარგად გავიხსენე. ექიმი შენუხებული სახით მიყურებდა და უუმურად გამომეტიხა, ვსვამდი თუ არა, რამდენად ხშირად, ადრე მქონია თუ არა ამგვარი პათოლოგიური გამოვლინება, და ბოლოს რაიმე წარკოტიკულ საშუალებას ხომ არ მოვიხმარდი. ყველაფერზე უარი რომ მიიღო, საეჭვოდ შემომხედა, მერე კი დაასკვნა, გამოკვლევები უნდა ჩავიტაროთ. ჩემი განავლის და შარდის ნიმუშები დაიტოვეს, მუცელზე კი ექოსკოპია გადამი-

ეს. პასუხები მომდევნო დღეს იქნებოდა, რა უნდა მეკეთებინა დარჩენილი დღე, ასეთი დღე რამდენი ხანია აღარ მქონია, 5-6 თვის ნინ მქონდა, როცა ერთი კვირით შევძულება ავიღე და ჩემს საყარელ თბილისს ვუვლიდი. სულ ფეხით მოვიარე ყველა ქუჩა, თავი ოცდამერთე საუკუნის გრიშაშივლი მეგონა, მაშინ იდეაც მომივიდა, თანამედროვე თბილისისთვის დამახასიათებელი ნივთები და საოჯახო ატრიბუტები მეც შემეგროვებინა. ახლა კი ქუჩაში ხეტიალის თავი არ მქონდა, მაგრამ არც სახლში მინდოდა მისვლა, ჩემს მოხუც დედას ალბათ მოსწავლები ეყოლებოდა კულინარიაში. არ მინდოდა მათი შენუბება, თანამშრომლები ოფიშში იყვნენ, ცისიასთვის ხომ არ დამერეა და შევხედროდი? არა, დამეზარა, რომ წარმოვიდგინე მისი ტვინისნამდები პასუხი, იმ წამსვე დავიჭყანე და გადავიფიქრე. საბოლოოდ ერთი კაფის მეორე სართულზე აღმოვჩნდი. ყავას ვნრუბავდი და იქიდან შევცექეროდი ქუჩაში მოსიარულე ხალხს, რა შეცვლილიყო ამ ქალაქში ჩემი ბავშვობის მერე, როგორ შეცვლილიყო ხალხი, ქუჩები, ფასადები. თვალი ისევ მეპარებოდა მაგარი ნაშებისკენ, რომლებიც ნელ-ნელა იხდიდნენ ზამთრის ტანსაცმელს და გაზაფხულურად, ცოტა თხლად ჩაცმისკენ მიუწევდათ გული. კაცები მარტოხელა ძალლებივით მიღლრინებოდნენ, ნაცნობებს საერთოდ ვეღარ ვხედავდი – გაოცებული ვიყავი – არც სკოლის მეგობრები, არც კლასელები, არც უნივერსიტეტელები და ჩემი თანაკურსელები. ყველა სადღაც წასულიყო, ყველა ის ჩიტების გუნდი აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, რომლებიც ერთხელ ჩიდებიან, ერთ სეზონზე ხედავ მათ, გიხარია, და მერე ქრებიან სამუდამოდ. ყველა უცხოეთში წავიდა, ყველა დაიყარგა, ამიტომ ჩემს თბილისში ნაცნობი ისევ ჩემი მშობლების თაობის ხალხი უფრო იყო, ვიდრე ჩემი თაობა; ან კიდევ ცისიას სანაცნობო წრე, რომელიც, იცოცხელე, საკმაოდ დიდი იყო – ვაკის მესუთე კვარტლიდნა დაწყებული და მეშვიდეთი დამთავრებული. ახლა ვაკე კვარტლებადაა დაყოფილი, მე კი ძველებურად, ჭავჭავაძის, ყიფშიძის და აბაშიძის ქუჩებით მოვიხსენიებ, როგორც მაშინ, ჩემი სტუდენტობისას. ცისიას სამეგობრო და სანაცნობო წრე ძალიან ჭრელია, თითქმის სულ გართობაზე ორიენტირებული, ეს ბავშვები მდიდარი მშობლების შვილები არიან და გარდა ამისა, სახელმწიფომ სპეციალური შეღათები გამოსცა ვაკელი ბავშვებისთვის, როგორც გადაშენების პირას მყოფი ბავშვებისთვის, ამიტომ ცისიაც და მისი მეგობრებიც თვიციალურად იღებენ ხელფასა არაფრისთვის, მხოლოდ იმისთვის, რომ იყვნენ.

დღე თვალსა და ხელს შუა გამეპარა. ყავას ყა-
ვა მოცყვა და ბოლოს წვენი. ამასობაში კი უკვე
მოსალამოვებულიყო. ფეხით წავედი სახლში. პე-
კინზე მივსეირნობდი და ჩემი ბავშვობა ისეთი სი-
ჯიუტით მაწვებოდა და ისეთი საოცარი ღრმა შეგ-
რძნებით მომტიროდა, ვნატრობდი, ისევ ის პატა-
რა ბიჭი ვყოფილიყავი, ჰოლანდის ნაკრებს რომ
გულშემატეივრობდა, პატრიკ კლუივერტის პლა-

კატეპს რომ აკრავდა მზიან ლოჯში და საფეხბურთო მატჩებს რომ უთევდა ღამეებს. წლების წინათ ის ბიჭი მეძახდა, ის თითქოს არსად წასულიყო, აქ, ჩემს მოგონებაში, ჩემს ტვინში დაეკავებინა საპატიო ადგილი.

სეირნობამ და ამდენმა ფიქრმა თავისი ქნა – უშფოთველად მეძინა, აღარც ოფისი მახსოვდა და აღარც ექიმთან ვიზიტი. დილით მამაჩემმა წამო-მაგდო ჯაჯლანით, რამდენი ხანი უნდა გეძინოს, ადექი, წასვლის დროა. თვალები გავახილე და რეალობა დამეცა თავში. წამოვხტი, გავემზადე, საჭესთან დავჯერი, გვერდით მამა დაჯდა და ამ დროს მუცელში ისევ ტკივილი ვიგრძენი. ოპ, შენი, ოღონდ ეს არა, გავიფიქრე. ოფისში დაზაფრული სახით შევედი, შიში მიტევდა, ანალიზების პასუ-ხები მაგიდაზე დამხვდა. ასეთი მოლაპარაკება იყო სადაზღვევოსა და კომპანიას შორის, ანალიზები ოფისში უნდა გაგზავნილიყო, რომ პაციენტი არ მოცდენილიყო სამსახურს. გავხსენი ფურცლები და ექიმი ისევ კლინიკაში მიბარებდა, ანალიზების პასუხი არ მონახული იყო მის მიზანისათვის. მაგრამ მის მიზანი არ იყო მონახული მის მიზანისათვის. მაგრამ მის მიზანი არ იყო მონახული მის მიზანისათვის.

ექიმმა უკვე ღიმილით მიმიღო, მომახსენა, რომ
ყველა ანალიზის პასუხი ნორმალური იყო და არა-
ფერი სანერვიულო არ ჩანდა, მაგრამ მეტად დაა-
ფიქრა ჩემმა მონაყოლმა და საკითხების დასაზუს-
ტებლად კიდევ მეტაცა, ხომ არ მანუხებდა მუცე-
ლი, ან კიდევ ხომ არ შეგიმჩნევია იგივე სიმპტომე-
ბი. შემდეგ ქალალდზე დაწერა ტექსტი და გად-
მომცა, თან გამიღიმა – თავისი დაზღვევის მიზნით
ამ ექიმთანაც მიდიო. ქალალდი ავიღე. ზედ ეწერა
ინიციალები. გაბრიელ კ. ჰეკინის N5. რომ შევხე-
დე, დაამატა, ცნობილი ძველი ქირურგის ი.კ.-ს
შეილია, დამიჯერეთ, სჯობს მასთანაც გადავამოწ-
მოთო.

პირდაპირ პეკინის ქუჩისკენ გავემართე, კლი-
ნიკაში რომ შევეძი და ექიმის ბარათი გადავეცი
მიმღებში, იმ ოთახისკენ მიმითითეს, რომელზეც
წაეწერათ – „ჰორმონოლოგის განყოფილება, ექი-
მი გაბრიელ ჭ.“.

გაბრიელი ოთახში დამისვდა. რიჟა, სანდომია-
ნი სახის მქონე, გაპარსული და პოზიტიური კაცი
იყო. მოვახსენე ამბები. სანამ ვყვებოდი, არცერთი
წამით არ მოშორება სახიდან ღიმილი. ბოლოს კი
პირდაპირ მომახალა: — დიახ, შესაძლოა, პორმო-
ნალური დარღვევა გაქვთ. — (პირი დავალე!) ვერა-
ფერი ვთქვი გაბრიელმა თავისი გააგრძელა: — მე
ახლა გაგსინჯავთ და ყველაფერს გავარკვევთო.
ყველაფერი გამახდევინა, დედიშობილა ვიდექი ამ
კაცის ნინაშე და საკმაოდ მრცხვენოდა, ხელებიც
კი ავიფარე ჩემს უფოზე. ის კი სულ თავისისუფლად,
ვითომც არაფერი ყოფილიყოს, მიმოდიოდა. სულ
გაშიშვლება რა საჭირო იყო, ვერ ვხვდებოდი. მუ-
ცელი შებერილი გაქვთო, ეს უკვე ერთი ნიშანიაო.
მუცლის შებერვა სიცივეს და ბევრ ჭამასაც შეეძ-
ლო, მე კი არც მციოდა და არც ნაჭამი ვიყავი, მაგ-
რამ ის რას გულისხმობდა? გაბრიელი ჩემს ყვე-

რებთან დაიხარა, ხელი უფორზე მქონდა აფარებული, ყვერებს თითო გააყოლა და ანუსის ხვრელამდე მივიდა, ჩემს სათესლე მიღს ამონმებდა, ერთ ადგილას გაჩერდა და თითქოს ხორცმეტი მოზომა. შემდეგ კი თავადაც შეშინებული, უკან გახტა, უკვე ყვიროდა – დიახ, თქვენ, ჰორმონების აშკარა დარღვევა გაქვთ, საჭიროა სრული გამოკვლევა და ამაში თქვენ უნდა დამეხმაროთ. უკვე მაციებდა, დედიშობილა ვიდექი და ეს კაცი მაყრიდა და მაყრიდა თავზე სიტყვებს, არ ჩერდებოდა. რას ნიშნავდა მისი სიტყვები? მე ყურით მივყვებოდი, მაგრამ გონებით უკვე ვეღარ, ის კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა:

- თქვენ ჰორმონალური დარღვევა გაქვთ, სხეული რატომდაც ტრანსფორმაციას განიცდის, ეს თანამედროვე სამყაროს ახალი სენია, თქვენს სასქესო ორგანოსთან უკვე იკვეთება კლიტორი, შებერილი მუცელი და ბოქვენთან ახლადგაცვენილი თმა ამის დასტურია და ის პირველი სისხლდენა, რომელიც დაგემართათ, აუცილებლად გაგრძელდება. თქვენ შესაძლოა ჰეტეროსექსუალიდან ჰერმაფროდიტად გადაიქცეთ, ეს არ ნიშნავს რომ თქვენ მამაკაცობას კარგავთ ან აღარ აფიდგებათ, არა, თქვენ ქალები ისევ სიამოვნებას მოგანიჭებთ, მაგრამ სხეულში ქალის ჰორმონებმა გადაწყნეს ბალანსი და ეს დისბალანსი შესაძლოა მკვეთრად ჩამოყალიბებული ქალის სასქესო ორგანოს ჩამოყალიბების წინაპირობაც გახდეს. მუტაცია გარდაუ-

ვალია, თუ არაფერი ვიღონეთ. მე ისევ შიშველი ვიდექი. მიზვდა, რომ უკვე ვკანკალებდი, გაჩერდა, ტანსაცმელს დაწვდა და ჩაიცვითო, მითხრა. მე უცაბად ამოვიცვი და როცა პირისპირ მაგიდასთან დავსხედით, უკვე აზრზე ვიყავი, შემეძლო კითხვები დამესვა.

- კი მაგრამ რატომ? როგორ? უსუსური ადამიანივით, ჩამომხმარი ჩია კაცივით ვეგდე სკამზე და ძლივს ამოვთქვამდი სიტყვებს.


- არ ვიცით, ამის ასე უცაბად თქმა არ შეგვიძლია. არის უამრავი მიზეზი, პირველ რიგში საკვები, მერე წამლები, პრეპარატები... არ ვიცი თქვენს შემთხვევაში რომელია, ეს უნდა გამოვიყვლიოთ და ამაში თქვენ უნდა დაგვეხმაროთ.

- საკვები? უკვე ცრემლები მომდიოდა.

- დიახ, ბოლო დროს მსოფლიოში შეინიშნება ჯანქ ფუდის ტენდენცია, ზედმეტად მამაკაცური ჰორმონებისა და ზედმეტად ქალური ჰორმონების შემცველი საკვები, თუ ერთ-ერთ მათვანს ძალიან ეტანებოდით, შესაძლოა ამას გამოეწვია. სხვა ქვეყნებში კიდევ უფრო იმატა ამ მიზეზით გამოწვეულმა ჰერმაფროდიტულმა ანომალიებმა.

- კი მაგრამ, წამლებს არ ვიღებ, არც ანტიდეპრესანტებს, მხოლოდ ერთი წლის წინ ვიღებდი.

- ანტიდეპრესანტები და ტკივილგამაყუჩებლები უამრავი გვერდითი მოვლენის გამომწვევი მიზეზები არიან. რა თქმა უნდა, ესეც უნდა გვითხრათ, ბოლო ჰერიოდში რა დოზით და რა ჰერიოდულო-



ბით იყენებდით ტკივილგამაყუჩებლებს. ყველას სხეული ერთნაირად ვერ იტანს ნამლებს და საჭიროა მათი რეგულირება.

- არ ვიცი, მე არ მჯერა ამის.
- ეს დეპრესიული ფონია, რომელიც, რა თქმა უნდა, თან სდევს მუტაციას. ეს ამბავი ახლა თქვენს მამაკაცურ ღირსებაზე იმოქმედებს. შეიძლება თქვენ ჩემი არ დაიჯეროთ და შეგეშინდეთ, აյ საერთოდ აღარ მოხვიდეთ და გაიქცეთ, მაგრამ დამიჯერეთ, ეს გაგრძელდება, თუ ჩემს რჩევებს არ მიჰყებით. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ, რომ ერთადერთი პორმონალური კვლევის კლინიკა ის არის, სადაც ახლა თქვენ იმყოფებით.
- კი მაგრამ, როგორ, რატომ მე?
- აბა რა გითხრათ ბატონო, ბავშვობაში მიდრეკილი ხომ არ ყოფილხართ სტრესებისადმი, დეპრესიებისადმი? ხომ არ ძალადობდა ვინმე თქვენზე?
- არა, ძალადობით არავის უძალადია, მე უბრალოდ ძალიან მგრძნობიარე ბიჭი ვიყავი, ძალიან ცოცხალი, ხომ მოგეხსენებათ, 90-იანი წლების ინდიგო ბავშვების თაობა, მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, მაგრამ ახლა ძალიან უუნარო, უემოციო და უმოქმედო გავხდი.

- მესმის, საოფისე ცხოვრება. – გაჩერდა, იფიქრა და გააგრძელა, – თქვენი სხეულის ტრანსფორმაცია შესაძლოა ფსიქოგენური ხასიათისაც კი იყოს და ფიზიოლოგიურში გადასვლა მხოლოდ სხეულის პასუხია იმაზე, რაც თქვენ თავში ტრიალებს. მითხარით, გიყვარდათ ოდესმე გოგოების სათამაშოები? გყავდათ და? ან გქონიათ მიდრეკილება ქალის პარფიუმერიისადმი?

- გავჩერდი და ფიქრი დავიწყე. არა ასეთი რამ არ მასხენდებოდა. დედის სარკეს და მის პომადაპარფიუმერულ ფუნჯებს მუდამ ამრეზით ჩაუკლიდი ხოლმე, მაგრამ გაბრიელის ბოლო შეკითხვაში რაღაცამ მიმიზიდა, რაღაც ხელჩასაჭიდი იყო. ბუნებრივად ვპასუხობდი.

- არა, და არ მყოლია, არც დედაჩემის ნივთებს ვეტანებოდი, მაგრამ ფსიქოგენური ხასიათი ჩემი ავადობისა არ არის გამორიცხული. რადგან, რადგან...

- რადგან, რა, გეთაყვა? თქვით.

- რადგან ჩემი ტვინის აკვიატებებს უამრავ-ჯერ შევუწუხებივარ. 41-წლიანი ცხოვრების მანძილზე ვგრძნობდი იმას, რომ რაღაც უხილავ, უშინაარსო, უმიზეზო რამებს ავიკიატებდი და შემდეგ ტვინში ეშმაკის ბორბალივით ვატრიალებდი მათ. არ ვიცი ამას რა ჰქვია, მომწამვლელი ტვინი ქქონდა, სულ ვცდილობდი არ მეფიქრა, სულ ვცდილობდი გავქცეოდი ამ ფიქრებს, მაგრამ სხეულის-თვის არასდროს არაფერი დამიმართია.

- მესმის, შესაძლოა ეს თქვენი ტვინის მიერ პროცენტურებული აკვიატებაა, ვინაიდან თქვენ მიდრეკილი ხართ ამ აკვიატებებისკენ, და სრულიად მოსალოდნელია, სხეული უბრალოდ პასუხობდეს თქვენი ტვინის ახალ უინს. მაშინ გაიხსენეთ, ბოლოს რა ასეთი აკვიატება შეამჩნიეთ საკუ-

თარ თავს?

- ბოლოს? და აյ ცისია გამახსენდა და მენ-სტრუაციის დეტალური გაცნობა.

- აი ახლა უფრო გასაგებია ყველაფერი, თქვენი ტვინი ნამდვილად ეშმაკის ბორბალივით ატრიალებს მიღებულ ინფორმაციას, თქვენდაუნებურად ხდება წაკითხულით და ნაფიქრით ტვინის გაჯერება, ნელ-ნელა. ნარმოიდგინეთ, ეშმაკის ბორბლის ერთ-ერთ კუპეში დაჯექით და ნელი სვლით ერთსა და იმავე გზას გადიხართ, ხან სულ ყველაფერს გადმოჰყურებთ და შიშით კანკალებთ, არ გადმოვვარდეო, ხანაც ქვევით დაეშვებით და კი არ ჩადიხართ, უბრალოდ ემზადებით მორიგი ადრენალინის მისაღებად. საჭიროა ჩამოხვიდეთ ამ ატრაქციონიდან, თორემ სხეულში ქალური პორმონები ამოქმედდებიან. თავი ფანტასტიკური უანრის ფილმში მეგონა, სადაც სამედიცინო და ტექნიკური მიღწევების მსხვერპლი რომელილაც მამამთავრის წინაშე წარდგება, მაგრამ რა ფილმი, რის ფილმი, ნამდვილად მე ვიყავი, პეკინის ნომერ 5-ში ვიჯექი კაბინეტში, ექიმ გაბრიელ კ.-ს წინ...

- დიაბ, დიაბ. წარმოვთქვი ორჯერ, უკვე გაოცებაც აღარ ერქვა ჩემს მდგომარეობას და მოვიწყებული რამ წამოვინყე, ამდენი ხნის უნახავი, ამდენი ხნის განუცდელი. თვალებიდან ცრემლები წამომივიდა, ეს ამხელა კაცი ავტირდი და გაბრიელის ფეხებთან დავეცი, ბავშვივით ვლულლუდებდი და დახმარებას ვთხოვდი თეთრებში გამოწყობილ გაბრიელებს კ.-ს, რომელიც უკვე მიქაელ-გაბრიელივით მეჩვენებოდა. ღმერთის გამოგზავნილი ექიმი იყო, რომელიც მიშველიდა და ფიზიკურ ყოფას, ეშმაკურ ავადურ ტვინს განმიკურნავდა.

- გთხოვთ, დამეხმარეთ, გთხოვთ, ეს წარმოუდგენულია, ჩემს ლამაზ და წმინდა სხეულს ეს დამართნოდა, ეს წამდვილად ჩემი გონების ბრალია, წამდვილად ჩემი აკვიატებებისგან მოდის, მე ყველაფერს გავაკეთებ რასაც მეტყვით, გადავიხდი რამდენსაც გინდათ, გევეღრებით, დაგიჯერებთ, ოლონდ განმკურნეთ ამ ტრანსფორმაციისგან, ოლონდ დამიცავით, ძალიან მეშინია, ექიმო. გაბრიელი კი სავარძელში იჯდა და მხარზე ხელებს მისვამდა, კეთილი სახით დამცქეროდა და მამშვიდებდა.

- დამშვიდდით, თანამედროვე მეცნიერება შეძლებს თქვენს დახმარებას, მაგრამ შემდეგ თქვენ ის უნდა იპოვოთ, რაც ასეთ მდგომარეობამდე აღარ მიგიყვანთ. არის უამრავი წამალი, მამაკაცურ პორმონებს ამოვნევთ, სხეულის კორექციას ადვილად მოვახერხებთ, დამშვიდდით, ფსიქოლოგიურ კონსულტანციებსაც გაივლით და ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ ტვინის აკვიატებები შეაჩეროთ, თუ თქვენ ამას ვერ შეძლებთ, ძალიან მტკიცნეულ შოკურ მეთოდს მივმართავთ და მაინც შევაჩერებთ მუტაციას. გულში ვემადლიერებოდი, რომ ასეთი ყოვლისშემძლი იყო, აჯობებდა კი ის ჩემს ტვინს და ჩემს აკვიატებებს?

მიქაელ-გაბრიელის კაბინეტიდან რომ გამოვე-

დი, დერეფანში ჩემი უფროსი შევნიშნე – ბატონი პუპუნა. აქ რა უნდა? ისიც გაბრიელ კ.-სთან იყო ჩანერილი და მიმღებში გოგონას ღიმილით ესაუბრებოდა, გავიგონე ფრაზა – „ახალ ცხოვრებას და-ვინყებ, გაბრიელის წყალობით“. კედელ-კედელ ჩა-ვუარე, ისე, რომ ვერ დამინახა. მერე მოვტრიალ-დი და დავინახე, ჰორმონოლოგიის კაბინეტში შე-დიოდა. თვალში მისი დიდი ტრაკი რომ მომხვდა, გამასხენდა, როგორ ლადაობდნენ ჩემი თანამშრომ-ლები ბატონი პუპუნას უეცრად გასიებულ ტრაკ-ზე და თითქოს ყველაფერს მივხვდი.

კლინიკიდან რომ გამოვედი, ჩემი თავისი არ მჯეროდა. საკუთარი სხეული ტრანსფორმაციას აპირებდა და მე ჰეტეროსექსუალიდან ტრანსექ-სუალად უნდა გადავქცეულიყავი? შორეულ აზიაში, ტაილანდისა და მალაიზიაში მომრავლებული ორსქესა ადამიანებივით მეც არეული ცხოვრება მელოდა? თანამედროვე გულივერის მოგზაურობა უნდა დაწყებულიყო? ხელი მკერდზეც დავიდე, ჰორმონების შეუქცევადი მატება მკერდის გაზრდასაც გამოიჩვევდა და სულ დავიზმენდი, სულ დავკომპლექსდი და შეშლილივით გავრბოდი. ქუჩაში მოსიარულებს გაშმაგებით ვაკვირდებოდი, მინდოდა გამეგო, ვინ მიიქცევდა ჩემს ყურადღებას. მადლობა ლმერთს, ისევ ნაშებისკენ გამირბოდა თვალი, ისევ მათ მშვენიერ ტრაკებსა და გადმოყრილ ძუძუებს შევცეროდი, თან გაზაფხულის სურნელოვანი დღე იდგა. სამასახურს თავი უნდა დავანებო, სამსახურს თავს ვანებებს, ხმამაღლა ვამბობდი. ქუჩაში გამელელები გაკვირვებული მიყურებდნენ, გიუ ვეგონე. hey, peopleeeee, tell meeee am I going insaaaaaneee, გულში მოულოდნელად ბლექ საბატის სიმღერა ამოტივტივდა, ძია ოზი მე-ოცე საუკუნის 70-იან წლებში მოტკეცილი შარვლითა და ჩახატული თვალებით ეკითხება ხალხს, ხალხო, მითხარით, ვიშლები? ვგიუდები? რა მე-მართება? თელ მი, ემ აი გოლომოუუუიინგგგ ინსეეენ...

მთელი ცხოვრება ტრანზაქციის პერიოდში ვიყავი. მთელი ჩემი თაობა, ჩემი სამეცნიეროები, ჩემი თანატოლები, მუდამ გარდამავალ პერიოდს გავდიოდით. ბალში დავდიოდით და ომი იყო, საქართველო დამოუკიდებელი ხდებოდა; სკოლაში იყო და ჩვენზე გამოცადეს პირველი ახალი სახელმძღვანელოები; უნივერსიტეტში იყო და ჩვენზე გამოცადეს ახალი სასანავლო სისტემა. არ გვქონდა ერთი ჯგუფი, დაქსაჭული ვესწრებოდით ლექციებს, ყველაფერმა ჩემზე გადაიარა. ევროპაში სანამ შევიდოდით, პოსტსაბჭოთა მდგომარეობიდან დამოუკიდებლობამდე და დამოუკიდებლობიდან ევროპამდე ჩვენ გადავდიოდით სისხლით და ომებით. ისევე როგორც მთელი ჩემი თაობა, მეც ჩემი სხეულით და გონებით ვიცვლი-დი წლიდან წლამდე და გამოვცდიდი ხან გენმო-დიფიცირებულ ქარხნულ პურს, ხან სიგუას ნამცხვარს, ხან ჭყონიას ორმაგ ჩიზბურგერს. მე განვიცდიდი ამ სიახლეებს და მე განვიცდიდი ამ ცვლილებას. ნუთუ ვერა და ვერ დასრულდა ჩემი

ტრანზაქცია? მართლა საცდელი ვირთხები ვიყავით მთელი მსოფლიოსთვის, მართლა საცდელი ნიმუშები მედიცინისთვის, ტექნიკისთვის. ვნატ-რობდი შიშები გამქრობოდა, არ შევგუებოდი ამ ყველაფერს, თვალები დამეხუჭა, გავმქრალიყავი და ამ დროს ულამაზესმა გოგომ ჩამიარა, კარგად ჩახატული თვალებით, დაბერილი ტუჩებით, შეკრული ძუძუებით. თვალი გავაყოლე, აი ეს კი ზე-ციდან მოსულ სასანაულს ჰგავდა. კაცი ვიყავი და მართლა ასევე შესაძლებელი იყო, რომ ქალიც ვყოფილიყავი? როგორი იქნებოდა ქალად ყოფნა? ისევ ადამიანი ვიქნებოდი ორივე სქესით? ანუ სრულყოფილი ადამიანი ვიქნებოდი? ღმერთი ჩემში გააერთიანებდა ადამსა და ევას? ნუთუ ადამის 41-წლიანმა ცხოვრებამ ვერ იპოვა თავისი სულის მეგობარი და ახლა ის გონებასა და სხეულს ხელოვნურად საკუთარ თავზე უნდა გამოება. იმაზეც კი დავფიქრდი, რას მიზანდნენ ქვეყანაში ასე გაძლიერებული და გააქტიურებული საზოგადოებრივი ფემინისტური ჯგუფები. ჯვარს გამაკრავ-დნენ? მგონი, გამიგებდნენ, ჩემთვის ეს ხომ მტკივნეული პროცესი იყო. როგორ არ უნდა მეთქვაუარი ქალად გადაკეთებაზე, ნუთუ ისინი დათანხმდებოდნენ საკუთარი სქესის მოულოდნელ ცვლილებას? აქ საქმე სქესის ცვლილებას ეხებოდა და არა რომელიმე გენდერის მიმართ უარყოფით დამკიდებულებას.

ეს იყო ის სიახლე, რომელიც ჩემმა ტვინმა აიკვიატა და ახლა რამენაირად, თუნდაც ხელოვნური შოკით უნდა მეცადა, რომ დამევიწყებინა. მორიგი რამე უნდა მეპოვა, რასაც ავიკვიატებდი; ისეთი რამ, რაც ფიზიკურად მაინც არ გადამაშენებდა, სანამ რობოტით არ ჩამანაცვლებდნენ ჩემს სამსახურში. სიყვარული კი იქნებოდა ყველაფრის მეურნალი, მაგრამ ტვინს სიყვარულზე გაფიქრებისას უკვე ალერგიული დეგრადაცია და დადებილება ეწყებოდა. სიყვარული მახსოვდა მკვდარი და განბილებული, გაქცეული, ბაბუანვერას წვრილი, ფა-ქიზი ჯოხებივით, წასული შორს, სადლაც.

ვინ გავრიო ამ ჩემს გაუგონარ და მიუწვდომელ ამბავში... ისევ ცისიას დავურეკე, მინდოდა მეთქვა რომ შევხვედროდით, ვინმესთვის მინდოდა გამეზიარებინა ჩემი პრობლემები. სხვათა შორის, ისიც გამიკვირდა, რომ ცისიასთვის ვაპირებდი ამის გაზიარებას. ამ ვაკელ კრეტინობას როგორ უნდა გაეგო, ან როგორ უნდა მეთქვა, ან რა უნდა მეთქვა? სიყვარულის ჩანაცვლება ვერ იქნებოდა, მაგრამ იქნებ როგორც მეგობარს, ისე დავლაპარაკებოდი? მოკლედ, მე ჩემსას ვცდილობდი, თითქოს ის 90-იანების ინდიგო ბავშვი დაბრუნებულიყო, მგრძნობიარე და ცოცხალი. აიღო თუ არა ყურმილი ცისიამ, გაისმა ნუნუნი:

- უკეთ ვარ, მაგრამ იცი როგორ მტკიოდა? გესმის ჩემი?

- კი, კი, მესმის, ცისია, ახლა ყველაზე კარგად მესმის შენი, ახლა ყველაზე კარგად მესმის შენი, - გაოგნებული ვეუბნებოდი ცისიას ტელეფონში...

მარიამ სულამანიძე

ორმოები



ამ სოფელში მარტო მამლები არ ყივიან. დილით, ალიონზე, როცა ცა შეფორტოხლისფერდება, აუცილებლად დაინახავთ რომელიმე სახლიდან გამოსულ ქალის სილუეტს, ხელში ნიჩბით. ისედაც უხმაურ მიწაზე ფეხაკრებით მიმავალნი, აქეთიქეთ გაფაციცებით თავს ატრიალებენ. ფრთხოლობენ, რომ არავინ შენიშნოს. სახლის უკან, მოსახერხებელ ადგილს მოძებნიან და გამალებული

სისწრაფით ორმოს თხრას იწყებენ. მერე ერთი წუთით ჩაიმუხლებიან, ჩაფიქრდებიან და საკუთარ თავთან მეათასედ შეათანხმებენ, ლირს, თუ არა. და მაშინ, როცა სოფლის 48 მამალი დასაყივლებლად შეიმართება, ქალებიც გასწორდებიან, მოხერხებულად მოეწყობიან. სადღაც, რომელიდაცა მუცლის კუნჭულიდან ამოიზმუვლებენ და ორმოს ჩაყვირებენ:

ასე ისხდნენ და სიჩუმეს უზიარებდნენ ერთმანეთს, სანამ ტირილისგან თვალებდასიებული, მთვრალი პელეგია არ შემოფართხუნდა სანთლებით განათებულ დარბაზში. ყველამ თვალი აარიდა. უხუცესმა დრო იხელთა და წასვლა დააპირა:

რაცა სჭირო ვიცით. ვიცით, რომ ასე იქნების ეგეცა. რათ მოვედით აქა, რაი გვინდის?

რაი სჭირო? - დაინივლა პელეგიამ.

ქალებმა დანანებით გადახედეს. ასეა. პირველად რომ ორმოს გათხრი, კარგად თუ არ ჩაჰყივ-ლე, წყენა მაინც შემოგრჩება და გაგანვალებს.

კარგად უნდა ჩაგეკივლა პელეგია - თქვა ვიღაცად და თან ოხვრაც ამოაყოლა.

რაი სჭირო-მეთქი, მიპასუხეთ! - გაღიზიანდა პელეგია. - რატომ არ ესმით ჩვენი?

გულადები არიან ნამდვილი კაცები და იციან უკეთ. რომ ვაცავენ ბრაზი სჭირდებათ და დაბლვერვა, აბა ისე როგორ?! უნდა ავიტანოთ. ეგენი რომ არა, ან დევი შეგვაძლია, ან ოჩიპინტრე.

აჯობებდის! - ასლუკუნდა პელეგია - განა არ აჯობებდის დევებმა და მგლებმა გვჭამონ ვიდრე თვითონ? გული მაინც არ გვეტკინებოდის... ნეტავ, თავის თავებისგან დაგვიცავდნენ!

პელეგია, ჩვენი კაცები გულადნი არიან, მიეჩვევი მერე და ორმოს გათხრასაც ისწავლი, განთიადის მადლმა!

არ არიან გულადები - გაანჩხლდა პელეგია - ტყუილია!!!

ვიღა მოუსმენდა გამოსულებულ პელეგიას. აიმანენ ქალები აფხორილი ყვავებივით და სახლებისკენ წავიდნენ.

ამას შენ მიხედავ! - ხელში მომაჩეჩა მთვრალი პელეგია უხუცესმა - შენა გჭირდა ეგეთები და გეცოდინების როგორ დაამშვიდო.

რაი მეთქა პელეგიასთვის? მეც ხომ ასე მგონია, რომ ეს ზორბა კაცები, მუდამ კბილებამდის შეიარაღებულნი, დაფეთხებულნი და დაბლვერილნი იმიტომ იყვნენ, რომ ოდესლაც გულში შიშის ჭია ჩაუჯდათ. ამიტომაც თავებიდან ჯერ სიმშვიდე გაეპარათ, მერე სიყვარული. პელეგია კიდე მიჰქოდა გზაზე და ქალებს გასძახოდა:

გულის ძირში თქვენც რომ მაგ თვალით გზომავენ, ვერა ხედავთ არა? ვინაც უფრო ჩვეულებრივსა ჰგავხართ, დამშვიდებულები იმას შეგირთავენ - არაფრით გამორჩეულს, არც სიმღერა რომ იცის და არც რომ ცეკვავს, იმას. არც განსაკუთრებულად ლამაზები მოსწონთ. გამორჩეულ ქალებს გამორჩეული ყარაულობა რომ უნდა, ესე ჰგონიათ და ეშინიათ წინასწარ წარმოსახვითი მტრების და ათასი გაღმა სოფლელისა, ლამაზი ცოლი არ მომტაცონო. შიშის გამო რომ თვალებს დააჭყიტავენ, ყველაფერი სულ სხვაგვარად ეჩვენებათ - ძალლი მგლად, მგელი დათვად და დათვი დევად.

პელეგია დამშვიდდი, რაი... - მივჩანჩალებ გაქორებული პელეგიას კუდში.

მომეალიი! ალარ მინდის ეგეთი ქმარი, ნეტამც ეგეთი შვილი ნუ მეყოლების!

პელეგია გაჩუმდი, რაი... - მეშინია, ქმარმა არ შეატყოს გაბრაზება და არ შემოაკვდეს.

აღარ ჩავყვირებ ორმოს შიშარა კაცის გამო!

გავნამდი და პა! მზეს თუ წყენა მიაქვს, მე რათ დამრჩა გულში? ან თქვენ რამ გაგაჩერათ ყველანი ესე მშვიდად. არაფერიც არ მიაქვს მზეს!

მიაქვს, ნუ სთქვავ მკრეხელობას...

ვინა სთქვა, ვინა იგრძნო წყენის გაქრობაი?

მიაქვს-მეთქი...

რალა წყენებსა ვყივით, ნეტამცა მთელი სოფლის კაცებს წაიღებდეს!

მოიცა ქალო, გაჩერდი, დავიღალე... - გული ლამის იყო პირიდან ამომვარდა.

გაშეშდა პელეგია, მიხვდი, რომ ჩემს გამო არა. ე გოგო, ე ქალოო, ეს მითხრა, შემომხედა, შემომცინაა და გავარდა მთისკენ. გულში ცივმა ნემსმა გამკრა. ასე იგრძნობ, თუ ვინმეზე ეჭვი შეგეპარა რომ გაგიუდა. დავედევნე, მაგრამ იმდენი ბოლმა მიყლაპია, ისე დავსივებულვარ და დავსუქებულვარ, რას დავეწერდი?!

მზე ის-ის იყო ამოინვერა, რომ პელეგიას სილუეტიც გამოჩნდა. იდგა, გაეთხარა დიდი ორმო და ხარხარებდა.

გაგიუდის, ნამდვილად გაგიუდის - ვიშვიშებ-დნენ ქვემოდან ქალები.

შექუჩინენ ერთად და თვალებს ვერ წყვეტდნენ პელეგიას. როგორა ხარობდა, როგორ თავისუფლობდა... დავიძარით მთისკენ. ზუსტად მაშინ ავედით, როცა შეფორმოთხლისფერდა.

კუაპეპააპაპეპააააა ლოოოოდიიის შეეშინდაა, ამხელა კაცსა, საშიში კლდე არის ეესორ - იფხრინებოდა პელეგია და ორმოს ჩასცინოდა.

როგორც შიშს, ასევე გულწრფელ სიცილსაც ჰყავს თავს ჭია და ერთი თუ შემოგიძვრა, ერთი თუ აგიცეტა გამომხმარი გული, მერე რალა გაგაჩერებს, თუნდაც უმიზეზოდ იცინებ. ეგრეც იყო, ნელნელა მოალეს ჩაუანგებული პირები ქალებმა. დადგნენ ორმოს გარშემო და რას არ გაიგონებდით:

შეეშინდა ლოდისა და ააფეთქაა, ჰაპაპაპეპა-პააა - პირველმა ჩასახა პელეგიამ.

შეეშინდა ცეკვისა და იჩხუბაა

შეეშინდა ჩემი სილამაზისაა დაა თავსაბურით მატარაა

შეეშინდა მარტო ჩემი სიყვარულისა და ათას ვინმეში გამცვალა

შეეშინდა ღალატისა და სახლში გამომკეტაა

შეეშინდა მეგობრის დაკარგვისა და მეგობარი არა ჰყავს

შეეშინდა მგლისა და ნადირისა და კომბლითა სძინავს

შეეშინდა კარგი ცხენი რომ ეყიდა, მისი დაბერებისა და ჩოჩორით დადის

შიშებისა ეშინის და გულადობით ათას სისულელეს სჩადიის...

ამ დროს მზეც მთლიანად ამოცურდა. უზარმაზარ ორმოს ჩახედა და ახალგაღვიძებულმა კაცებმა, საიდანლაც მოსული საამო სიმშვიდით გაკვირვებულებმა, მეათასედ მოიფხანეს თავი.

იმ დღის შემდეგ ჩვენს სოფელში სჯერათ, რომ სანამ 48 მამალი დასაყივლებლად შეიმართება, მთის წვერზე თუ ახვალ, ორმოს თუ გათხრი და შიგნით ჩასცინებ, მზე აუცილებლად ჩახედავს და ორმოდან გულადი ქმრის შიშებს ააორთქლებს.

მარიამ სულამანიძე

სახლი, რომელიც ვერ დავთვე



კანდაბა!

მე ასე არ მჩვევია, ვიდგე სახლის ზღურბლთან
ატუზული და ვეხვენო ღმერთს (რომლიც სულ
ცოტა ხნის წინ გავიგე რომ არსებობს) მომცეს ძა-
ლა, ხელი დავაჭირო ზარის ლილაკს, ან დავაკაკუ-
ნო. შინ რომ არ დამხვდეს? ან რომ დამხვდეს?!

ჯანდაბა!

ეს ოხერი! ჩემი ბრალია და თან მიკვირს, რატომ არ ვბრუნდები სკანდალებით, ან რატომ არ შემიძლია უბრალოდ ვუთხრა, რომ ამ ღამესაც

მასთან დავრჩები და მერე ამ ჩემს ახალგაპარ-
სულ ფიქტებს.

სულ მაფრთხილებდა როზა, რომ რაც შეიძლება სქელჯიბინანებთან და ჭკუამხიარულებთან დამტკირა საქმე. როცა ასე ცხოვრობ, თვალებზე ტუჩჩამომხმარი კატასავით, გეშინია ვინმე ცხოვრებაზე დაფიქრებულს არ გადაეყარო და ჩაუანგებული სინდისი არ შეგიჭანჭყარდეს.

საქმე ისაა, რომ მე სხვანაირად მჩვევია. მე და როზა იქ ვართ ხოლმე, სადაც კაცები არიან. ფუ-

ლიანი, მარტოხელა, თმაშეთხელებული კაცები. თავიდან ყოველთვის ძნელია მიხვდე, ბოლოს ვის-თან აღმოჩნდები. მათი სახლები, უმეტესად, ცა-რიელი და ცივია. ნივთებიც კი ეგოისტური რაო-დენობისაა: ერთი კბილისჯაგრისი, ერთი წყვილი ჩუსტი და დამტკერილი, ჩაუამული ნივთები. მაქ-სიმუმ, ორი დღის შემდეგ, გარეთ ზამთარი თუ არ არის და ცოტა დანაზოგიც გაგვაჩნია, მე და როზა თავების გამოვრბივართ ასეთი უსი-ცოცხლო სახლებიდან. თანაც ძნელია, როცა სა-ნოლის ქვემოდან ჩემოდანი გიყურებს და გეკითხე-ბა: „ალარ მივდივარო?“, „ცოტა ხომ არ გავვიგ-რძელდა?“ და ასე დაუსრულებლად გახსენებს, რომ წასვლის დროა, თორემ... თორემ მოგინევს აღიარო, რომ შეეჩივი. შეჩვევა საშიშია. ესეიგი, გამოგაგდებენ. როცა შეეჩვევი, შენ ვეღარ წამოხ-ვალ, ფეხს აითრევ, დროს განელავ, ნელ-ნელა ისი-ნი გაღიზიანდებიან და ოდესმე აუცილებლად გა-მოგაგდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ გრაციოზული, ელეგანტური კატა კი არა, უბრალოდ, ნაგვის კა-ტა ხარ და მორჩა, მოგისროლეს.

როზა ამბობს, რომ ჩვენ არც ისე წყალწალე-ბულები ვართ, რადგან ჩვენ მუდამ გრაციოზუ-ლად მოვდივართ. როზა იმასაც ამბობს, რომ ჩვენ მეორადი სინდისი გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოლიანებს და ჯიბეგაფეხებილებს ახლოსაც არ ვეკარებით. თუმცა ვერც ამ საქმეზე ვამბობთ უარს, რადგან ეს ჩვენი ერთობლივი პროფესია, მას შემდეგ, რაც ბავშვობაში ქუჩაში მათხოვრო-ბას დავალწიეთ თავი.

მას რომ შევხვდი ყველაფერი სხვაგვარად მოხ-და. იმ ქუჩაზე ცხოვრობს, სადაც მე და როზამ სულ ახლახანს ვიქირავეთ შედარებით მზიანი ბი-ნა. დილით სადღაც მიდიოდა მსუბუქი ნაბიჯებით, მერე უკან ბრუნდებოდა ხოლმე, თავჩალუნული. მთელი კვირა თვალში მეჩირებოდა თავისი მუ-დამ მშვიდი ჰაბიტუსით. ჰოდა, მე თვითონ მივე-დი, რომ იტყვიან, ავაკითხე. აი, მაშინაც ამ ერთი ბენოლილაქს დავაჭირე თითი (ეხლა ღმერთს რომ ვევედრები ძალა მომცეს იმავეს გასაკეთებლად). ზუსტად ვიცოდი, შინ დამხვდებოდა, რადგან მგო-ნი ალერგია აქვს საზოგადოებაზე. კარი რომ გა-მიღო, მაშინ შემომხედა პირველად თვალებში. ხელში ლოცვანის გადაშლილი წიგნი ეჭირა, ბე-ლურასავით მიყურებდა, სამზარეულოში კი ჩაი-დანი სტვენდა. გულმა მჩხვლიტა. ამის დედაც-მეთქი, გავიფიქრე. არ შეიძლება არსებობდნენ ასეთი კარგი ადამიანები, რადგან ჩვენ, გაიძვე-რებს, სუსტი გული გვაქვს და შეიძლება მოულოდ-ნებობისგან გვძუძგოს, როცა ასეთ ღმერთისთვა-ლება ადამიანებს გადავეყრებით. ლამის უკან გავ-ბრუნდი, რადგან როგორც როზა იტყოდა, თვა-ლებში სინდისი უკამკამებდა. პირველად ამდენი ხნის შემდეგ, მეუხერხულა ჩემი კაბის სიგრძე და საკუთარი თავი. როგორ იმგზავრეო, ისე მეითხა, თითქოს დიდი ხანი მელოდებოდა. სევდინად გა-მიღიმა და პალტო გამომართვა. არ მეგონა, რამე

კიდევ თუ გამაოცებდა, მაგრამ გამოვშტერდი. რას დამტრიალებდა თავზე ეს უცხო ადამიანი?! გავ-ღიზიანდი. სასაცილოა, მაგრამ თავში ერთი აზრი გაბმულად მიტრილებდა, მინდოდა მეკითხა, ამ-დენ ხანს სად იყავი-მეთქი. უსიამოვნოდ გამახ-სენდა: მთელი ბავშვობა მჯეროდა, რომ აუცილებ-ლად მომაკითხავდა ვინმე კაცი, ან ქალი, ძალიან ნაზი, ძალიან მშვიდი და დახვენილი. გაუკვირდე-ბოდა, რომ ვერ ვიცანი. ზედმეტი ემოციების გა-რეშე მეტყოდა, ბარგი ჩამელაგებინა და მისაყვე-დურებდა, თითქოს კი არ ჩამაბარეს ცარიელი ბოთლივით, საკუთარი ფეხით მივედი ბავშვთა სახ-ლში. მომკიდებდა ხელს, დირექტორს პანლურს ამოარტყამდა და წამომიყვანდა. ჩაიო, მკითხა. თა-ვი უხმოდ დავუქნიე. ბავშვობის შემდეგ პირვე-ლად დავლიე პიტნის ჩაი და დავრჩი.

რატომ წამოვედი თუ მიყვარდა?! იმიტომ, რომ ვერ დავიჯერე. ვერ დავიჯერე, რომ შემიძლია მტვერი დავნებინდო, ბებიას ბორშის რეცეპტით გემრიელი სადილი მოვუმზადო და სანამ დაბრუნ-დება, ერთგული ძალლივით ველოდო. იცით, დი-ლის შვიდ საათზე გაღვიძებაც შემიძლია იმის-თვის, რომ ვილოცოთ. ვილოცოთ რა, ის კითხუ-ლობს და მე პირვევარს ვინერ ხოლმე, მაგრამ კარ-გია, რადგან მერე შუბლზე მკოცნის და მიხარია. ვერც კი მივხვდი, რომ თანდათან ნივთები გაორ-და: ორი კბილისჯაგრისი, ორი წყვილი ჩუსტი. ჩემ-მა ჩემოდანმაც სულ თავი გაიგიუა, რას არ მეუბ-ნებოდა სანოლის ქვემოდან პირდაფეჩენილი. ჰო-და, გადავწყვიტე, მალე დამეხვია ამ თბილი ბუ-დიდან და წამოვედი. არა, თვითონ არ გამომაგ-დებდა. კეთილი ადამიანებიც შემხვედრია, გულ-თბილად რომ მემტვიდობებიან. თვალებში ჩამხე-დავდა და მეტყოდა, იცი, რაღაც უნდა გითხრა და მე ეგრევე მივხდებოდი რაც უნდოდა. ჰოდა, და-ვასწარი და წამოვედი.

როზამ მითხრა, დებილი ხარ, შე უბედუროო, და ბლავილი მორთო. შენ არ მეუბნებოდი, არ მი-ეჩივი, არ შეგიყვარდესო, მეც მივაჩხავლე თვა-ლებამოღამებულმა. კი, მაგრამ მჯეროდა, მაინც არსებობდაო. რა არსებობდა-მეთქი და, არ მიპა-სუხა. მთელი დღე იმდენს ვენეოდი, სანამ შეპო-ლილი თევზივით სუნი არ ამივიდა. ასე მჩვევია, როცა რამეს უნდა მივხვდე. დღის ბოლოს გავსხი-ვოსნდი თუ რა იყო, არ ვიცი, მაგრამ მივხვდი, რომ წამდვილად პირველი კლასის იდიოტი ვარ. ჯან-დაბა, მგონი, ძლივს ვიღაცისთვის ძვირფასი გახ-დი, შენ კი ისე მოიქეცი, როგორც ძველად, გრა-ციოზული კატასავით-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს.

ჰოდა, ვდგავარ ახლა კარის ზღურბლთან ატუ-ზული, ვევედრები ღმერთს და ყველა წმინდანს თავს ვაბეზრებ, რომ როცა გავბედავ და ამ ზარის ღილაკს ხელს დავაჭირე, ან დავაკაუნებ, სახლში დამზღვდეს. კარი გამიღოს და ნუ დავინახავ მის თვალებში იმხელა წყენას, რომ მივხვდე, ვერ მა-პატიებს. და ვფიცავ, ღმერთო, ეს იქნება პირვე-ლი სახლი, რომელსაც არ დავტოვებ.

გიორგი ჩუთლაშვილი

ნინააღმდეგობა. მოუთმენლობა.

1

საკუთარ მხრებზე ვდგებოდი
და აფორიაქებული ვენარცხებოდი
საკუთარ თავს.
ეს არ იყო თავისუფალი ვარდნა,
ეს, ძალიან მოსაწყენი საქმე იყო, მითუმეტეს
მაშინ, თუ დაცემამდე დრო ხანგრძლივდებოდა...

2

საკუთარ მხრებზე დავდიოდი, ხან
ცალი ფეხით, ხან ორით და გზა არ მყოფნიდა,
მაგრამ მაინც მივფოფხავდი.
სანამ დავუშვებდი მხრებს,
დღეებივთ
მივიზლაზნებოდი,
ნელა და დაკვირვებით,
თან ზურგს ვაქცევდი
საკუთარ სიკვდილს და ვიბრალებდი.
მლაშე წყალს ვსვამდი, სოდიანსაც
და გულში წათქვამ სიტყვებს ვარღვევდი
უნებლიერ, როგორც მარხვას.
ჩემს მისამართს და ტელეფონის ნომერს
კი ყველგან ვწერდი:
წყალზე, მიწაზე, რიყის ქვაზე.
გამვლელ-გამომვლელიც მე ვიყავი
და ქვაფენლიც,
ხორბლის ყანაც, ბალის ბავშვიც
და მიტოვებული წესტიანი სახლიც...

3

დრო კი არა, მე ვერ ვითმენდი
და ქრონიკული დაავადების მსგავსად
მიმწვავდებოდა საკუთარი თავი,
მაგრამ ვენინააღმდეგებოდი.
თან მაჯებივით მექავებოდა
სურვილი,
რომ ჩემი სხეულისგან
მოშორებით დავცემულიყავი
მხრებში გაშლილი...




მშრალი თევზის ნონასწორობა

წყლიდან გაუფრთხილებლად ამომიყვანეს
და ახლა დელავენ, რომ
ამაზე კრინტი არ დაგძრა.
ცივ მიწაზე არ წამოვწევ.
დამტევ ვარსკელავებს არ ვუყურო.
დილით ვინმე არ შევიყვარო.
სალამოს ვინმე არ შევიძულო.
ღრუბლის ფსკერზე ჩემი ცოდვები
არ ამოტივტივდეს
თვითმფრინავივით
და ძლიერი ქარის საშიშროება
არ ვიგრძნო.
ჩემი მზერა ვილაცის მიწამ
არ ჩაყლაპოს.
მოულოდნელად, არ გავცივდე
და სიზმრების ანთება არ დამემართოს.
შუბლზე წაოჭები არ გამიჩნდეს
და ნაოჭებს შორის მზე არ ჩავიდეს
სამუდამოდ...
კისრიდან ოფლის ნაცვლად
ათასერთი სიცოცხლე არ მოვიწმინდო
და უცებ სიმსუბუქე არ ვიგრძნო.

ჭვავის პურიდან ნამცეცები არ ამოვძირკვო
და ზამთრის ბეწვი არ მიმეკროს მარჯვენა
ხელის საჩვენებელ თითზე,
მარცხენა ხელით კი ჰერი არ ჩავხუთო.
ჭიქა წყლით არ ავაგსო და
თავი არ დავიხრჩო სხვის ჭიქაში,
ან, ონუანის წყალმა არ ნამიღოს
გაურკვეველი მიმართულებით...

წყლიდან გაუფრთხილებლად ამომიყვანეს
და მიუხედავად იმისა, რომ მათი სახეები
შეიტის “ნოეს შვილივით” მახსოვს,
თავს ვიმაგრებ და ამის შესახებ
არაფერს ვამბობ...



მეტაფორებით გამოწვეული საფრთხე

ჩვენ ვკითხულობდით:
პოსტმოდერნისტულ ტექსტებს,
ფილოსოფიურ ნაშრომებს,
თვეში ერთხელ კი, რომაულ პოეზიას
და ძნელად, მაგრამ მაინც
მეტაფორებს გამოვიმუშავებდით...
მეტაფორები თუ ბასრი აღმოჩნდებოდა,
მაშინვე პურის და ძეხვის ჭრას ვიწყებდით
(პური და ძეხვი სულ გვქონდა,
ბასრი მეტაფორებისგან განსხვავებით),
თან ლიმილს ვაპარებდით
მისალები ოთახის კუთხეში მდგარი სკამისკენ,
საიდანაც ანგელოზის ნუეგშს ველოდებოდით.
შემთხვევით შემორჩენილ დროში,
პურით და ძეხვით დაპურებულები
ამ მეტაფორებით ყელსაც ვჭრიდით ერთმანეთს,
მაგრამ ეს არ იყო მტკიცნეული და არც რომანტიკული,
ჩვენ ისევ ისე ვაგრძელებდით ხიბლში ყოფნას
და კაცობრიობის პირით მთქნარებას...
მეტაფორებით ყელგამოლადრულები
ახალშესვენებულ საფრთხეს,
ზედ ლოდებს ვადებდით
და გამომმრალი წინათგრძნობით:
“რომ ბევრი ადამიანის ტანჯვა გადარჩება
და ტანჯვა ადამიანს საბოლოოდ იწამება”
ცრემლივით ვლვრიდით ამ ცხოვრებას
თვალებიდან და ერთმანეთის
კალთებში ვაგუბებდით და
ვამლვრევდით.
მერე ჩანითლებული თვალებით
ვუყურებდით ერთმანეთს და
მეტაფორებით გამოწვეულ
საფრთხეებს განვიხილავდით...

მკვლელობა ბრუკლინის სასტუმროში

1
13 ნოემბერი.
მოუქნელი, დამღლელი დღეების შემდეგ,
ბრუკლინის ერთ-ერთ იაფფასინ სასტუმროში გავჩერდი,
მეცხრე სართულის 49-ე ხომერში
(სასტუმროს ნომერი მყუდრო ჩანდა),
რომ არა მეზობელი ნომრიდან ძალის ყეფის
და ფირსაკრავის მაღალი ხმა).
ბარგი ამოვალაგე,
დოსტიკევკის წიგნი “დანაშაული და სასჯელი”
საწოლზე მივაგდე და წყლის
გადასავლებად სააბაზანოში შევედი...
2
სასტუმროს ლიფტში ვეჩებებოდი

ყოველ საღამოს.
პირველი სართულიდან მეცხრე

სართულამდეც
ერთად ვმგზავრობდით...

მართა ერქვა

და სამართლიანიც იყო
რომ მართა ერქვა...

როგორც მივხვდი

სუნმოს არ ხმარობდა,

ხმამალლა სუნთქვდა და

სულ შავი პალტოთი დადიოდა.

ლიმილი არასდროს არ შემინიშნავს

მის სახეზე, მაგრამ

ერთხელ ბილი ჰოლიდეის გრამფირფიტა

შევამჩნიე ხელში, რაღაც ქაღალდებთან

ერთად ეჭირა და ლიფტის კედელს ისე ეყრდნობოდა,

როგორც ჯაზმუსიკა ეყრდნობა

იმპროვიზაციას...

მართა დღეგამოშვებით მესალმებოდა

ლიფტში, თან ისე ჩუმად,

თითქოს რაღაც საიდუმლოს მიზიარებდა.

ჩანთა ყოველოვის ჟურნალ-გაზეთებით

და საქაღალდეებით ჰქონდა

სავსე და სულ აღელვებული

უყურებდა ლიფტის კარს

გაღებამდე...

3

13 თებერვალი. “დანაშაული სასტუმროში”

მართას სასტუმროს ფოიეში ესროლეს.

ნაპოვნია ცეცხლსასროლი იარალი,

თავდამსხმელი მიმალულია...

4

15 თებერვალი.

ექმიებმა მართას გადარჩენა ვერ შეძლეს

ის საოპერაციოში გარდაიცვალა.

ალელვებული მართა,

სამართებელივით

თხელტუჩებიანი მართა...

ამბობებ:

ჟურნალისტი იყოო,

ღრმადმორწმუნეც იყოო.

კეთილთვისებიანი

სიმსივნეც ჰქონია მკერდზე.

თურმე ქოთის ყვავილები

და ჯაზი უყვარდა.

თბილისიდან ყოფილა,

ბრუკლინში ჟურნალისტურ

გამოძიებას ანარმოებდა და...

ალბათ ახლაც თვალები ეხუჭება,

მძიებულები აცვა და

ღია ცის ქვეშ “ვირადი” ლიფტის ღილაკს

თითს აჭერს და საღლაც

ასასვლელად ემზადება,

ახალი გამოძიების ჩასატარებლად...

მე კი ცოცხალი ვარ ჯერჯერობით

და მართას სიკვდილის შემდეგ

ლიფტით აღარ ვმგზავრობ.

მეცხრე სართულამდე

ყოველდღე

ფეხით ავდივარ

და კიბეებზე ასვლისას

ჩემს ახლა რომანზე ვფიქრობ,

რომელსაც “მკვლელობა

ბრუკლინის სასტუმროში”

დავარქვი.



ნატა ვარადა

მისალოცი ლია ბარათი

პირველი ადგილი თქვენ გერგოთ,
გილოცავთ,
მთავარი პრიზი

საზეიმო ვითარებაში გადმოგეცემათ.

ეს იქნება ქვეყნის სახელმწიფო ორკესტრითა და სახელმწიფო
ცეკვის ანსამბლით

გაფორმებული დაჯილდოება.

რა მოვლენაა, ისტორიული,
მონვეულია კულტურის სფეროს დიდი ნაწილი,
ვინც დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში

ბინადრობს,

ვინც შთამომავლობა დიდი ხნის წინ გახიზნა საზღვრებს მიღმა,
ვინც წითელ, თეთრ და ლურჯ ხიდებს გასცდა.

დიახ,

ეს თქვენ დაიმსახურეთ,
თავადაზნაურთა ნაქონ სასახლის
ან ყოფილ ბაღში გაშალოთ სუფრა და გამოფინოთ
არა ერთი მსგავსი სურათი, რელიქვია, ისტორია,
ყველაფერი თქვენი სახელის ქვეშ,
გვიქომავეთ, გვეამაყება.

ვერ გავექცევით,

რაც არ უნდა სადმე მოფარებულში ვიწმინდოთ ცრემლი,
ვერ გავექცევით ნაშიმშილარ კუჭსა და ნაღველს,
ვერც ერთმანეთს გავექცევით უკვე თქვენი ხელიდან,
დიდი ხანია მომხდარია,

დაუვიწყარი:

თქვენს საცავშია მილიონი დის მილიონი ძმის სული,
მილიონი დედის მილიონი მამის სული,
მილიონი შვილის მილიონი შვილის სული.

ზოგი მდინარეს გაკიდებული, ბანკის ვალებით.

ზოგი გაყიდულ ეზოს ბაღში, აკაციის ან ცხენისწაბლის ხეზე

თოკით დაკიდებული, როგორც შემოდგომის პირას

შემორჩენილი უკანასკნელი ფოთოლი - ეროვნული ყადალა.

ზოგი დარდით გულგასიებული,

თუმცა კი ქვეყნის სული თქვენს საცავშია და პროცენტებით
გაზრდილი

სადმე ზეცამდე.

ალბათ, ესაა საქართველოს უკვდავებაც და გაბრწყინებაც.

სულიც დოლარში,

სულ პრიალა ქაღალდის ბანკოტებზე გადაბეჭდილი ისტორია:

ხუთთეთრიანის ოქროს ლომის ქანდაკება ალაზნის ველის ძვ. წ-ის III ათასწლეულის ყორდანიდან, იშვიათობა.

ორმოცდაათ თეთრზე ძველი კოლხური თეთრის ანალოგის - ლომის თავის,

მიკროელემენტია.

ორმოცდაათლარიაზე თამარ მეფის პორტრეტი; ვარძია.

ასლარიანზე - ავერსი: შოთა რუსთაველის პორტრეტი,

რევერსი: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

ფიროსმანს კი აქაც არ გაუმართლდა: ერთლარიანი ერგო, რას ვიზამთ,

ბედისწერას ჩვენ ვერ გავუგებთ.

ჩვენი ვალია მწერალი წერდეს თქვენი სახელით,

მხატვარი ტილოს თქვენის წყალობით გადალებავდეს,

მშენებელი, კირითხურო, ტელეწამყვანი, გამომცემელი,

დამხმარე მუშა, დიასახლისი, ბავშვი აკვანში,

თქვენის სახელით იბადებოდეს.

გილოცავთ,

თქვენ საპრიზო ადგილზე ხართ,

გბარდებით ბანკის სახელზე, თქვენი მომგონის კურთხევით.

გარეკანზე ფონის არჩევა, თქვენზე...



სხვისი მშობლები – სათამაშოები

როგორც, როგორც, რა ვთქვათ?! მაგალითად, ქვა.
რამდენი?! ორი. რა თავში სახლელად:

რა სიტყვაა, რა თამაში.

ბანკში თუ რიგია, თუ მოსაცდელია,
მოლსა და კართულში დრო გასაყვანია,
თუ თბილისის სტიქიამ წალეკა სოციალური ქსელი,
თუ დაქსელილია ირგვლივ ადამიანების მსგავსებით
ჰორიზონტი, მაშინ ეს თამაშია სამის.

ხელფასის დღე. თვის ბოლო. ორი ლარი თითოეულს.

მადლობა. როგორი მძიმეა გაუხსნელი მესიჯივით.

რეკავ მამასთან. დრო გაგყავს.

დედასთან რეკავ. გადის დრო.

ლანჩი დაბალხარისხიან სწრაფი კვების ობიექტში.

ეს არის პირველიდან ორამდე.

მე უნდა დავჯდე საზოგადოებრივი ტუალეტის მარცხენა მხარეს და ლუქმა ლოყაში გამეჩხიროს.

ასეთი რა დავიშახურე, რომ შეგასწრო თვალი, მოხუცს ცაკცაკით უკან მიჰყება მეგზევე, ყვითელი უილეტით,
და გული გადამიქანდეს, და ხაჭაპური ყელზე დამადგეს -

მე მგონია, რომ რამე უბედურების შემსწრე გავხდები,

ლმერთო,

მე მგონია, რომ ის მეგზევე იმ მოხუცს დაჯაბნის, გამოგლეჯს იღლიიდან ერთჯერად ცელოფანს და
დახურულ კარს მიღმა, რაღაც ისეთი ამბავია, მე არ მინდა შევესწრო.

ამავე დროს ქალების ტუალეტში კაცი შევიდა.

ასეთია ლანჩი.

მხოლოდ მუშა დავინახე, უკან რომ გამოვიდა,

ხელში თავისი ყვითელი უილეტი ეკავა და

წვრილ, ველური ტყის ტახივით წვრილ თვალებს აცეცებდა.

ასეთია ჩემი ლანჩი.

ნეტავ, საღამოს, საინფორმაციოში დღის მთავარი ამბების გაშუქებისას,

შუშისთვალებიანმა და წითელთმიანმა კურიერმა არ გამოაცხადოს,

რომ შუადღეს, ლანჩისას, სწრაფი კვების ობიექტის მამაკაცების

საჭირო ოთახში, შუადღეს...

„ალუჩის ფუტურო ფულუროში ჩასახლდა წყვილი ოფოფი,
ახალ კარტოფილს იღებს მამაშენი ბოსტანში,

კამით დავბრანავ.

გვიან შემოვა ნელს სიმინდი, ივლისის ბოლოს

აიღე შვებულება, შვილო, და ჩამოდე.

იმ სოფლის სახლის, ამოკეტილი მძინარე მზეთუნახავი
არ უნდა გამოგეშვით,

ჩემი სათამაშოების ოთახში სხვადასხვა სათამაშოებს დაგამატებდით.

დედა, მამა და შვილი - ასე დავბერდებოდით.

ტკბილად, იქამდე, ვიდრე და მანამდეც.



თქვენთვის წერილია

გიორგი ესებუას

ორივემ ვიცით, ამ თეთრ სახლში, საძირკვლამდე დამწვარში,
ერთად უნდა ტკბილად გვეცხოვრა, შავი ზღვის პირას.

პორტან ახლოს, წითელიალქნიან დაძირული გემებისთვის
ზურგის ქარით ამოყვინთვა გვებრძანებინა.

19 წლის ვარ.

ლურჯი თვალებით, მე ვარ გოგო.

დაბადებიდან ამ სახლში ვცხოვრობ, მე აქ გავჩნდი,


ჩემი თვალის ახელიდან ჰორიზონტს ვუცქერ და

დაბრუნებულ მერცხლების ამბავს ზურგით დავათრევ.

ერთხელაც,
მოხდა ადრე თუ გვიან, ფერფლისგან აღმდგარს შემოგხედე,
მაშინვე მივხვდი –
დიდი ხანი(ა) მესიზმრებოდი, გამთენისას, როცა ზღვის ხმაურს
წვიმა უშენდა,
ყურზე როგორ დავიკიდებდი დედაშენის დარჩენილ საყურეს,
ის ირეკლავდა მთვარის შუქს და ოქროსავით არ ილეოდა.
სიმართლე გითხრა,
ერთხელ სიზმარში ჩვენი სახლის საფოსტო ყუთში თეთრი ჩიტივით
შემოფრინდა ლია ბარათი,
დაუწერელი თეთრი ფურცლებით,
მხოლოდ ჩემი ცრემლების წევთზე მუღავნდება გაკრული ხელით მინაწერი:
ძილი გამიკრთა, ვერც სარკეში ვიხედებოდი,
ხმა გავრცელდა, ჩვენს თეთრსა და დამწვარ სახლში მოჩვენება-ბიჭი
ჩასახლდა – რომ დაგინახე, მაშინვე გიცან და დავიჯერე სიზმრის ახდენის,
ახლა გახსენი ეს წერილი და ხმამალლა წამიკითხე:
იქნება, ისე ჩქარობდნენ და გაურბოდნენ ბომბების ცვენას,
გასაღები სახლის, ეზოში დარჩათ, კედელზე,
დევნილობისას ამ გასაღებს ნატრობდით ყველა,
თუ გადმოლახავთ უხილავ სამანს, გასაღები კარშია და ლიაა კარი,
კლიტე-საკეტი არ შეგვიცვლია, ნუ დგახართ გარეთ, შინ შემოდით.
მე ყოველწმინდადილას მტკრისგან ვწმენდ ჰაერს, მინას,
ორივემ ვიცით, ხელნაწერები არ იწვიან,
არ იწვიან ხელნაწერები,
არ იწვიან.

მიძლვნა


მინდა, რომ ერთ პოეტ გოგოს
თმა გავუყო,
ჭკუა გავუყო,
წარბი გავუყო და სიყვარულიც კი,
მაინც, რომ მქონდეს, ამას კიდეც არ გავაკეთებდი.
ერთ პოეტ გოგოს არაფრის დიდებით არ მივცემდი
გზის რუკას,
არც მანიშნებელს,
არც კომპასს და არც არაფერს.
არც ერთი არ მაქვს და რომც მქონოდა.
ქმარი ჰყავს,
ეკონომისტია და სულ წერს, ჩემ სათქმელ სიტყვებს
იმარაგებს,
აივანზე, მტრედებს ბოლოებს აძრობს,
ფურთხში აწებებს და ჩხაპნის.
პატარა რომ ვიყო,
ერთ პატარა და დიდთვალებიან გოგოს,
ხელისგულზე დავისვამდი და ვეტყოდი:
გაფრინდი, ფრი, ფრიი, ჭიამარია, სანამ დროა,
დროზე მოასწარი, სხვა მხარეში გადაფრინდი ჭიამარია,
თორემ ტრანსფორმირდები, გაგეზრდება ფრთები,
ღამლამობით შენი ენა დაიწყებს ციცინათელობას,
აღარ მოგასვენებენ, დაგიწყებენ დევნას,
სანამ ბოლო ციცინათელას არ გადააშენებენ –
მიდვრების ბოლომდე გდევნიან.
წეტა მქონდეს ორი სული,
ერთ სულსაც არ დავიტოვებდი, ერთს პოეტ გოგოს მივცემდი,
თავშესაფარად,
მეორეს კი მის მათემატიკოს ქმარს,
წერას შეეშვებოდა და რამეს მაინც გამოთ(ვ)ლიდა.
რა ჯანდაბად
ამ დროში სული, მაგრამ მაინც.



მალხაზ ხარბედია

ნუგზარ შატაიძე - პური, საკლავი და ღვინო

ეს წერილი გაგრძელებაა რუბრიკისა, რომელიც უურნალ „ინდიგოს“ კულინარიულ დამატებაში დაიწყო. „ნიგნის ნადიმები“, ასე ჰქვია ციკლს, რომლის ორი პირველი წერილი უკვე გამოქვეყნდა. ერთი პასკალ კინიარის რომანის შესახებ იყო („სალონი ვიურტემბერგში“), მეორე კი პერტა მიულერის ცნობილ რომანს, „სუნთქვის საქანელას“ მიეძღვნა.



თუკი განსაკუთრებული გემობის ძიებას თანამედროვე ქართულ მწერლობაში დავინცებთ, პირველ რიგში ნუგზარ შატაიძე გაგვასხენდება. მის მიერ აღნერილ გემობში კი ორი კულტურული ფენის გამოყოფა შეიძლება - ურბანული „ნადიმებისა“ და სოფლის პურ-მარილების, რომელიც ე.ნ. მენიუებისა და კერძების გარდა, შეიძლება ეპოქებითა და ბევრი სხვა ნიშნებითაც განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ურბანული სუფრები ნუგზარ შატაიძესთან ძირითადად 90-იან წლებს ეხება და ამიტომაც შედარებით მნირი პურ-მარილითაა შემოსაზღვრული, განსხვავებით უფრო ბარაქიანი სოფლური დროს ტარებისგან, თუ უბრალო საღილ-ვახშებისგან.

90-იანები ბევრს გვახსოვს და ამ თემაში შესავლად ვახუშტი კოტეტიშვილის სიტყვებიც გამოდგება ნუგზარ შატაიძის ერთი მოთხოვნიდან. ნუგზარი და ვახუშტი პურანიტარული დამპალი კარტოფილის რიგში დგანან და ვახუშტი ამბობს: „ნინათ მანეთიანი რომ დამეკარგა, გული მწყდებოდა, ახლა ყველაფერი დავკარგე და, ვითომც არაფერი, გულს ახლოს არ ეკარებაო“.

90-იანებში ბევრი იმ წლებს იგონებდა, როცა

„ღვინო მანეთი ლირდა, პური ოცდაათი კაპიკი, კარგი სამწვადე ხორცი კი სამი მანეთი“. ამ წლების შეილები ოცნებაში შლიან მწვადებიან-დედლებიან-თუშურყველიან-ხაჭაპურებიან პურ-მარილს, უფრო რეალისტები კი მიდიან და საიდანლაც შოულობენ ორნახად ჭაჭას, იღებენ გამოციებულ სასადილოში კარტოფილის თითო ღვეზელს და იწყებენ ნადიმს.

ნუგზარ შატაიძე არაერთხელ ახსენებს ადგილებს, სადაც 3 მანეთად ორი კაცი გამოდის პახმელიაზე, ანდა აღნერს გაგნიძების სარდაფს ამოჩემებული მაგიდით და სამი ბოთლი „გარეჯით“, ყველით, პურით, მწვანილით და გაშავებული წინაკის მწნილით. თუმცა სასწაული აქაც შეიძლება მოხდეს და უცებ გაგნიძემ, სარდაფის მეპატრონებ და იმავდროულად მზარეულმა, უშველებელი ტაფით ხახვში ჩახრაჟული კურდლლის გულ-ღვიძლი ჩადგას:

- რა არი ბიჭო ეგა?
 - კურდლელია, ბატონი...
 - კურდლელი კიარა ნუტრიაა!
- შემდეგ სარდაფში ნელ-ნელა ჩამოდიან - სტილისტი თავდიშვილი, ასევე მთავარი რედაქტორი,

დაუწერელი რომანების ავტორები და სხვ. თანამ-შრომლები. ასეთ მნირ სუფრებს შეიძლება გაგრძე-ლებებიც მოჰყენეს, მაგ. შეიარონ სადღაც, მოხუც ქალბატონებთან და იქ ბროლის გრაფინიდან ჩა-მოსხმული არყები ურტყან და ლელვის მურაბა და-აყოლონ ზედ.

ერთ მოთხოვნაში 5-ის 18 ბოთლს დალევენ და მეორე დღეს ხაშე ჩალიჩობენ, მაგრამ უფლავდე-ბათ იდეა და კარადაში მორჩენილი გუშინნინდელი ყველით, 3 არყით და პურით იწყებენ გამოსვლას, შემდეგ კი საიდანლაც ძევვიც გამოჩინდება.

კლასიკური 90-იანური პურ-მარილია აღნერი-ლი მოთხოვნაში „მეორე დღე“ (სათაურიც ნასმუ-რევის შესაბამისი აქვს), სადაც მთელი კინოსტუ-დია იყრის თავს - დამდგმელი რეჟისორი, ოპერა-ტორი, მხატვარი, ორი ასისტენტი. სვამენ არაყს და აყოლებენ კარტოფილის ღვეზელებს.

ნუგზარ შატაიძესთან სხვა ეპოქების ქალაქური სუფრებიცაა აღნერილი, მაგ. 50-იანებისა, ნახერ-ხის „ფეხთაბ“ ტრიალით, ტაფაზე ღორის ხორცისა და კარტოფილის წვით, „უარკოვებით“, პურითა და მნილით. აქ ჩაის სლოიკას აყოლებენ, აბანოთუ-ბანში კი ჩაისთან თათრებმა შეიძლება ცხვრის მწვა-დიც შემოგთავაზონ.

ზემოთ ვთქვი, რომ ქალაქური სუფრები ნუგ-ზარ შატაიძესთან შედარებით მნირია-მეთქი. ასე-თი სუფრები შეიძლება სოფლებშიც გაინყოს, მაგ-რამ მას უფრო სახელდახელო შეგვიძლია ვუწოდოთ და არა მნირი. პირველ რიგში მწყემსებზე ითქმის ეს, რომლებიც პურს, ხახვს, ნიორს და ხანდახან ჭანჭურის არაყსაც ამოალაგებენ ხოლმე. ოჯახში კი, მწვადის მოლოდინში, როცა სუფრაზე მნილი-ლა დარჩენილი, მეზობლები სადღეგრძელოებს აჭი-ანურებენ და ცალი თვალი ბუხარში დაწყობილი შამფურებისკენ გაურბით, ვერ ითმენენ და ამბო-ბენ: “რად უნდა, ბიჭო, მაგდენი?! მიიდე ლოყაზე, თბილია - მაიტა”.

მეზობლის დასახმარებლად გადასულები (გა-დაბერებული ხის მოქრა იქნება, შეშის დაჩქევა, ღო-რის დაკვლა თუ სხვ.) თავიდან ასევე სახელდახე-ლო სუფრით იწყებენ, 3-3-ს ჩაარტყამენ მნილთან ერთად და იწყებენ საქმეს, რომლის დასრულების შემდეგაც მეორე სართულიდან ჯამ-ჭურჭელის ხმა-ური მოისმის, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო დიდი სუფრა იშლება, სადაც უკვე დედალი, ყველი, თას-მასავით პური, ყაურმა და მწვადი შეიძლება შემო-ვიდეს. დეტალურად აქვს ასევე აღნერილი ნუგზარ შატაიძეს ხაშის ცერემონიალი, თან ისე აქვს აღნე-რილი, გეგონება ჩაის იაპონური ცერემონიალი იყოს. ესაა ქართლური მედიტაცია ბოლქვებად ამოსული ორთქლის ბულით, ჯამებით, კოვზებით, ნიორ-მა-რილით, ღრმა ამოსუნთქვებით, ცხარე თუ ცოტა გალაყებული არაყით.

არაყზე ერთი ძალიან პოეტური ტექსტი აქვს ნუგზარს, „ჩვეულებრივი ყვავი, ჩვეულებრივი კაჭ-კაჭი, ჩვეულებრივი ძალები“. ნავერაციები რეა-ნიმაციაში ნევს და იხსენებს სოფელში რომ ავიდა, მარტო იჯდა და მეზობელმა მოაკითხა, ხელში კომ-ბოსტოს ორი ფოთლით, ჯამებივით. ერთი პამიდო-რით იყო სავსე, მეორე ვერახის ატმით. შემდეგ ჭან-

ჭურის არაყიც გამოაძვრინა მეზობელმა კედლის სამალავიდან და აქ ავტორის სიბრძნეც გაისმება არაყზე: „მნარეა, მაგრამ ტკბილია“.

სოფლიდან ხშირად ხორავით ჩამოდიან ხოლმე, მოსაკოთხოით, ჭირშიც და ლენიშიც. მაგალითად, მო-ვიდა ქალაქიდან ნათესავის გარდაცვალების ამბა-ვი. გამოაცხობენ ორ-ორ თონე გამტკიცულ ლავა-შებს და ნეკის პურებს, დაკლავენ ერთ კარგ, მსუ-ქან ჭედილას, გავსებენ ორვედრიან ტიკს ღვინით და ქალაქს მიდიან, ხოლო ახალი წლის წინა დღეს ქალაქში საცხოვრებლად გადასული შეილიშვილე-ბისთვის რომელიმე დიდედას ან ბიძას სოფლური სანოვავე ჩააქვთ - დაკლულ-გაპუტული ინდაური, ქათმები, ღორის ერთი დიდი ფეშხო და მამის გასა-ხარად, ღვინო და არაყი. ტკბილეულიდან - ნაირ-ნაირი ჩირი და ტყლაპები, ჩამიჩი და ჩურჩხელები, ვაშლი და ზამთრის მსხალი. ხელცარიელი არც ნა-თესავები მიდიან ხოლმე ერთმანეთთან. მაგ. გაბა წინარეხიდან თავის სიძესთან, მიხასთან ყოველ შა-ბათს გადადიოდა ხოლმე და თუ ახალი დაკლული ჰყავდა, ყოველთვის თან მოპერინდა ღორის დიდი ჩალალაჯი, ჭანჭურის არაყი, თითქმის ერთი ჩანახი გაკროლილი კაკალი და სეზონზე - ბალი. მიხაც მიმზადებული ხვდებოდა - ქვევრი უკვე მოხდილი ჰქინდა, პური გამომცხვარიყო, ქათამიც მოხარუ-ლიყო და თაბაზზე ცივდებოდა. როგორც მთხო-ბელი იხსენებს, მესამე არასდროს ჰყოლიათ თურ-მე სუფრაზე.

ამ კამერული, ორკაციანი სტუმარ-მასპინძლო-ბიდან შეიძლება შედარებით დიდ და მასშტაბურ და რაც მთავარია, სასაცილო და სახალისო სტუმარ-მასპინძლობებზეც გადავიდეთ. პირველი რაც მახ-სენდება, „ნაცარია“: მთხოვნელი საჭესთან ზის და მანქანა ჯინაზე მაინცდამაინც თავისი ძმაკაცის ჭიშკრის წინ „დაუბუქესავდება“ ყინულზე, ისიც და-ინახავს, გამოვარდება და ეპატიუება ხალხს, „კი-ნოსტუდიის ხალხს“, რომლითაც სავსეა მანქანა. მთხოვნელმა კი იცის, რომ მტრისას, თუკი კინოს-ტუდიის ხალხი ვინმეს ოჯახში შევიდა, ვერაფერი გადაურჩებათ, ყველაფერს შეჭამენ. ჰოდა „აბუქ-სავებს და აბუქსავებს“ ეს მთხოვნელი, ერთი სუ-ლი აქვს გასცდეს ამ ყინულს, ლურთი კი (ეგრე ჰევია მასპინძლელს) ექაჩება, კინოსტუდიის ხალხი მისი ძმა-კაცები ჰევნია და „ღორი მყავს დაკლულიო, გუ-შინდელი ყაურმა გავაცხელოთ, მწვადები ავაშტ-ხინოთო...“, თან დაგინებული აქვს, ვინც არ შემო-ვიდესო. ხელს ყოფს მანქანაში, გასაღებს ეპოტინე-ბა და ისევ იგინება. მდლოლმა იცის რაც ელის ლურთს, თუკი მის ნებას დაპუებიან, ესენი მთელს ზამთრის სარჩოს შეუჭამენ, მთლიან დაკლულ-და-ფეხხოვნებულ ღორს მუსრს გაავლებენ და ამიტომ ძალიან ინდომებს. უცებ ხდება საოცრება - ეზოდან ლურთის ცოლი გამორბის, გამოაქვს ორი ვედრო ნაცარი, უკვე მანქანიდან გადმოლაგებულ კინოს-ტუდიის ხალხს უკან ჩასხამს, უნდა დამზიდეს მან-ქანაზ და ერთ ვედრო ნაცარს ჯერ ერთ ბორბალს შეუყრის, მერე მეორეს და მანქანაც ადვილად გაც-დება იმ ყინულიან, ლურთის ოჯახისთვის ძალიან სახიფათო მონაკვეთს. მთხოვნელის ბოლო სიტყვე-ბია: „მაინც რა ყოფილა, რა შესძლებია იმ დალოც-



ვილ ნაცარს, როგორ იხსნა შიმშილისგან საცოდავი ლურთის ცოლ-შვილი ამხელა ზამთარში-მეტქი".

თუმცა ყველას როდი უმართლებს ლურთივით. მაგ. გოგიას, მოთხრობიდან „სტუმარი ღვთისაა" ერთ დღეში ლამის ოჯახს დაუქცევენ სტუმრები. სტუმრები პოლიტიკოსები არიან, „ჩაჰალსტუხებულ-ჩამუსლუკებული" ხალხი ნაცნობი გვარ-სახელებით. ერთს ბატონი ვიტალი პეტრი, მეორე კი, ვინც ამ შავმანქანიანებს მოუძღვის, გოგიას ძმისნულია, ქუცნაშვილი: „ვაიმე საწყალი გოგიაო, - ჩაილაპარაკა ყარამანამ, - აბა, ამდენ ხალხს რა ღორი ეყოფაო..." და იწყება დიდი ამბები, რომელსაც, რა თქმა უნდა, დეტალურად ვერ მოვყები, ამისთვის თავად მოთხრობა უნდა წაიკითხოთ, თავად უნდა იცინოთ. მოკლედ კი გეტყვით, რომ ქრესტიონიული გასტროტერორისტული მოთხრობაა, ღორის დაკვლით, თოვლზე დაქცეული სისხლით, ნაკვერჩხალზე შემერთალი მარილმოყრილი ელენით, სუკებით, ყაურმით, ხაშლამით, ხინკლით, ზედაც დიდი ინდაურით. როცა მასპინძლები ხვდებიან, რომ სტუმრების არნახულმა მადამ შეიძლება ოჯახი დაუქციოს, ზოგი ხუმრობის ხასიათზეც დგება - ფაშვი არ უნდა გადაგვეგდოო, ამბობს ერთი, მეორე მწნილს აბრალებს ასეთ მადიანობას, არ უნდა გამოგეტანათ ყველანაირი მწნილი, კომბოსტოსიც რომ ჩადგით, პამიდვრისაც და ნინაკისაც, აბა რა გეგონათ, მწნილს რომ აყოლებენ, გული არ უმსუყდებათ და ბევრ ხორცსა სჭამენო. ბატონი ვიტალი ყაურმის გაცხელებას ითხოვს, სხვები ხინკლის ახალი პარტიის მოლოდინში იფშვნეტენ ხელებს. მოკლედ, შეჭამეს ყველაფერი, დაძლნენ, ისე, რომ კიბეზე სახეაჭარხლებულები ჩამოვიდნენ, „მეტი სმა-ჭამისაგან დაუქინელლულები".

ნასვლის წინ ერთი კარგი ფრაზაა, ისევ ყარამანა ამბობს - „ეჱ, სანამ მანქანები გათბება, ერთ ღორს კიდე შეჭამენო...".

ნუგზარ შატაიძესთან ხშირია საკლავის დაკვლა - სახლში, მინდოოში თუ ხატში. კლავენ ღორს, ჭედილას, ბატკანს, მოზვერს. დედები ყოველთვის არიდებენ შვილებს დაკვლის სანახაობას, გაფუფქვაგატყავებასაც. ეგ კიარა, ხანდახან ოთახში შეჰყავთ და ღორმა თუ ხმამაღალი ჭყვირილი დაიწყო, ყურებზე ხელებსაც აფარებენ ხოლმე შვილებს. ზოგჯერ დაკვლისას შეიძლება საკლავი გაექცეთ კიდეც, მაგრამ ბედისნერას ვერსად გაექცევი, ყველაფერი მაინც ისევ მწვადით, ყაურმითა და ღორის ხაშლამით სრულდება. ბატკანს ქვაბში კაფავენ, დააყრიან ბლომად ტარხუნას და მწვანე ხახვს, მოხარშულს შეაგებენ მარილითა და ტყემლით და მოასხმენ თეორ ღვინოს. მოთხრობაში „ლამაზი ქალი" დიასახლი ასე ამზადებს ყაურმას - ჩაკაფავს ჭედილას ჯიგარს, დააჭრის ბლომად ხახვს და შემოდგამს ცეცხლზე. კარგად რომ ჩაიშუშება, გადაუწურავს წვენს, მოხრაკავს მშრალად, დაბრანავს, მერე შეუყენებს თავისივე წვენს, შეაგებებს ნინაკით, ხმელი ქონდრით და მარილით და მოაცეურებს ხახვარ ჭიქა ღვინოს (სხვაგან, სხვა მოთხრობებში, კაცები ყოველთვის ერთ ან მეტ ჭიქა ღვინოს უმატებენ ასეთ კერძებს და არა ნახევარს).

საკლავთან დაკავშირებული ყველაზე გიუური

ისტორია მაინც „პურის მოთხრობაშია" მოყოლილი, ესაა ქართლური რაბლეზიანიზმით გაჯერებული ამბავი. ავტორი ზემოუბნელების და ქვემოუბნელების შრომისა და გასტრონომიულ კულტურებს შორის განსხვავებაზე ლაპარაკობს და იხსენებს, რომ მინდოოში სამუშაოდ წასულებს, ზემოთუბნელებს საგზლად ყოველთვის პური, ღვინო და საკლავი მიჰყავდათ ხოლმე, ქვემოთუბნელებს კი აბგებში მარტო ხმელი პურის ნამტვრევები და ნივრის კბილები ყეარათ. სადილისთვის ზემოთუბნელები ცხვარს დაპელავდნენ და დიდ ქვაბში გემრიელ კერძს ამზადებდნენ. ქვემოთუბნელები ამ ღროს შორიდან უთვალთვალებდნენ. როცა დაასრულებდნენ შეკმაზეს, ქვემოთუბნელები დაავლებდნენ ხელს მარგილებს და გნიასით დაიფრენდნენ ზემოთუბნელებს. ისინი მიატოვებდნენ ყველაფერს, ქვაბსაც, პურ-ღვინოსაც და მთელს ამ სასმელ-საჭმელს ქვემოთუბნელები შეესეოდნენ ხოლმე. ერთხელაც ამოუვიდათ ყელში ამდენი დამცირება ზემოთუბნელებს და ჩუმად ერთი კარგი მსუქანი ძალლი დაკლეს, მოხარშეს, შეკმაზეს და დაიძრა თუარა ხოდაბუნებიდან ქვემოთუბნელების ლაშქარი, ძველებურად მიატოვეს ყველაფერი და შორიდან დაუწყეს ცქერა. კერძს რომ მიაძლნენ და ზედ ღვინოც დააყოლეს, შემდეგ კი „სასმლისაგან მადაგაძლიერებულება" თითო ჯამიც რომ ამომატეს, „ამოკყვაციცხვს ძალლის კბილებდაკრეჭილი თავიო...".

ისევ „პურის მოთხრობაში" უნდა დავრჩეთ, რადგან იგი პირდაპირ კავშირშია ჩვენს თემასთან და ამ შედევრით ნუგზარ შატაიძემ შესაძლოა თავისი ერთერთი უმთავრესი სათქმელი დავვიტოვა. რას არ გაიგებთ ამ მოთხრობიდან, ამ პროზაული კვლევიდან: გაიგებთ, რომ ცომის გაღვივებას „შეცოლქმარება" ჰქვია, ამოგუნდავებას „ამოქნა", ერთნაირი ფქვილით მოზელილი ცომი „სალთად მოზელილი" ცომია. გაიგებთ რას ნიშნავს მკლავპაჭიჭი, კინჭუტი, უკანა პური, დაფაშრება. როგორ პურს არ ნახავთ აქ: შოთებს, ლიკანს, ნეკნის პურს, ნაზუქს, თაფლავაშს, კვერებს, ლოლოებს, აბრამიანს, ბასილას. აქვეა პურის ხარშო, ფაფა და ხავინი, ხალიფაფა და ფქვილის შეჭამანდი.

პურთან დაკავშირებით ხშირად იხსენებს ნუგზარ შატაიძე ბაგვებს და თავის ბავშვობას. ცხელი პური ხომ ყველას გვყვარებია, ზოგი დღესაც ვატეხთ ხოლმე ყუას (წვერს) ახლადგამომცხვარ პურს, სანამ სახლამდე მივიტანდეთ, ჰოდა ნუგზარიც არა-ერთხელ იხსენებს ასეთ სცენებს და მაშინდელ სურნელებს.

ბავშვობის მოგონებებს უკავშირდება ასევე კულინარიული მრავალკულტურულობის და მეტიც, ხანდახან უცხო ტრადიციებისადმი დიდი პატივისცემის ის შემთხვევებიც, რომელიც ნუგზარ შატაიძესთანაა აღნერილი. მაგალითად, ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ტრამვაი #7"-ში ქურთების სამზადისია აღნერილი: ზოგი მწვანილს რეცხავს, ზოგი ხორცს ჭრის, ზოგი ბრინჯას არჩევს, კერძებს უზარმაზარ, გაკრიალებულ ქვაბებში ხარშოვენ, ჩხარუნით მოაქვთ არყისა და ლიმონათის ბოთლებით სავსე ყუთები, შემდეგ ეზოში შემოდიან დამკერელები და იწყება ხმაურიანი დროსტარება, რომლის

უცვლელი თამადაც ქართლელი კაცი იყო ხოლმე, მწერლის მამა. იქვეა მოთხრობილი სომეხი ქალის, შეშიკ-ტოტას შაქარ-წყალში აზელილი ქუმელის შესახებ, სხვაგან კი ოსური ხაბიზგინების ამბავსაც ამოკითხავთ. მოთხრობაში „თეთრი ცხენი“ ქაქუცას შეფიცულთა რაზმის წევრები დამარცხებული აჯანყების შემდეგ თურქეთში გადასვლას ცდილობენ და მათ მეგზურებად აჯიხალილას ბორჩალოელი თათრები მიუძღვიან. უცებ გარეული ღორების კოლტს დაინახავენ, მაგრამ არ ესვრიან, „უფრო აჯიხალილასი და იმის თათრების ხათრით, ვიდრე მდევრების შიშით“.

მდევრებზე, ყაჩალებზე და აჯანყებულებზე გამახსენდა და ბარემ ამ გავარდნილი ხალხის მენიუსაც გადავხედოთ. ქუმელი ზემოთაც იყო, ალარ შევჩერდები, ამიტომ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, როცა აჯანყებულები მოზევეს დაკლავენ, გაატყავებენ, ცეცხლზე ყურანი ქვაბით ყაურმას შემოდგამენ, მაგრამ უეცრად მდევრები გამოჩინდებიან და ამის გამო ცეცხლს ჩააქრობენ და ყველანაირი კვალის მიჩქმალვას ცდილობენ. მდევრები შეამჩნევენ მათ ადგილსამყოფელს და შეტაკებას მოერიდებიან, თუმცა განერვიულებულ აჯანყებულებს უკვე მადა უფუჭდებათ და ლუკმას ველარ იკარებენ. მოთხრობაში, „გეგათ ოლა“ კი მოხუცი ქალი ყაჩალებს, ილოს და ვანოს გადაეყრება და ისინი დაპურებას თხოვენ, „მესამე დღე ნანილ-მოწყალება არ ჩაგვსვლია პირში...“ და იქნებ რამე გადმოგვიტანოო: „ჯერ მიჯდა მარნის სიბნელეში, იტირა, იზუზუნა, კარგად მოიოხა გული, მერე ჩამოილო თავხეზე დაკიდებული მანეულის დიდი კალათი, დაბერტყა, გაასუფთავა, შიგ ტილო ჩააფინა. ხარიხიდან ღორის დამარილებული ნაფერდალი ჩამოხსნა, დერგიდან ერთი დიდი კერეული ყველი ამოილო, ისინიც ტილოებში შეახვია. ორჩარექიანი ხელადა არყით გაავსო, ჩაალაგა ესენი კალათში, ჩაუმატა ოდნავ შემჭკნა-

რი, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ლოყანითელი ვაშლები, ჩურჩელები, ხახვი, ნიორი... დაალაგა ამ ყველაფერს ზემოდან ექვსი თასმასავით რბილი პური, კალათს ჩაის ტილო გადააფარა და იქვე, მარნას ბნელ კუთხეში მიდგა“.

კიდევ არაერთი ლიტერატურული მენიუს აღნერა შეიძლება ნუგზარ შატაიძის მოთხრობებში, ქეიფების, სიმწრისა თუ ბედნიერების ლუკმების, ლხინისა თუ ჭირის, ქელეხის სუფრების. მასთან რეალური პურ-მარილის გარდა დიდი წარმოსახვითი სუფრებიც იშლება (მაგ. მოთხრობა „გვირაბში“), თუმცა ბოლოს მაინც მინდა მოგზაურის ულუფებზე შევჩერდე, რადგან ნუგზართან დიდი მოგზაურობისთვისაც გვხვდება საგზალი და მოკლე გზის-თვისაც.

ქალაქიდან სოფელში წასვლის წინ ცოლი ქმარს რამდენიმე კატლეტს უწვავს, ან ცოტა ყველით და ორი ცალი კიტრით ადგება სოფლისკენ გზას. უსახლკარო ბიჭი, მოთხრობიდან „მოგზაურობა აფრიკაში“ კილეის ორი კონსერვით, 2 პურითა და ნახევარი კილო ხალვით მიდის აფხაზეთში. სულ სხვანაირია ევროპელი მოგზაურის მენიუ ავტობიოგრაფიული მოთხრობიდან „ევროპაში რა მინდოდა“. ასეთი ეპიზოდები კიდევაა, თუმცა ნუგზარის ერთი ძველი მოთხრობით მინდა დავამთავრო, სადაც მეგობრები მყინვარწვერზე მიდიან და მწვერვალის მისადგომებთან მისულები, სასადილოში შედიან. იქ აღმოაჩენენ, რომ ასვლის სეზონი დასრულებულა და კარგად გამოთვრებიან. ბოლოს მწვერვალზე გასახსნელად გადანახულ ფრანგულ შამპანურსაც ამოაძერენენ ზურგჩანთიდან. უცხო ბოთლი სასწაულივით ამოანათებს და „და უცებ, მეორე სასწაული ხდება - გაუპარსავ, ჭუჭყიანხალათიან ოფიციანტს სამი, საოცრად ლამაზი, მაღალფეხიანი ფუჟერი მოაქვს“ და უმწვერვალო მთამსვლელებს წინ დაულაგებს.



სანდო გეგეჭკორი

თავისუფლების შეუძლებლობა “მებრძოლთა კლუბის” მიხედვით



ჩა პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“ ერთი შეხედვით შეიძლება ანარქისტულ პროპაგანდას მივამს სგავსოთ, სადაც ავტორი მოგვიწოდებს ერთმანეთის ცემა-ტყების, ადამიანის ცხიმით საპნის დამზადებისა თუ ათასგვარი ხულიგნობისკენ, რაც საბოლოოდ ცივილიზაციის სრული დამხობით უნდა სრულდებოდეს, თუმცა, ვფიქრობ, ეს მხოლოდ ზერელეთვალის ხედვაა. რეალურად კი მწერალი გვეუბნება, რომ დღევანდელ სამყაროში არსებობს დიდი ოდენობით სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ინდივიდს დაბადებისთანავე ენიჭება და რომელთაგან გაქცევაც წარმოუდგენელია. შესაბამისად, ამ ესეში მინდა ვაჩვენო ის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში სრული თავისუფლება შეუძლებელია.

თავისუფლებისკენ სწრაფვა არის ამ რომანის მთავარი მამოძრავებელი ლერძი. ძალიან მარტივად და მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი წიგნის მოკლე შინაარსი ზუსტად ასეთი იქნება: ეს არის ამბავი კაცი-სა, რომელმაც გაიაზრა, თუ რა არაფრისმთქმელი, აბსურდული ცხოვრება ჰქონდა და სცადა გათავისუფლება, მაგრამ შუა გზაში მიატოვა დიადი იდეა და სკუთარი კომფორტის ზონში დაბრუნება არჩია. მოხრობელისთვის აუცილებელი იყო იმის გარკვევა თუ როგორ უნდა მისულიყო თავის მიზანთან.

მისი დასკვნა ასეთი იყო: „მხოლოდ ყველაფრის და-კარგვის შემდეგ ხდები თავისუფალი, შეგიძლია, აკე-თო რაც გინდა“¹. მაგრამ ჩნდება კიოხვა, რა არის ეს ყველაფრი?

პირველ რიგში, ეს არის პირადი საკუთრება. ჩემი აზრით, ჩაკ პალანიკი მიყვება მასზე დიდი ხნით ადრე დაწერილი კლასიკური ტექსტის ნიმუშს, შეიძლება სულაც გაუცნობიერებლად. გავიხსენოთ მარკ ტვერის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი”, რომლის მთავარი გმირიც მთელ თავის ქონებას ერთ დოლარად ყიდის, შემდეგ კი გარბის იმ ცივილიზაციიდან, რომელშიც თავს კომფორტულად ვერ გრძნობს. ჰეკ ფინიც, ისევე როგორც „მებრძოლთა კლუბის” ჭაილერი, ქონებას უარყოფითად, თავისუფლებისთვის დამაბრკოლებლად უყურებს და უარს ამბობს მასზე. თუმცა დერდენი ცოტა უფრო შორს მიდის. იგი ფიქრობს, რომ ნივთები, რომლებსაც ადამიანი ფლობს, საბოლოოდ პირიქით, მისი მბრძანებლები ხდებიან. ადამიანები ყიდულობენ ნივთებს, რომლებიც არ სჭირდებათ, ამისთვის კი მუშაობენ სამსახურებში, რომლებიც ეზიზებებათ. სწორედ ამიტომ უფეთქებს სახლს თავის „ალტერ-ეგოს”, ცდილობს ერთი ნაბიჯით დააახლოოს ფსკერთან, ყველაფრის დაკარგვასთან. შეიძლება ითქვას, რომ რაღაც მხრივ,

გივე დამოკიდებულება აქვს ტაილერს ადამიანის სხეულის მიმართ. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ჩვენი სხეულის დასაკარგად, ტკივილის ასატანად. ჩვენ უნდა გვქონდეს რაც შეიძლება მეტი ნაირევი ტანზე, მაქ-სიმალურად ჩამავებული თვალები. მეტროლოთა კლუბის შექმნის მთავარი არსიც ესაა, ქალების გაზრდილი კაცები უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს თვითგანადგურებაში, რადგან შეუძლებელია ლამაზი სახით ფსკერამდე დაეცე.

მეორე, რაც აუცილებლად უნდა დავკარგოთ, თუკი თავისუფლება გვინდა, არის ხსოვნა. ამის გა-საანალიზებლად საჭიროა გვახსოვდეს, რომ რომა-ნის მთავარი გმირი უმამოდა გაზრდილი, ისევე რო-გორც იმ პერიოდის ამერიკელთა დიდი ნაწილი. „თუ ქრისტიანი მამაკაცი ხარ და ამერიკაში ცხოვრობ, შენთვის მამაშენი ღვთის მოდელია. თუ მამას არ იც-ნობ, სახლიდან წავიდა ან მოკვდა, ან თუ შინ არას-დროსაა, როგორი დამოკიდებულება გექნება ღვთი-სადმი?“² რა თქმა უნდა, შეგზიზღდება. მისი უარყო-ფა და განადგურება მოგინდება. მამა - ეს არის არამ-ხოლო დუფლის, არამედ ზოგადად წარსულის სახე, მისი დავინუბებით კი ცხოვრებას ახალი ფურცლიდან იწყება. „მებრძოლთა კლუბის“ სიუჟეტის მიხედვით, ბოლო მიზანიც ხომ ეს არის - შენობა წაქცევის შემ-დეგ მუზეუმს დაეცემოდა, გაანადგურებდა წარსუ-ლის ამ ყველაზე მრავლისმცოდნე მცველსა და ელჩს. ასევე არაერთხელაა ნახსენები ლუკრის დაწვისა და „მონა ლიზათი“ უკანალის გამოწმენდის სურვილიც. ისინი მკვდრები არიან, მხატვრები და მოქანდაკეები, არქიტექტორები, და მანიც წარმართავენ ჩვენს ბედს. ისევე როგორც მოსე, რომელიც ჰეკ ფინმა უარყო, რადგან მკვდარია. მასაც, როგორც თავი-სუფლების მოტრფიალე ადამიანს, არ აინტერესებს მკვდარი ხალხი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ეპი-ზოდი, როცა ჰეკლბერი ფინ მამამისს ქოხიდან ეპა-რება თავისი სიკვდილის გათამაშებით. ამით ის ერ-თგვარად კლავს საკუთარი თავის ხსოვნას. როცა დაივინებენ, მხოლოდ მაშინ შეძლებს გაქცევას, გა-თავისუფლებას.

ამასთან ერთად, შეგვიძლია გავიხსენოთ გაბრიალ გარსია მარკესის მოთხრობა „მხოლოდ ტელეფონზე დასარეკად მოვედი”, რომელშიც ნობელიანტი მწერალი ხსოვნის იდეას ემინავს. ნანარმოებში ქალს გზაზე მანქანა გაუფუჭდება და შემთხვევით გაჰყვება მანქანას, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულებითაა სავსე და საგიშეთში მიდის. მას რეალურად მხოლოდ ტელეფონზე დარეკვა უნდა, რათა თავის ქმარს შეეხმანოს, თუმცა ფსიქიატრიულის სამედიცინო პერსონალი მასაც ავადმყოფად მიიჩნევს, კლინიკაში დატოვებს და შესაბამისად, არც ტელეფონზე არეკინებს. ასე, სრულიად შემთხვევით მოხვდება პროტაგონისტი საგიშეთში, საპყრობილები, საიდანაც გასვლა აღარ შეუძლია. დროთა განმავლობაში მას ნელ-ნელა ავინწყდება ის მიზანი, რის გამოც იქაა. ერთხელაც იგი შემთხვევით ტელეფონთან აღმიჩნდება, თუმცა მხოლოდ შემოსული ზარი გაახსენებს ქმართან დარეკვის სურვილს. საბოლოოდ, მოთხრობა მთავრდება იმით, რომ საგიშეთი ინგრევა. თუმცა მკითხველი ამას გარე თვალით ხედავს. საპყრობილე იხსნება მაშინ, როცა ქრება ხსოვნა ორმხრივად, როგორც პაციენტებისა გარე სამყარებელი გადასაცემი მომავალი არ იყო მარტინის მიზანი.

როს მიმართ, ასევე პირიქით. სწორედ ამ დროს, ამ დავინიცების წამში თავისუფლდება საპყრობილიდან ყველა ის ადამიანი, ყველა ის ფსიქიატრიულში მოხვედრამდე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი.

მესამე რამ რაც აუცილებლად უნდა დაკარგოს თავისუფლებისკენ მიმავალმა ადამიანმა, არის იმედი. „მხოლოდ ფულის, ქონების და ცოდნის უარყოფა არ კმარა... თვითგამოსწორება უნდა შეწყვიტოდა და განადგურებისკენ ისწრაფვო... თუ ფსკერზე დაშვებამდე დანებდები, ნარმატებას ვერასოდეს მიაღწევ.“³ სწორედ ეს შეგუებაა მთავარი ფაქტორი გათავისუფლებისთვის, პიროვნება უნდა მიხვდეს, რომ ის არაფრით არაა გამორჩეული. „ჩვენ ღმერთის არა-სასურველი შვილები ვართ, არც განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევს და არც განსაკუთრებული ადგილი გვიჭირავს ისტორიაში.“⁴ ინდივიდმა უნდა შეწყვიტოს ხავსზე მოჭიდება და თავისივე სურვილით ჩაეფლოს ამ დიდ მორევში. მხოლოდ ასე შეიძლება იგი ფსკერზე აღმოჩნდეს. ძალიან საინტერესოა თავად ტექსტშივე მოხმობილი მაგალითი ადამიანისა, რომელიც მაქსიმალურად ქვემოთ დაეშვა - იესო ქრისტე. იგი ჯვარცმით სწორედ ფსკერზე დაეშვა, განადგურდა თავისივე სურვილით და ამით მოიპოვა თავისუფლება. „მხოლოდ თვითგანადგურების შემდეგ შევძლებთ აღდგომას“⁵.

იმედის დაკარგვის იდეა საკმაოდ ჰგავს აბსურ-
დის ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც აბსურდუ-
ლი ყოფისგან გათავისუფლება მხოლოდ შეგუებითა
და უიმედობითა შესაძლებელი. ამას ამბობს ალბერ
კამიუც თავის „სიზიფეს მითში”, რომლის მიხედვი-
თაც სასჯელის სახით სიზიფეს სრულიად უაზრო
ქმედების, მთაზე ლოდის ატანა უწევს, საიდანაც ის
მთელი ძალით გორდება ქვემოთ, შემდეგ კი ისევ
იგივე – უსასრულოდ. კამიუს აზრით, ასეთ ყოფაშიც
კი არის შესაძლებელი ბედნიერება. თუკი სიზიფე გა-
იაზრებდა, რამდენად აბსურდულია მისი მდგომარე-
ობა, დაკარგავდა კველანაირ იმედს, დაეცემოდა
ფსკერზე, მაშინ მისთვის ხელშესახები გახდებოდა
ბედნიერება.

„მებრძოლთა კლუბის“ მიხედვით, თუკი ამ სამ მუხლს აქმაყოფილებ, თავისუფალი ხარ. შენ არ უნდა გქონდეს საკუთრება, გარდა მინმაღლური საჭიროების ნივთებისა, ორ-ორი წყვილი შავი მასური, შარვალი და ნინდა, ერთი წყვილი მაღალძირიანი ფეხსაცმელი, შავი ქურთული და 300\$ სიკვდილის შემთხვევაში, დასაკრძალად. შენ არაფერი არ უნდა გახსოვდეს, უნდა მოკლა ნარსული შენში, უნდა დახოცო მშიბლები, ისტორიული პირები, ამერიკის პრეზიდენტები და ყველა სხვა დანარჩენნი შენს გონებაში. შენ არ უნდა გქონდეს იმედი. უნდა იბრძოლო რომ დაეცე, სისხლითა და ოფლით უნდა მოიპოვო შენი კუთვნილი ადგილი ფსკერზე და გახსოვდეს, რომ „რაც უფრო დაბლა დაეცემი, მით უფრო მაღლა აფრინდები“. აი, ეს არის ჩაკ პალანიკისეული თავი-სუფლება, რისი მოპოვებაც, ჩემი აზრით, შეუძლებელია.

კვიქრობ, თავისუფლებისთვის აუცილებელი პირ-
კელივე პუნქტი საკმაოდ აძსურდულია. რომანის პირ-
კელ ნაწილში არაერთხელ გამოთქმული „ჩვენ არა-
ფერი გვაქვს დასაკარგი“ ძალიან ჰგავს მუშათა კლა-
სის მარქსისტულ იდეას, რომელიც, არც მეტი არც

ნაკლები, სიმდიდრის სხვაგვარ გადანანილებას ითხოვს, რომ მდიდარს წარუთვეს და ღარიბს მიუვი-დეს. ერთ-ერთ მომენტში „კოსმოსური მაიმუნი“⁷ ასეთ რამეს ამბობს: „ზარმოლიდგინე, რომ გაფიცვას გამოვაცხადებთ და ყველა უარს იტყვის მუშაობაზე, სანამ დედამინის სიმდიდრე ხელახლა არ გადანა-ნილდება“⁸. ეს ყველაფერი ძალზედ ჰგავს პროლე-ტარიიატის აჯანყებას, რაც საერთოდაც არაა კავ-შირში თავისუფლების იდეასთან. ტექსტის მეორე ნახევარში ეს ფრაზა ასე იცვლება: „მებრძოლთა კლუბის გარდა დასაკარგი არაფერი გვაქს“⁹. ადა-მინები უკვე თავს უძღვნიან ამ იდეას, რასაც მებ-რძოლთა კლუბი ქვია. მათთვის ის უკვე ქონება ხდე-ბა, ამით კი ისინი უბრალოდ თავისუფლების ილუ-ზიას იქმნიან.


აგრეთვე, მნიშვნელოვანია ხსოვნის დაკარგვის შეუძლებლობის განხილვაც. ტაილერისთვის დავიწყების იდეა ნიშავდა მამის, შესაბამისად კი, როგორც წარსულის, ასევე ღმერთის მოკვლას. „თუკი ქრისტიანი მამაკაცი ხარ და ამერიკაში ცხოვრობ, შენთვის მამაშენი ლვითის მოდელია. ზოგჯერ მამას სამსახურში პოულობ“¹⁰. მთხოვბელმა მამა თავის უფროსში იპოვნა, ხოლო კოსმოსურმა მაიმუნებმა - ტაილერ დერდენში! მათ უყვართ თავიანთი მბრძანებელი, ისინი მას ემორჩილებიან მიუხედავად იმისა, რომ პროექტ ქაოსის მთელი მიზანი წარსულის, ღმერთის, მამის მოკვლაა. ისინი ყველაფერს მისი ბრძანებით აკეთებენ, მამინაც კი, როცა მას ეპყრობიან ცუდად: „წესები კარგად იცით, მისტერ დერდენ. თავად თქვით, თუ ვინმე კლუბის დაბურვას ეცდება, გინდაც მე ვიყო, ყველებით უნდა დაკვიდოთო“¹¹. ამით იდეა შუაზე იხლიჩება, ისინი, ვინც მისოთვის იბრძვიან, შინაგანად თავადვე ენინააღმდეგებიან მას. ბუნებრივია, რომ კოსმოსური მაიმუნები ვერ იქნებიან თავისუფლები.

თუკი რომანის ბოლო წინადადებას წავიკითხავთ, წავანწყდებით დიდ შეუსაბამობას თავისი უფლების მოპოვების მესამე კრიტიკრიუმთან, იმედის დაკარგვასთან. წანარმოები სრულდება ასე: „მოუთმენლად ველით თქვენს დაბრუნებას“¹². ეს სიტყვები საგიშეთში მოხვედრილ მთხოვბელთან გარედან აღნევს და ცალსახად იმედითაა სავსე, რომ ტაილერ დერდენი დაბრუნდება, შეკრებს თავის არმიას, რომლითაც ცივილიზაციას დაამხობს და ახალ, უკეთეს, თავისუფალ სამყაროს შექმნის. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „მებრძოლთა კლუბში“ ინდივიდებს არ დაუკარგავთ საკუთრება, ხსოვნა თუ ქონება, ანუ, ისინი არ არიან თავისი უფლები.

მოთ აღნიშვნული გაყოფის ქვეშ იმაღლება მეორე შრე გამოყოფისა, რაც გამოიხატება ტაილერ დერდენისა და ამბის მთხოვბელის გამიჯვნაში. „მებრძოლთა კლუბის“ დასაწყისიდან ისინი ერთმანეთს ხედავენ, ლაპარაკობენ, თითქოს გაერთიანებულნი არიან ერთი იდეის ქვეშ. ამბის გადმომცემის ცხოვრებაში გადაღლისა და ერთფეროვნების მობეზრების შედეგად მოულოდნელად გაჩნდა დერდენი, რომელიც მისი აჯანყების სახეა. თუმცა, ნანარმოების მეორე ნახევარში ისინი ერთად აღარ არიან. მთხოვბელი ველარ პოულობს მას, ველარ ხედავს და ელაპარაკება, მათი მიზნები ერთი აღარ არის.

თავის უფლების ორი ტიპის განააზრებლად აუცილებელია სწორედ ამ ორი მონაკვეთის გაანალიზება. დასაწყისში, თავის ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ პიროვნებამი იბადება ახალი აზრი, აჯანყების, სამყაროს ახლებურად მოწყობის იდეა, რომელიც ხორცს შეისხამს და ტაილერ დერდენის სახელს მიიღებს. ისინი ერთად ქმნიან მებრძოლთა კლუბს - იმ მინი-მუშას, რაც აუცილებილია ინდივიდუალური საუკუნეო მიმავალი გზის პირველ საფეხურს, დაკარგავენ ქონებას, რომელსაც წლობით აგროვებდნენ. მაგრამ შემდეგ ტექსტში ტაილერი ქრება, ჩვენ მისი სიტყვები კოსმოსური მამუნების პირით გვესმის. მას აღარ ჰყოფნის მებრძოლთა კლუბი, საკუთრების უარყოფა და გახვრეტილი ლყყა, მას მეტი სჭირდება, თუმცა მთხოობელი ამითაც კმაყოფილია. სწორედ აქ ხდება ადამიანის ორი სახის კარგად ნარმოჩენა. ერთი მათგანისთვის, ამბის გადმომცემისთვის, საკმარისისა თავისუფლების ილუზია ჰქონდეს, უბრალოდ გაექცეს იმ ყოველდღიურობას რომელშიც ჩაფლობილია და საკუთარ თავს დააჯეროს, რომ ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შეიძლება მოუნდეს. იგი მაინც, ყველაფრისდა მიუხედავად სოციალური ცხოვრელია და არ შეუძლია გამოყენოს სოციუმს, მის წინააღმდეგ ნავიდეს. ხოლო ტაილერისთვის ეს ყველაფერი სხვაგვარადაა. მას არ აინტერესებს ის საზოგადოება რომელშიც ცხოვრობს, არ ანალვლებს მისი ნევრები, არ სურს მისი ნაწილი იყოს. ტაილერს უნდა, რომ ეზიაროს სრულ თავისუფლებას, გაიაროს სამივე საფეხური, დაკარგოს ყველაფერი და საბოლოოდ მიზანს მიაღწიოს. შესაბამისად, იგი ქმნის პროექტ ქაოსს, რომლის მთავარი დანიშნულებაც მუზეუმის დანგრევა, ნარსულის დავინცებაა. ამ დროს კი იგი ტექსტიდან ქრება. მიზეზი მარტივია: მთხოობელი მას ვეღარ ხედავს, აღარ ეთანხმება, მთავარი მოკავშირე მტრად გადაექცა, თავისივე შექმნილი მონსტრი ახლა უკვე თავად შას ემუქრება.

მსჯელობის შედეგად აქარაა, რომ მთხოვნელის თავისუფლება მხოლოდ ილუზია, რომელიც რომანის ბოლოსკენ საერთოდ ქრება კიდეც. მასში იმარჯვებს საზოგადოების წევრად დარჩენისკენ სწრაფვა, მას ურჩევნია იყოს ცოცხალი იმ სოციუ-მისტვის, რომელშიც ცხოვრობს, ვიდრე იყოს თავისუფალი. ეს ყველაფერი ძალიან კარგად ჩანს იმ ორ მომენტში, როდესაც ის ფსკერს უნდა უახლოვდებოდეს. როცა მაჯაზე ტაილერი კოცნის, კაუსტიკური სოდით გამოწვეულ ტკივილს იგი ვერ უძლებს და ცდილობს მას მართულ მედიტაციაში გაექცეს. ზუს-



ტად იგივე ხდება ნაწარმოების ბოლოსკენაც, როცა პროექტი ქაოსის ნევრები მას ყველების მოქრით აშინებენ. ამით ავტორი აშკარად გვეუბნება, რომ მთხობელი საერთოდაც არ ცდილობს ფსკერზე დაშვებას, შესაბამისად, გათავისუფლებას. ასევე, აღსანიშნია, რომ მას ტაილერის ეშინია. ამას მწერალი ძალიან მკაფიოდ გამოხატავს რომანის ბოლო თავში ფსიქიატრიულში მოხვედროლი ნარატორის სიტყვებით: “მაგრამ უკან დაბრუნება არ მინდა. ჯერ არა. იციოთ, რატომ? იმიტომ, რომ კაცს, რომელსაც ხანდახან ჩემთან ლანგრით სადილი და მედიკამენტები მოაქცეს, ხან თვალი აქვს ჩაშავებული, ხან შუბლი - გასიებული და გაკერილი.”¹³ მეტიც, თავად ტაილერიც კი ბოლომდე ვერ აღწევს ამ დიად იდეას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან ახლოსაა მასთან. დერდენი ხსოვნის მსხვერპლი გახლავთ. შეიძლება მას თავად დაკარგული აქვს ყველაფერი, ყველანაირი ავტორიტეტი დავინტებულია, ქონება განადგურებული, იმედი ჩაკლული. იგი თითქოსდა შეუზღუდავი, თავისუფალია, თუმცა ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მას აღარაფერი გააჩნია, იგი საზოგადოების ნაწილია, რადგან არსებობს მისი ხსოვნა, მისი ძალის რჩმენა, იგი მათთვის ღმერთია, უდიდესი ავტორიტეტი, რომელსაც არასოდეს დაივინწყებენ. “ენდე ტაილერს”¹⁴ - ასეთია პროექტი ქაოსის მეზუთე წესი. უნდა გავაანალიზოთ, რომ ხსოვნა ორმხრივი რამაა, სწორედ ამიტომ ასაღებს ჰეკლბერი ფინი თავს მკვდრად, რომ მისი ხსოვნა გაქრეს და სწორედ ამიტომ ინგრევა მარკესის მოთხოვნაში ფსიქიატრული სავადმყოფო მას შემდეგ, რაც მთავარ გმირს ტელეფონზე დარეკვის სურვილი ავინწყდება, გარედან კი აღარავის ადარდებს. მისი ხსოვნა ორივე მხრიდან საბოლოოდ ქრება, ის კი თავისუფლდება.

როგორც უკვე ვასხენე, რომანის ბოლოს ასახულია დაპირისპირება მთხრობელსა და ტაილერს, შემდეგ საბამისად, თავისუფლების იღუზიასა და სრულ თავისუფლებას შორის. მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენა კი არც ისე რთულია, ნაწარმოების ბოლოს

დერდენმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, დამარცხდა
და ნიტროგლიცერინში პარაფინი შეურია. გასრო-
ლილი ტყვია სწორედ ტაილერს მოხვდა. კაცს, რო-
მელმაც ვკველაფერი გააკეთა გასათავისუფლებლად,
თუმცა ვერაფერს გახდა. ამ გაგებით, იგი არის ჰეკ
ფინი დინამიტით ხელში, რომლისთვისაც ცივილი-
ზაციის ჯაჭვებისგან თავის დახსნის ერთადერთი
გზა მისი განადგურებაა. იგი არის ჰეკლბერი ფინი,
რომელსაც ხელიდან გამოაცალეს ინდიელთა მიწა-
ნყალი, სადაც გაპარვა შეეძლო. ტაილერი არის მისი
შთამომავალი, მისი ზრდასრული ვარიანტი, ამერი-
კულ ლიტერატურაში მისი ხაზის ჭეშმარიტი გამ-
გრძელებელი. ხოლო უსახელო მთხრობელი კი ჩევ-
ულებრივი ადამიანია, როგორც ჩევნ ყველანი. ავ-
ტორი ამას აშკარად გვასველრებს, როდესაც მთა-
ვარ გმირს სახელის გარეშე ტოვებს. იგი მარტივად
განზოგადდება ნებისმიერ რიგით ადამიანად, რომე-
ლიც კმაყოფილია ოდნავი ილუზიითაც კი, რომლის-
თვისაც საკმარისია საკუთარ თავს თავისუფლად
გრძნობდეს.

1. ჩაკ პალანიკი, „მებრძოლთა კლუბი” (თბილისი: „დიოგენე”, 2012 წელი), თარგმნა ნიკა სამუშამა, გვ. 80.
 2. იქვე, გვ. 170.
 3. იქვე, გვ. 80.
 4. იქვე, გვ. 170.
 5. იქვე, გვ. 80.
 6. იქვე, გვ. 171.
 7. იქვე, გვ. 90.
 8. იქვე, გვ. 181.
 9. იქვე, გვ. 199.
 10. იქვე, გვ. 224.
 11. იქვე, გვ. 225.
 12. იქვე, გვ. 249.
 13. იქვე, გვ. 249.
 14. იქვე, გვ. 150.

საქართველოს ცენტრალური სამუზეუმის თეატრი რეპერტუარი

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

№62/45

